

# კალათბურთი
## მათემატიკა არ არისო...

ინტერვიუ იგორ კოკოშკოვის თანაშემწე დავით უსტიაშვილთან
» გვერდი 11

ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
7 აგვისტო **შაბათი** 2010
№ 184 (13 172) ფასი 60 თეთრი

CHAMPIONS LEAGUE

**თარხნიშვილი ჯგუფური ეტაპის მიჯნაზე**

ევროტურნირების წილისყრა
» გვერდი 8

EUROPA LEAGUE

# ბიჭებს ჩარტერი სჭირდებათ!


» გვერდი 11



**სალუქვაძე მოდის, პლუს კოშკაძეც**
» გვერდი 2



**ზესტაფონს სანქცია ელის. ლიცენზიის ჩამორთმევაც?**
» გვერდი 2



**ანანიძე ევროპელ ტალანტებს შორის**
» გვერდი 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები | მოლდოვა-საქართველო | ამხანაგური მატჩი

# სალუქვაძე მოდის, პლუს კოშკაძე



ალექსანდრე კოშკაძე



ლაშა სალუქვაძე

ᲝᲗᲮᲘ დღეც და, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე საქართველოს ნაკრები დასკვნით ამხანაგურ მატჩს გამართავს. **თემურ ქეცბაიას** გუნდი გენერალურ რეპეტიციას კიშინიოვში გამართავს. მოლდოვასთან ამხანაგური მატჩისთვის ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცმა ნაკრებში 18 ფეხბურთელი გამოიძახა. მათ შორის ერთი დებიუტანტი იყო, გროზნოს „ტერეკის" ნახევარმცველი **ლევან გვაზავა**, რომელიც რუსეთის მოქალაქეა. შეგახსენებთ, რომ გვაზავამ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი პასპორტის აღებაზე (დაბრუნებაზე) თანხმობა განაცხადა და ეს საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლო მომენტში თავად გვაზავამ დროებით უარი თქვა ამ ნაბიჯის გადადგმაზე. „ტერეკის" ნახევარმცველმა ეს გადაწყვეტილება „ლელოსთან" საუბარშიც ახსნა - „ტერეკთან" ან რუსული პრემიერლიგის სხვა კლუბთან კონტრაქტი უნდა გავაფორმო. საქართველოს მოქალაქის პასპორტი რომ ავიღო და ეროვნულში ვითამაშო რუსულ პრემიერლიგაში ლეგიონერად ჩავითვლები. ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტი საკლუბო კარიერის აწყობაში ხელს შემიშლის და ნაკრებსაც ველარ გამოვადგებიო...

ერთი სიტყვით, ამ ეტაპზე ეროვნულ ნაკრებში ლევან გვაზავას თამაში გამორიცხულია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გვაზავას გარდა, სანაკრებო 18-კაციანი სიიდან ყაზანის „რუბინის" მცველი **ლაშა სალუქვაძეც** დაშავდა, მაშინ თემურ ქეცბაიას სანაკრებო შემადგენლობისთვის ორი ფეხბურთელი უნდა დაემატებინა.

შეგახსენებთ, რომ ეროვნულის თავკაცი და მისი ასისტენტები ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩებში „დინამოსა" და „ზესტაფონის" თამაშებს დაესწრნენ ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად და ქეცბაიამ გუშინ გადაწყვეტილება მიიღო - ნაკრებს ერთი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს" კაპიტანი, ნახევარმცველი **ალექსანდრე კოშკაძე** დაამატა. რაც შეეხება მეორე ფეხბურთელს, გუშინ გაცხადდა, რომ ნაკრებს ლაშა სალუქვაძე არ გამოაკლდება. ყაზანის „რუბინის" მცველს ფედერაციის ტექნიკური დირექტორი **ნიკა ჩხეიძე** და თემურ ქეცბაია პირადად ესაუბრნენ. საბედნიეროდ, სალუქვაძის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ლაშა კიშინიოვში თამაშს შეძლებს.

ორშაბათს, 9 აგვისტოს, ნაშუადღევის 12 საათზე საქართველოს ნაკრები თბილისიდან ჩარტერული ავიარეისით კიშინიოვში ჩაფრინდება და მზადებას იქ გააგრძელებს. 11 აგვისტოს მოლდოვასა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩი კიშინიოვში, „ზიმბრუს" სტადიონზე, ჩვენი დროით 20 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

გამოხმაურება

# ვანდალიზმი უფეხბურთოდ დაგვტოვებს!

## ზესტაფონს სანქცია ელის, დისკვალიფიკაციას თუ ავცდებით?



ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის ლვოვის „კარპატისთან" საპასუხო მატჩი ცუდად დაგვამახსოვრდა. უკრაინელებთან შინაც დავმარცხდით, მაგრამ მხოლოდ შედეგს ვინ ჩივის, შესაძლოა ამ მატჩმა კიდევ უფრო მწარედ დაგვამახსოვროს თავი. საქმე ის არის, რომ ზესტაფონში, დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე, ლვოველებთან მატჩის მსვლელობისას გულშემატკივრის მხრიდან ვანდალიზმს ჰქონდა ადგილი. რა თქმა უნდა ტრიბუნაზე ემოცია უნდა იყოს, მაგრამ ტრიბუნიდან მოედანზე სხვადასხვა საგნის სროლა ძალადობაა. ამას ყოველთვის სანქცია მოჰყვება და ისევ ჩვენი კლუბი დაზარალდება.

სამწუხაროდ, სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე... „კარპატისთან" თამაშის მსვლელობისას, გვერდითი მსაჯის ქმედებით აღშფოთებულმა ულტრაფანების ერთმა ჯგუფმა, ტრიბუნიდან მოედანზე ბოთლები და სხვა ნივთები ისროლეს. ბუნებრივია, ყოველივე ეს მატჩის დელეგატს არ გამორჩენია, ოქმშიც დააფიქსირა და უეფაშიც წარადგენს. შესაბამისად, იმერული კლუბი უეფადან ფინანსურ სანქციას ნამდვილად ვერ ასცდება.

სხვათა შორის, გამორიცხული არ არის უარესიც - ანუ სტადიონის დისკვალიფიკაცია და ევროტურნირების ლიცენზიის ჩამორთმევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე ვაიგულშემატკივრის ვანდალური საქციელის გამო, შესაძლოა ზესტაფონი ევროტურნირების გარეშე დარჩეს. არადა, იმერული კლუბის მესვეურებმა თანხები არ დაიშურეს, სტადიონი ევროსტანდარტამდე აიყვანეს, ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ გუნდს მშობლიურ არენაზე ეთამაშა და ზესტაფონს დიდი ფეხბურთი სწვეოდა.

ახლა კი რა ხდება? ამ ვანდალური ფაქტის გამო, სერიოზული საფრთხე არსებობს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ზესტაფონში ევროტურნირების მატჩები აღარ ჩატარდეს. ამ ვაიქომაგების საქციელი ზესტაფონელმა გულშემატკივრებმაც დაგმეს და ვანდალიზმის წინააღმდეგ მწვავედ გალაშქრება მოითხოვეს.

ბუნებრივია, როცა ასეთი საფრთხის წინაშეა ქართული კლუბი, ძალადობასთან ბრძოლის გააქტიურებაა საჭირო და ამ მხრივ „ზესტაფონიც" გაისარჯა. იმერული კლუბის მესვეურებმა საქმეში სამართალდამცავი სტრუქტურები ჩართეს. როგორც გავიგეთ, უკვე დადგენილია ვანდალიზმის მომწყობი ულტრაფანების ვინაობა და მათ მალე დააკავებენ.

ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ და „ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკარაძეს** დავუკავშირდით.

*„კარპატისთან" მატჩის მსვლელობისას მომხდარი ვანდალური ფაქტის გამო, უეფადან ფინანსურ სანქციას ნამდვილად ვერ ავცდებით. ამ საკითხს უეფაში განიხილავენ და გადაწყვეტილებასაც გვაცნობებენ. იმედი მაქვს, სტადიონის დისკვალიფიკაციას გადავრჩებით. ამ ფაქტმა შესაძლოა ზესტაფონი უფეხბურთოდ დატოვოს. ბუნებრივია, ამან ჩვენი გულშემატკივარი აღაშფოთა და ძალადობის წინააღმდეგ სერიოზულ ბრძოლას ვიწყებთ. ვანდალიზმის გამო შესაძლოა ჩვენი ქალაქი დიდი ფეხბურთის გარეშე დარჩეს, ამას კი ვერავინ აიტანს"*, - გვითხრა სერგო ფუტკარაძემ.

**დავით ცაბაძე**

დიდი ვიზიტი

# პლატინი გზაშია



ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 9 აგვისტოს, უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** საქართველოში კიდევ ერთხელ ჩამოვა. შეგახსენებთ, რომ უეფას თავკაცის რანგში პლატინი ერთხელ უკვე იყო თბილისში, მანამდე, ფიფას ვიცე-პრეზიდენტად მუშაობის დროსაც ორჯერ გვეწვია. ბუნებრივია, ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელის ვიზიტი ქართული ფეხბურთის მხარდაჭერას და ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული პროექტების განხორციელებას უკავშირდება.

ამასთან, პლატინი ნახავს იმ ობიექტებს, რომელიც საქართველოში უეფას პროგრამით განხორციელდა. უეფას პრეზიდენტი 10 აგვისტოს თბილისიდან კიშინიოვში ჩაფრინდება, სადაც მოლდოვური ფეხბურთის 100 წლის იუბილეს საზეიმო ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.

უფრო დეტალურად მიშელ პლატინის ვიზიტის შესახებ დღეს შევიტყობთ, როცა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში 13 საათზე ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** პრესკონფერენციას გამართავენ.

მანამდე ორი პრესკონფერენცია ჩატარდება - 12 საათზე ეროვნული ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაია** გასცემს პასუხს ჟურნალისტთა კითხვებს, 12:30 საათზე კი ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოთარ გაბელია** წარდგება მასმედიის წინაშე.

**დავით ცაბაძე**

განცხადება

**„ლელოს"' რედაქცია სტაჟირებაზე იწვევს კვალიფიციურ და ახალბედა ჟურნალისტებს დასაქმების პერსპექტივით.**

**რედაქცია განიხილავს აგრეთვე კონკრეტულ პროექტებს.**

**საკონტაქტო საშუალებები იხილეთ „ლელოს" საცნობარო ბლოკში.**

ტრანსფერი

# ბრაჭული რუბინში ჩაირიცხა

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ მოქმედ ჩემპიონ ყაზანის „რუბინში" **ლაშა სალუქვაძე** ერთადერთი ქართველი აღარ არის. როგორც გავიგეთ, ამ კლუბში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მცველი **ავთანდილ ბრაჭული** ჩაირიცხა. ცნობისთვის, ბრაჭულმა, რომელიც პირველი ლიგის კლუბ „დუშეთში" გამოდიოდა, ივლისში „გაგრასთან" გააფორმა კონტრაქტი, მაგრამ მალევე „რუბინის" ვარიანტი გამოჩნდა და რუსეთს მიაშურა.

ბრაჭულმა 19-წლამდელთა ნაკრებში ბოლოს მაისში, ბელარუსში გამართულ ამხანაგურ მატჩებში ითამაშა, სადაც ჩვენმა ჭაბუკებმა იქაური თანატოლები ორჯერ - 2:0 და 6:0 დაამარცხეს. ქართველ ცენტრალურ მცველთან ყაზანელებმა გააფორმეს კონტრაქტი ფორმულით - 6 თვე პლუს 3 წელი. შესაბამისად, მიმდინარე სეზონს ბრაჭული „რუბინის" დუბლშემადგენლობაში გაატარებს. მას შანსი ეძლევა, შესაძლებლობები წარმოაჩინოს და ხანგრძლივი კონტრაქტი დაიმსახუროს. ბრაჭულის ტრანსფერის შესახებ ინფორმაცია საფეხბურთო აგენტმა **რევაზ ჩელებაძემ** დაგვიდასტურა. მანვე მოგვცა საშუალება, „რუბინის" ახალწვეულის კომენტარი ჩაგვეწერა:

*„ყაზანში ტესტირება რამდენიმე დღე გაგრძელდა. ვარჯიშების გარდა, საკონტროლო მატჩშიც გამომცადეს. ის თამაში 1:0 მოვიგეთ, სასტარტოში ვიყავი და ცენტრალური მცველის პოზიციაზე შეუცვლელად ვითამაშე. მატჩს „რუბინის" მთავარი შემადგენლობის თავკაცი ყურბან ბერდიევიც ესწრებოდა. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, მწვრთნელებმა შემაქეს. ჩემი აქ დარჩენა უკვე გადაწყვეტილია... ლაშა სალუქვაძეც ვნახე. მისი ტრავმა სერიოზული ეგონათ, მაგრამ არაფერია, საბედნიეროდ, მალე მწყობრში იქნება".*

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ექსკლუზივი

# ზაზა რევიშვილი
# გული მწყდება, რომ ეს უკვე წარსულია...

ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივარს კარგად ახსოვს ეროვნული ნაკრების მარჯვენაფლანგელი ზაზა რევიშვილი. მისი ხსენებისას უმალ ბულგარეთთან ნათამაშები მატჩები გაგვახსენდება, მით უმეტეს სოფიაში გამართული შეხვედრა. იმ მატჩში რევიშვილმა იმ დროისათვის მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი ხრისტო სტოიჩკოვი დაჩრდილა. სტოიჩკოვმა, რომლის შეჩერებაც მსოფლიო ფეხბურთში ცნობილ საიმედო მცველებსაც კი უჭირდათ, ზაზა რევიშვილმა სრულად გაანეიტრალა...

რამდენიმე წელიწადია, რაც ზაზა სამშობლოში არ ყოფილა, მოთამაშის კარიერა ავსტრიაში დაასრულა, იქვე დარჩა, მწვრთნელობას მიჰყო ხელი და მცირედი ბიზნესიც ააწყო. რევიშვილი რამდენიმე დღით საქართველოში დაბრუნდა. ბუნებრივია, ეს შანსი ხელიდან არ გავუშვით და გავესაუბრეთ.

ზაზა რევიშვილთან ინტერვიუმდე, მისი პერსონის ნათლად წარმოსაჩენად, სჯობს, ზაზას კარიერას გადავავლოთ თვალი. იგი სექტემბერში 42 წლის გახდება.

**ზაზა რევიშვილი**

კარიერა

| | | |
|---|---|---|
| 1985-92 | დინამო თბილისი | 136 მ. (37 გ.) |
| 1992-93 | კატოვიცე პოლონეთი | 23 (3) |
| 1993-95 | დინამო თბილისი | 35 (7) |
| 1995-96 | ალანია რუსეთი | 20 (1) |
| 1998-99 | მოლენბეკი ბელგია | 9 (0) |
| 1996-98 | ეროვნული ნაკრები | 11 (0) |

- „მოლენბეკში" ერთი წლის განმავლობაში ვიყავი, ტრავმამ გამტანჯა, იძულებითი პაუზა გამიგრძელდა და კლუბმა კონტრაქტი აღარ გამიხანგრძლივა. „მოლენბეკი" დავტოვე და ავსტრიის ქვედალიგოსან „შვარცვაიასში" გადავედი. ამ გუნდში სამი სეზონი გავატარე და ყოველ სეზონში ზედა ლიგაში გადავდიოდით. ბოლოს მესამე ლიგაში მოვხვდით. მართლა კარგი გუნდი გვყავდა, ავსტრიის მთავარ ბუნდესლიგაშიც ავზევდებოდით, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო გუნდი დაიშალა. მეც მოთამაშის კარიერა დავასრულე, მაგრამ ფეხბურთში დავრჩი.

**- რამდენადაც ვიცი, სამწვრთნელო კურსები გაიარეთ და სერტიფიკატიც აიღეთ...**

- დიახ, გადავწყვიტე, მწვრთნელობა დამეწყო, კურსები გავიარე, ჯერ B, მერე კი A ლიცენზია ავიღე, 13 და 15 წლის მოზარდებს ვავარჯიშებდი. მერე ერთი ხანობა ფეხბურთს ჩამოვშორდი.

**- ამჟამად ავსტრიის მოქმედ ჩემპიონ ზალცბურგის „რედ ბულში" მუშაობთ...**

- დიახ, უკვე ერთი წელიწადია, რაც „რედ ბულში" მწვრთნელი და მრჩეველი ვარ. მოზარდთა გუნდში ვმუშაობ. კლუბთან სექტემბერში მიმთავრდება კონტრაქტი, გაგრძელება შემომთავაზეს და ჯერ არ ვიცი, რას გადავწყვეტ.

**- რატომ?**

- პარალელურად ჩემი პატარა ბიზნესი მაქვს და დროის დეფიციტს განვიცდი. ფეხბურთი ძალიან მიყვარს და შესაძლოა გავაგრძელო კიდევ კონტრაქტი „რედ ბულთან".

**- მოდი, წარსულსაც გადავავლოთ თვალი. თქვენი სანაკრებო კარიერიდან უმალ ბულგარეთთან გამართული მატჩები გამახსენდა...**

- დიახ, ბულგარელებთან მატჩებს დღემდე სასიამოვნოდ ვიხსენებ. ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული მატჩები არასდროს დამავიწყდება - ბულგარეთთან, გერმანიასთან, უელსთან... გამართული მატჩები.

**- სანაკრებო კარიერიდან ექსპრომტად რას გაიხსენებთ?**

- ბულგარეთთან გასვლით მატჩს, სტოიჩკოვი დავტანჯე. იმ თამაშში ვერ გაიხარა, თანაც საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ. მატჩის შემდეგ გამოსამშვიდობებლად მივედი, ხელი უნდა ჩამომერთმია და ხელი მკრა, აღარ დამენახოო, მიმახვედრა... გასახსენებელი ბევრი გვაქვს. თუნდაც გერმანიასთან მატჩები. უელსთან მოგებული თამაშები, შოთას გოლები, დაცვაში ჩვენი ბიჭების კარგი თამაში, გიო ქინქლაძისა და ჯამარაულის ფინტები და საოცარი თამაში... ეჰ, გული მწყდება, რომ ეს ყველაფერი წარსულია, მაგრამ მომავლის მჯერა... იმედი მაქვს, კიდევ გვეყოლება ახალი ქინქლაძე, არველაძე, ჯამარაული, ქეცბაია, შელია, ცხადაძე, გოგიჩაიშვილი... ძალიან აქებენ ჯანო ანანიძეს, ლევან ყენიას, გიორგი ჭანტურიას, ახალბედა ფეხბურთელებს და მათ ვუსურვებ, დიდი ფეხბურთი ეთამაშოთ. მათ მაინც შეძლონ ის, რაც ჩვენმა თაობამ ვერ შეძლო - საქართველოს ნაკრები ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე გაეყვანოთ.

**- ავსტრიის გარდა უცხოეთში, ბელგიურ „მოლენბეკში", პოლონურ „გკს-კატოვიცეში" და რუსულ „ალანიაში" გითამაშიათ. რომელ გუნდში გატარებულ პერიოდს იხსენებთ ყველაზე უკეთ?**

- ყველა გუნდში გატარებულ ხანას თავისი ტკბილი მოგონება აქვს. ყველაზე ცუდი პერიოდი ბელგიურ „მოლენბეკში" მქონდა, ტრავმებმა გამტანჯა, თორემ კიდევ შემეძლო რამდენიმე წელიწადი მეთამაშა. ყველაზე კარგად თბილისის „დინამოში" გატარებული პერიოდი მახსენდება. „დინამოში" ორჯერ ვიყავი და ორივეჯერ მაგარი გუნდი გვყავდა.

**- ჩვენი ნაკრები როდის იყო ყველაზე ძლიერი?**

- ალექსანდრე ჩივაძის მწვრთნელობისას, ჯგუფში მესამე ადგილი რომ ავიღეთ, აი მაშინ. ჩვენს ფეხბურთში ყოველთვის იყვნენ გამორჩეული მოთამაშეები, მაგრამ ყოველთვის რაღაც გვაკლდებოდა ჯგუფიდან გასვლისთვის. კარგი ფეხბურთელები ახლაც გვყავს, მაგრამ ადრე ასარჩევად გვქონდა საქმე, ახლა კი სამწუხაროდ, გამორჩეულების დეფიციტია.

**- ნაკრებზე ვსაუბრობთ და ბარემ აქვე გკითხავთ. დღეს ჩვენს ეროვნულს თემურ ქეცბაია წვრთნის. ნაკრებში მხარდამხარ თამაშობდით და მასზე რას იტყოდით?**

- თემური ყველასთვის საყვარელი ფეხბურთელი იყო. მან გზა თავად გაიკაფა. ძალიან შრომისმოყვარე, მიზანდასახული, სამართლიანი პიროვნებაა. ქეცბაია კარგი ფეხბურთელი იყო და მწვრთნელობასაც მალე და კარგად დაეუფლა.



კვიპროსულ ფეხბურთს ახალი ისტორია შეუქმნა, ახლა სამშობლოში დაბრუნდა და ქართული ფეხბურთის სამსახურშია. მჯერა, ქეცბაია ჩვენს ნაკრებს ძლიერ გუნდად აქცევს. მას თანადგომა და სახელმწიფოს მხარდაჭერა, სათანადო პირობები სჭირდება. თუ ამ მხრივ პრობლემა არ ექნება, მაშინ თემური დაგვანახვებს თუ რა შეუძლია.

**- თქვენი ვაჟი, ირაკლიც სპორტსმენია, მაგრამ ფეხბურთს არ გაჰყვა. რატომ?**

- ბავშვობაში მოსწონდა და უყვარდა ფეხბურთი, მაგრამ მერე ცურვამ გაიტაცა და სპორტის ამ სახეობას გაჰყვა. ირაკლი 20 წლისაა და ახლახან თავისუფალ ცურვაში 22 წლის წინ დამყარებული საქართველოს რეკორდი მოხსნა.

**- „ზესტაფონი" ივნისში ავსტრიაში ემზადებოდა. სხვებთან ერთად „რედ ბულთანაც" გამართა ამხანაგური მატჩი და იმერლებმა ავსტრიის ჩემპიონი 3:2 დაამარცხეს. ეს მატჩი ხომ არ გინახავთ?**

- არა, სამწუხაროდ, არ ვყოფილვარ, რადგან სამსახურის გამო, სხვა ქალაქში მომიხდა წასვლა.

**- ავსტრიაში მოთამაშე ჩვენი ლეგიონერების მატჩებს თუ ესწრებოდით?**

- მოცალეობის ჟამს ვადევნებდი თვალს, „შტურმში" ჯერ ღათო მუჯირი თამაშობდა, მერე გიორგი შაშიაშვილი და ილია კანდელაკი. სამივე ჩვენებური დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. გასულ სეზონში „შტურმმა" ავსტრიის თასი მოიპოვა და კანდელაკს კარგი სეზონი ჰქონდა, მაგრამ ავსტრია დატოვა და სხა ქვეყანაში გააგრძელა კარიერა... ავსტრიაში ყოფნისას ქართველი ფეხბურთელების გამო „შტურმს" ვგულშემატკივრობდი, ხუთშაბათს კი „დინამოს" ვუქომაგე, მაგრამ... ძალიან შემეცოდა ჩვენი გუნდი, ახალბედებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ ეს ბარიერი ვერ გადალახეს.

**- 10 წელზე მეტია, რაც ავსტრიაში ხართ. იქაური ბუნდესლიგის დონემ მოიმატა თუ იგივეა?**

- სხვათა შორის, ძალიან მონდომებულები არიან, ჩემპიონატის დონე აამაღლონ, მაგრამ დიდი პროგრესი ნამდვილად არ შეიგრძნობა. შეიძლება ითქვას, რომ დონე არ მომატებულა. „რედ ბული" ფინანსურად ძლიერი კლუბია, ზედიზედ სამჯერ გახდა ავსტრიის ჩემპიონი. სხვა გუნდები ფინანსურად ასე მყარად ვერ არიან და ჩემპინატის დონეც ამიტომ ვერ იწევს.

**დავით ცაბაძე**



საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. მარცხნიდან მესამე ზაზა რევიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტრედია

# პრობლემები არის, მაგრამ სამტრედია უმაღლესში რჩება

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „სამტრედიას" უსახსრობის გამო შესაძლოა, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა ველარ მოეხერხებინა და უძლიერესთა შორის მისი ადგილი „გაგრას" დაეკავებინა. უმაღლესი ლიგიდან გუნდის არასპორტული მიზეზით გასვლა ქართულ ფეხბურთში დიდი ხანია, აღარ გვიკვირს, მაგრამ ეს ხმები მაინც მოულოდნელად გვეჩვენა. „სამტრედიას" მართალია, არასოდეს ულხინდა, მაგრამ იმერული გუნდი საკმაო ხანია, ახალი სეზონისთვის ემზადება. როგორც იცით, „სამტრედიას" ჰყავს ახალი მთავარი მწვრთნელი, დაიმატა ახალი ფეხბურთელები და საკონტროლო მატჩებიც ჩაატარა...

მოარული ხმების შესახებ კომენტარი „სამტრედიას" პრეზიდენტ **ზაზა ადეიშვილს** ვთხოვეთ, რომელმაც კლუბში დაგროვებული პრობლემები არ უარყო, მაგრამ დარწმუნებით გვითხრა, რომ „სამტრედია" უმაღლეს ლიგაში დარჩება.

*„რაღა დაგიმალოთ და, საზრუნავი მართლაც ბევრი გვაქვს. უპირველესად, რაღა თქმა უნდა, ფინანსური პრობლემები გვაწუხებს. იმის ფონზე, რომ უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა კლუბმა იპოვა კერძო სპონსორი, ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო არასახარბიელო გახდა. ამ კამპანიაში „სამტრედიას" პოზიციები საკმაოდ არამყარია. მოგეხსენებათ, მუდმივად ადგილობრივი ბიუჯეტის იმედად ვიყავით და ფრთებს ფართოდ ვერასდროს ვშლიდით, მაგრამ ასე თუ ისე, მაინც ვახერხებდით ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებას, ახლა კი მეტოქეების ფინანსური მომძლავრების ფონზე, ძალიან რთულ მდგომარეობაში ვვარდებით. პირველი ლიგა წლიური 134 ათასი ლარით მოვიგეთ, გასულ სეზონში კი უმაღლეს ლიგაში*



ზაზა ადეიშვილი

*ადგილი 400 ათას ლარზე ნაკლებით შევინარჩუნეთ. ახალ სეზონში იმავე მიზნის მიღწევა ორჯერ მეტი დაფინანსებითაც კი გაგვიძნელდება. კარგად ვაცნობიერებთ, რომ სპონსორის გარეშე არსებობა ძალიან გაგვიჭირდება და მის მოსაძიებლად აქტიურად ვმუშაობთ. ვაწარმოებთ აქტიურ კონსულტაციებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებთან. გვაქვს იმის რეალური იმედი, რომ სპონსორი მალე გამოგვიჩნდება და მომავალ სეზონში სამტრედიას ფინანსურად წელგამართული გუნდი ეყოლება. ასე რომ, ჩვენი პრობლემების მიუხედავად, გავრცელებული ხმები გაზვიადებულია და ახალ სეზონს ენერგიულად ვეგებებით. როგორც იცით, გუნდმა დროულად დაიწყო მოსამზადებელი შეკრება და შევეცდებით, სეზონის დაწყებამდე თუ არა, მისი მსვლელობისას მაინც ვიპოვოთ მძლავრი სპონსორი, რაც „სამტრედიას" სამომავლო წარმატებების გარანტი გახდება",* - გვითხრა ადეიშვილმა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქალთა ფეხბურთი

# ბაია ჩემპიონთა ლიგაში

დღეს ზუგდიდის „ბაიას" ქალთა გუნდი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაერთვება. ქართველი გოგონები მე-7 ჯგუფში მოხვდნენ, რომელსაც სლოვენია მასპინძლობს. „ბაიას" მეტოქეები ადგილობრივი „კრკა", იტალიური „ბარდოლინო ვერონა" და უელსური „სუონსი" არიან. წესით, „ბაიას" ასპარეზობა გუშინწინ უნდა დაეწყო „კრკასთან" მატჩით, მაგრამ ეს შეხვედრა 10 აგვისტოსთვის გადაიდო და ჩემპიონთა ლიგაზე „ბაიას" დებიუტი დღეს, იტალიელებთან დაპირისპირებაში შედგება. ცნობისათვის, „ვერონამ" პირველ ტურში „სუონსი" 7:0 გაანადგურა.

„ბაია" ხვალ" „კრკას" შეხვდება, 10 აგვისტოს კი „სუონსის" ეთამაშება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამტრედია

# მძიმე ხვედრი

**ამ სეზონის** დაწყების წინ ყველას რომ გვახარებს უმაღლეს ლიგაში ქუთაისის „ტორპედოსა" და ფოთის „კოლხეთის" დაბრუნება, აი, ზუსტად ანალოგიური განწყობა გვქონდა ერთი წლის წინაც: ხანგრძლივი შესვენების შემდეგ უძლიერესთა შორის „სამტრედია" გამოჩნდა! სხვათა შორის, იმ ტრადიციული გუნდებიდან („ტორპედო", „ბათუმი", „კოლხეთი", „სამტრედია", „გურია"), უმაღლეს ლიგას დროდადრო რომ „აობლებდნენ", პირველი იმედგაცრუება სწორედ „სამტრედიასაგან" გვქონდა - მერვე ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ პირველ ლიგაში რომ დაქვეითდა. თუმცა, უმაღლეს ლიგაში პირველივე ცდაზე დაბრუნდა და სამი სეზონიც დაყო, ვიდრე 2001 წლის ფიასკო არ იქნებოდა. ჰო, აი, ეს კი, მართლაც კატასტროფის ტოლფასი იყო: 2000-01 წლების სეზონი გუნდმა ბოლო ადგილზეც დაასრულა და, რაც მთავარია, ეროვნული ჩემპიონატების ანტირეკორდიც გაიმეორა! თავად განსაჯეთ: „იბერიას" სახელით მოსპარეზე გუნდმა 32 მატჩში ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგო და სეზონიც... ოთხი ქულით დაასრულა. მსგავსი „მიღწევა" მანამდე მხოლოდ ერთ გუნდს, ყვარლის „დურუჯს" ჰქონდა - 1995-96 წლების სეზონი ასევე ოთხი ქულით რომ დაასრულა. თუმცა, რახან საუბარი ჩამოვარდა, ამ „ნომინაციაში" აბსოლუტური გამარჯვებულიც უნდა ვახსენოთ: 2006-07 წლების სეზონში თელავის „კახეთმა" 26 შეხვედრაში მხოლოდ 2(!) ქულა დააგროვა...

... ისევ „სამტრედიას" დავუბრუნდეთ, ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში გუნდის სახელწოდებასაც ხშირად რომ იცვლიდა და ვერც იმას ვიტყოდით, რომ სტაბილური ასპარეზობით გამოირჩეოდა. არადა, კარგად გვახსოვს, თუ როგორი გუნდი ჰყავდათ სამტრედიელებს გასული საუკუნის 70-80-იან წლებში; „ლოკომოტივზე" მოგახსენებთ, საკავშირო მეორე ლიგაში ერთ-ერთ წარმატებული გუნდად რომ მიიჩნეოდა და მართლაც „არანორმალურ" კონკურენციას რომ უწევდა „საუკუნის მეტოქეს" - ლანჩხუთის „გურიას".

აქედან გამომდინარე, ბევრი ვარაუდობდა, რომ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში სამტრედიელებს საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი ეყოლებათ, ახალი და ლამაზი სახელით რომ თავს იწონებდა. სამწუხაროდ, სამტრედიის „სანავარდომ" ვერც პირველ და ვერც მეორე ჩემპიონატში ხეირიანი ვერაფერი უჩვენა (ეგ კი არა, გუნდი... აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდა ხოლმე);

1991 წლიდან გუნდს „სამტრედია" დაერქვა და ამ სახელწოდებით ექვსი სეზონი იასპარეზა; ამას კვლავ მოჰყვა სახელწოდების შეცვლა: ჯერ „ჯუბას" სახელით გამოდიოდა, მერე - „იბერიას", 2001-04 წლებში კი, რატომღაც, წარსულში „დაბრუნება" მოინდომეს და გუნდს... „ლოკომოტივი" უწოდეს; 2004 წლიდან დღემდე კი გუნდი კვლავაც „სამტრედიას" სახელით ასპარეზობს.

... „სამტრედიასთვის" არ იყო ადვილი უმაღლეს ლიგაში ხელმეორედ დაბრუნება: აი, 2001 წელს რომ დაქვეითდა, სამი სეზონი პირველ ლიგაში ხომ ასპარეზობდა, მომდევნო ორი წელიწადი სულაც... რეგიონალურ ლიგაში გაატარა; მერე იყო კვლავაც სამწლიანი ლოდინი და აი, შარშან გუნდი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა!

## ფეხბურთელები და მწვრთნელები

პირველი ოთხი ჩემპიონატი ისე მთავრდებოდა, „სამტრედია" ათეულში შესვლას ვერაფრით ახერხებდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, მწვრთნელების ხშირი ცვლაც იყო: მანამდეც და მერეც, იშვიათზე იშვიათ შემთხვევას ვაწყდებოდით, როცა ერთსა და იმავე სპეციალისტს სეზონის ბოლომდე აცლიდნენ მუშაობას. **ჯუმბერ ჯალაღონია, ჯუმბერ ხაჟალია, ლეონდარ გეგეშიძე, ჟულვერდ ელაშვილი, მურთაზ ხურცილავა,** - პირველ ოთხ ჩემპიონატში „სამტრედიას" სხვადასხვა ხანგრძლივობით სწორედ ეს მწვრთნელები ხელმძღვანელობდნენ.

საუკეთესო შედეგი კი გუნდს 1993-94 წლების სეზონში ჰქონდა: „სამტრედიამ" საბოლოოდ მეოთხე ადგილი რომ დაიკავა. სეზონი ერთმა მწვრთნელმა (**ნოდარ ხიზანიშვილი**) დაიწყო, მეორემ კი (**ჯონი ჯანელიძე**) დაასრულა, თანაც, გუნდში უკვე რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელიც (**გრიგოლ ჭანტურია, ზურაბ იონანიძე, გელა ფანჩულიძე, კახა სიდამონიძე, დავით ჯანაშია, ბესიკ ამაშუკელი**) გამოჩნდა; ამას გარდა, სწორედ იმ სეზონში ჰქონდა დებიუტი მშობლიური ქალაქის გუნდში **კახა კალაძეს**, მაგრამ 16 წლის ბიჭი, ეტყობა, უპერსპექტივოდ მიიჩნიეს...

1994-96 წლები სამტრედიული ფეხბურთისათვის აღმავლობის პერიოდად მართლაც სამართლიანად ითვლება. ყოველივე ეს კი, რაღა თქმა უნდა, კლუბის იმდროინდელი პრეზიდენტის **ტარიელ ჩაჩუას** უდიდეს მონდომებასა და ძალისხმევას უკავშირდებოდა. 1994-95 წლების სეზონში „სამტრედიას" ფინანსურ შესაძლებლობებზე ლეგენდები დადიოდა, მაგრამ საქმე მხოლოდ „მსუყე" ჯამაგირსა თუ სოლიდურზე სოლიდურ პრემიებში როდი იყო: გუნდიც საკმაოდ გაძლიერდა და სწორედ ის სეზონი იყო, თბილისის „დინამოს" ჩემპიონობა მართლაც სათუო რომ გახდა...

მთავარ მწვრთნელად **მურთაზ ხურცილავა** დაინიშნა, გამოცდილმა სპეციალისტმა წინა სეზონის ახალწვეულებს (ზემოთ რომ ვახსენეთ) არანაკლებ გამოცდილი ფეხბურთელები (**გოჩა გუჯაბიძე, გია ჩხაიძე, დავით ცომაია, გია ჯიშკარიანი, კახა გოგიჩაიშვილი**) დაუმატა და შედეგად ისეთი გუნდი მივიღეთ, რეალურად რომ შეეძლო ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

...1994-95 წლების სეზონის ბოლოს, რა და როგორ მოხდა, ამ თემაზე უკვე არაერთხელ გვისაუბრია; ისე როგორც იმაზე, თუ როგორ წააგებინეს (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) „სამტრედიას" ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩი ფოთში ადგილობრივ „კოლხეთთან"; ან, როგორ არ მოაგებინეს (ასევე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ბოლოსწინა ტურში უმნიშვნელოვანესი შეხვედრა რუსთავში და ასე შემდეგ. მოკლედ, ვინც რა უნდა თქვას, ფაქტია - იმ სეზონში „სამტრედიას" ჩემპიონობა, ფაქტობრივად, ძალის გამოყენებით წაართვეს...

...გუნდმა ინერციით კიდევ ერთი სეზონი მეტ-ნაკლებად წარმატებით ითამაშა (**ვალტერ გუჩუა, გიორგი დარასელია, ბესიკ ბერაძე, გიორგი გოგიაშვილი** დაემატნენ) - ჩემპიონატში IV ადგილი დაიკავა და საქართველოს თასზე ასპარეზობისას საუკეთესო შედეგს მიაღწია (ნახევარფინალში გავიდა). მეტოქის მცველებს კი „სამტრედიას" ფორვარდთა მართლაც მრისხანე „დუეტის" (**ზურაბ იონანიძე-ზაზა ჯანაშია**) შეჩერება უჭირდათ; მაგრამ აი, ამას კი უკვე ზემოთ ნახსენები ის კოშმარული სეზონი მოჰყვა, „სამტრედიას" (წელიწადში ოთხი მწვრთნელი გამოიცვალა) უმაღლესი ლიგის დატოვება რომ მოუხდა.

**...ბადრი ქორიძე, სოსო ფრუიძე, ანატოლი მესიაჩენკო, ნოდარ აკობია, გიორგი ოდიკაძე, ტარიელ დვალიშვილი,** - ეს მწვრთნელები სხვადასხვა დროს მუშაობდნენ „სამტრედიაში", იმ პერიოდს ვგულისხმობთ, გუნდი უმაღლესიდან პირველ ლიგაში (ან - პირიქით) რომ მიდი-მოდიოდა. 2008-09 წლების სეზონში კი „სამტრედიამ" პატარა გმირობა ჩაიდინა: ამ მოკრძალებული ბიუჯეტის მქონე გუნდმა, ერთი შეხედვით, მართლაც შეუძლებელი შეძლო და პირველი ლიგის გათამაშებაში ფინანსურად თავისზე ბევრად ღონიერი ზუგდიდის „ბაია" უკან ჩამოიტოვა.

ანუ, რვაწლიანი პაუზის შემდეგ, „სამტრედია" კვლავაც უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა და ფეხბურთელებთან ერთად, ამ წარმატების მთავარი სულისჩამდგმელები **ზაზა ადეიშვილი** (კლუბის პრეზიდენტი) და **ვალერიან ჩხარტიშვილი** (მთავარი მწვრთნელი) გახლდნენ. ეს უკანასკნელი ქართული სამწვრთნელო სკოლის დამსახურებული ვეტერანია და 70 წლის სპეციალისტმა თავის ხანგრძლივ პროფესიულ კარიერაში მორიგ წარმატებასაც მიაღწია.



მურთაზ ხურცილავა

## სახლის გუნდი

დიდი ხნის შესვენების შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „სამტრედიასგან" რაღაც „სუპერ-სენსაციურ" ასპარეზობას არც არავინ ელოდა; ანუ, თავიდანვე ცხადი იყო, რომ გუნდის პროგრამა-მაქსიმუმიცა და მინიმუმიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა ყოფილიყო. თუმცა, დებიუტანტის კვალობაზე გუნდს ურიგოდ ნამდვილად არ უასპარეზია და მთელი სეზონის განმავლობაში პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხეც არასდროს დამუქრებია.

„სამტრედიამ" განსაკუთრებით დამაჯერებლად ჩემპიონატის პირველი ეტაპი ჩაატარა (სეზონში დაგროვებული 37 ქულიდან უდიდესი ნაწილი, კერძოდ, 25 ქულა, სწორედ ამ პერიოდში მოაგროვა); 2009 წლის 30 სექტემბერს კი „სამტრედიამ" თავის ერთგულ ქომაგებს შესანიშნავი სიურპრიზი მიუძღვნა: „თბილისის „დინამო" დაამარცხა! თანაც, ამ შეხვედრის წინ გუნდში უკვე მომხდარი იყო სამწვრთნელო ცვლილება: ვალერიან ჩხარტიშვილის ნაცვლად „სამტრედიას" გაძღოლა ახალგაზრდა სპეციალისტებს, **მამუკა მესიაჩენკოსა** და **ლევან ანჯაფარიძეს** დაევალათ.

დებიუტანტი მწვრთნელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდმა სეზონის მთავარი ამოცანა წარმატებით შეასრულა და საბოლოოდ, ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე გავიდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გუნდი შინ და გარეთ საკმაოდ არაერთგვაროვნად ასპარეზობდა: საკუთარ მოედანზე, მუდამ სავსე ტრიბუნების წინ მოასპარეზე „სამტრედია" მხოლოდ ორ გუნდს („ოლიმპსა" და „ზესტაფონს") ვერ უხერხებდა ვერაფერს, დანარჩენებთან კი ყველასთან დადებითი ბალანსი ჰქონდა; აი, გასვლით შეხვედრებში კი გუნდი ბევრად უფრო სუსტად გამოიყურებოდა და ჩემპიონატში სტუმრად ერთი მოგება ნამდვილად ვერაფერი შედეგია.

## სატრანსფერო კამპანია

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ „სამტრედია" განსაკუთრებული ფინანსური შესაძლებლობებით არ გამოირჩევა; აქედან გამომდინარე, ყველა შეგუებული ვიყავით, რომ ახალი სეზონის დაწყების წინ „ხმაურიანი" ტრანსფერები არც უნდა გვეხილა. ასეც მოხდა: გუნდის ახალწვეულთა უმრავლესობა პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთლები არიან, ისე როგორც... მთავარი მწვრთნელი. ჰო, „სამტრედიას" ხომ ახალი მწვრთნელი ჰყავს - **გელა სანაია,** წინა სეზონში ახალგაზრდულ „ლოკომოტივში" დებიუტანტი სპეციალისტის კვალობაზე ურიგოდ მართლაც რომ არ უმუშავია.

თავისი ყოფილი გუნდიდან ახალგაზრდა მწვრთნელმა რამდენიმე ჭაბუკი ფეხბურთელი დაიმატა, „გაგრადან" ასევე ახალგაზრდა მოთამაშეებიც (**ილია პავლიაშვილი, თორნიკე შალიკაშვილი, ირაკლი შალიკაშვილი, ცოტნე ხარაბაძე**) გადმოიყვანა, პლუს „სამტრედიაში" დაბრუნდა გამოცდილი ფორვარდი **პაატა ბაკარანძე;** ამათ გარდა, „სამტრედიამ" სამი ფეხბურთელი პირველი ლიგიდან დაიმატა: **დავით ჩხიკვაძე** („მარტვილი"), **ლაშა ძაგანია** (მერცხალი"), **გიგა კვერენჩხილაძე** („გურია).

მართალია, გუნდში დარჩა „სამტრედიას" ორი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი - **სპარტაკ გოგია** და **შოთა ჩომახიძე**, თუმცა, დანაკლისიც სოლიდურზე მეტია; რაღა თქმა უნდა, ბევრად უფრო ამბიციურ ქუთაისის „ტორპედოში" გადასულ **ზაურ ხაჭიპერაძეს** ვგულისხმობთ - 23 წლის ფორვარდი წინა სეზონში 13 გოლით ხომ „სამტრედიას" საუკეთესო ბომბარდირი იყო; ეგ კი არა, ეს მართლაც საინტერესო თავდამსხმელი, საერთოდ, ჩემპიონატშიც ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ და ნამდვილად არ იყო შემთხვევითი, როცა სეზონის დასრულების შემდეგ, ჩვენმა გაზეთმა ზაურ ხაჭიპერაძე ერთდროულად რამდენიმე ნომინაციაში დაასახელა...



გელა სანაია

## ლელოს პროგნოზი

ახალ სეზონში უმაღლესი ლიგიდან „პირდაპირი" დაქვეითება IX და X ადგილზე გასულ გუნდებს ემუქრებათ, ხოლო VIII ადგილზე გასული გუნდს პლეიოფის მატჩი ელოდება; მოკლედ, ცხრილის ქვედა ნაწილში მართლაც სერიოზულ კონკურენციას უნდა ველოდოთ და ისე, როგორც წინა სეზონში, „სამტრედიას" უმთავრესი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება.

**გია ტუხაშვილი**



შოთა ჩომახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის მომავალი

# ჯანო და სხვა ევროპელი ტალანტები

ცნობილმა ევროპულმა საფეხბურთო ვებგვერდმა goal.com-მა მომავალი სეზონის შესახებ იმსჯელა და ის ათი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაასახელა, რომელთაც გაბრწყინებას უწინასწარმეტყველებს. სასიამოვნოა, რომ საიტმა ჯანო ანანიძეც გამოარჩია. ათეულში შეყვანილ თითოეულ ფეხბურთელს თან მოკლე დახასიათებაც ახლავს.

## მარიო გიოტცე

გერმანია, დორტმუნდი, 18 წლის

გიოტცე დორტმუნის „ბორუსიას" აღზრდილია, ვესტფალიური კლუბის ღირსებას იგი 2001 წლიდან მოყოლებული იცავს, მთავარი გუნდის შემადგენლობაში დებიუტი კი გასულ სეზონში ჰქონდა. ახალგაზრდა შემტევი დრიბლინგითა და სწრაფი აზროვნებით გამოირჩევა. გერმანელი მიმომხილველები მას ისეთივე ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნევენ, როგორებიც **ტონი კროოსი, მარკო მარინი** და **მესუთ იოზილი** არიან. იქაური პრესის პროგნოზით, **იოაჰიმ ლიოვი** გოეტცეს ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე წაიყვანს.

## დანი პაჩეკო

ესპანეთი, ლივერპული, 19 წლის

**დანი პაჩეკო** ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე, სადაც რამდენიმე დღის წინ ესპანეთის ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. პაჩეკო სწრაფი და ტექნიკური თავდამსხმელია, რომელსაც ძლიერი დარტყმაც აქვს და მოედანზე შავი სამუშაოს შესრულებაც ეხერხება. ისევე როგორც ესპანელი ვუნდერკინდების დიდი ნაწილი, ისიც „ბარსელონას" კანტერას პროდუქტია.

## ჯეიმს როდრიგესი

კოლუმბია, პორტუ, 19 წლის

„ჯეიმს ბონდად" მონათლული **როდრიგესი** სათამაშო სტილით **კრისტიანო რონალდოს** წააგავს. „პორტუს" შეუძლია იამაყოს იმით, რომ ევროპის ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელი ჰყავს, „დრაკონებს" უახლოეს მომავალში მისი გაყიდვით სოლიდური ფულის მიღების პერსპექტივა აქვთ. როდრიგესს შეუძლია როგორც ცენტრფორვარდად, ასევე გარემარბად თამაში ორივე ფრთაზე. მისი მთავარი ღირსება სისწრაფე და შესანიშნავი ფიზიკური კონდიციებია.

## ფილ ჯოუნსი

ინგლისი, ბლექბერნი, 19 წლის

ფილი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერად ყალიბდება. გასულ სეზონში მან პრემიერლიგაც დააქაშნიკა და არც ისაა გამორიცხული, უახლოეს პერიოდში ეროვნული ნაკრების თავკაც **ფაბიო კაპელოს** ყურადღებაც დაიმსახუროს.




ჯონსი, რომელსაც „ინდიანა" შეარქვეს, ამპლუით ცენტრალური მცველია, მისი თამაშით აღფრთოვანება უკვე გამოთქვა „ჩელსის" კაპიტანმა **ჯონ ტერიმ.**

## გაელ კაკუტა

საფრანგეთი, ჩელსი, 19 წლის

ფრანგმა ტალანტმა „ჩელსის" 2007 წელს მიაშურა და არც უნანია. იმის მიუხედავად, რომ **კაკუტა** „არისტოკრატთა" ძირითად შემადგენლობაში ჯერ ვერ ხვდება, ეჭვი არავის ეპარება, რომ ფრანგი ნახევარმცველი დიდ ფეხბურთს ითამაშებს. ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე, სადაც საფრანგეთის ნაკრებმა პირველობა არავის დაუთმო, კაკუტა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მას ყველაზე მეტად ინტელექტუალური თამაშისთვის აქებენ.

## სონ ჰეუნგ-მინი

სამხ. კორეა, ჰამბურგი, 18 წლის

სამხრეთკორეელი ფორვარდი ტრავმირებულია და „ჰამბურგს" უახლოესი ორი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება, დაშავებამდე კი მთავარ გუნდში დებიუტი ვერ მოასწრო. თუ გამოჯანმრთელების შემდეგ ფორმა მალე აღიდგინა, მისი ბუნდესლიგური დებიუტის დროც მალე დადგება. მეტსახელად „რაკეტას" „ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** დიდ მომავალს უწინასწარმეყველებს და გერმანული პრესაც ამავე აზრისაა.

## ტიაგო ალკანტარა

ესპანეთი, ბარსელონა, 19 წლის

ტიაგო ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონ **მაზინიოს** ვაჟია. „ბარსელონას" აკადემიაში 2004 წლიდან ვარჯიშობს და თუ პროგრესირება ასეთი ტემპით გააგრძელა, არაა გამორიცხული, მალე კატალონიელთა პირველ გუნდშიც ვიხილოთ. სათამაშო მანერით მას დეკუს ადარებენ. რამდენიმე თანამემამულის მსგავსად, ალკანტარამ ბოლოს ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე გაიბრწყინა.

## აბელ როდრიგესი

ურუგვაი, პალერმო, 19 წლის

„პალერმომ" ურუგვაელი **ედინსონ კავანი** „ნაპოლიში" იმიტომ გაყიდა, რომ მისი ახალგაზრდა თანამემამულის იმედი აქვს. ეჭვი არავის ეპარება იმისთვის, რომ „პენიაროლის" აღზრდილი **როდრიგესი** მომავალ სეზონში სიცილიელებს დიდ სარგებლობას მოუტანს. აბელს „პალერმოს" შემადგენლობაში სერია A-ში უკვე 30 მატჩი აქვს ჩატარებული, სადაც 7 გოლი გაიტანა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მას ყოველ 120 წუთში გააქვს.

## ჯანო ანანიძე

საქართველო, სპარტაკი, 17 წლის

ჯანო უკვე გამორჩეულია რუსულ პრემიერლიგაში, მალე კი ჩემპიონთა ლიგაშიც მოსინჯავს ძალებს. ქართველი ნახევარმცველი 2009 წლის განმავლობაში საგრძნობლად პროგრესირებდა და „სპარტაკის" წამყვან ფიგურად ჩამოყალიბდა. მხოლოდ 172 სანტიმეტრი სიმაღლის ანანიძე ტანმოვარჯიშეს უფრო წააგავს და ღონიერ მეტოქეებთან ბრძოლა უჭირს, მაგრამ ასაკთან ერთად, სიმძლავრესად შეიძენს. სამაგიეროდ, მას უნაკლო აქვს ბურთის ფლობა და მოედნის ხედვა. გასულ ზაფხულს რუსეთის ნაკრებში თამაშს საქართველოს ღირსების დაცვა ამჯობინა. ჯანოთი ისეთი კლუბები დაინტერესდნენ, როგორებიც „იუვენტუსი", „მილანი", „სევილია" და „არსენალი" არიან.

## ფილიპე კუტინიო

ინტერი, ბრაზილია, 18 წლის

რიოელი **კუტინიო**, რომელიც „ვასკო და გამას" აღზრდილია, „ინტერის" საკუთრება 2008 წლიდანაა. აქვს ძლიერი დარტყმა, კარგად თამაშობს ორივე ფეხით. თავის დროზე მილანელებმა მის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადაიხადეს, ახლა კი მისი სატრანსფერო ღირებულება გაცილებით მაღალია. სავარაუდოდ, **მარიო ბალოტელის** წასვლის შემდეგ კუტინიო „ინტერის" ძირითად შემადგენლობას ნელ-ნელა გაუშინაურდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამხანაგური მატჩი

გერმანია-დანია



საშა რიტერი




მარკო როისი

# რიტერი და როისი ბუნდესგუნდში

## ლიოვმა ბუნდესლიგა შეინდო და ძირითადი ვარსკვლავების უმეტესობაზე უარი თქვა

მომავალი ოთხშაბათი, ფიფას კალენდარში სანაკრებო ამხანაგური მატჩების დღეა, რაც წამყვან კლუბებს ძალიან არ მოსწონთ, რადგან ახალი სეზონის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, მათ ფეხბურთელების ნაკრებებისთვის დათმობა მოუწევთ. გერმანიის ნაკრები ტესტმატჩს ოთხშაბათს დანიასთან (კოპენჰაგენში) მართავს. ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** კი 18-კაციანი შემადგენლობა გუშინ დაასახელა. რაკი კლუბებმა ამ მატჩის გამო პროტესტი გამოთქვეს და არ სურდათ, რომ ის ფეხბურთელები, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზეს ნაკრებისთვის დაეთმოთ, ლიოვმა მათი მოთხოვნა გაითვალისწინა და გერმანიის ნაკრების სამუნდიალე განაცხადიდან მხოლოდ რამდენიმე მოთამაშეს უხმო. ძირითად ბირთვზე კი უარი თქვა.

იმ ფეხბურთელებიდან, რომლებიც სამხრეთ აფრიკაში იმყოფებოდნენ, იოგიმ მხოლოდ შემდეგ მოთამაშეებს უხმო: მეკარეები **ტიმ ვიზე** და **მანუელ ნოიერი**; მცველები **ჟერომ ბოატენგი** და **სერდარ ტასკი**; ნახევარმცველები **ტონი კროოსი, მარკო მარინი** და **პიოტრ ტროხოვსკი**; თავდამსხმელი **მარიო გომესი.** როგორც ხედავთ, დანიასთან ამხანაგური მატჩისთვის მხოლოდ ის ფეხბურთელები არიან გამოძახებულნი, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე უმეტესად სათადარიგოთა სკამს ხეხავდნენ და ძალიან არ დაღლილან. მათ გარდა, იოგიმ **ანდრეას ბეკს** და **კრისტიან ტრეშსაც** უხმო - ფეხბურთელებს, რომლებიც მუნდიალამდე გაფართოებულ განაცხადში ჰყავდა, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში არ წაიყვანა. მაისამდე გაფართოებულ სიაში იყვნენ **თომას ჰიტცლშპერგერი, მარსელ შეფერი, კრისტიან გენტნერი, აარონ ჰანტი** და **პატრიკ ჰელმესიც** - ლიოვმა დანიასთან მატჩისთვის ყველა მათგანი გამოიძახა.

რაც შეეხება დებიუტანტებს: მომავალ ოთხშაბათს გერმანიის ეროვნული ნაკრების ფორმას სავარაუდოდ პირველად მოირგებს „ვოლფსბურგის" 27 წლის მარჯვენა მცველი **საშა რიტერი.** აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს თავის დროზე 21-წლამდელთა ბუნდესგუნდში 20 მატჩი აქვს ჩატარებული. მეორე დებიუტანტი კი მიონხენგლადბახის „ბორუსიას" 21 წლის შემტევი ნახევარმცველი **მარკო როისია,** რომელსაც გერმანიაში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ - როისმა გასულ სეზონში შესანიშნავად იასპარეზა.

მას მერე, რაც გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, ლიოვმა ბუნდესგუნდში პირველად გამოიძახა „ჰანოვერის" 27 წლის მცველი **კრისტიან შულცი.** ისე კი, ამ უკანასკნელს ბუნდესნაკრებში სამი მატჩი აქვს ჩატარებული და ქვეყნის პირველი გუნდის ფორმა უკანასკნელად 2005 წლის 9 თებერვალს, არგენტინასთან მატჩში მოირგო.

*„დანიასთან მატჩისთვის უმეტესად ისეთი ფეხბურთელები გამოვიძახე, რომლებიც გაფართოებულ სიაში იყვნენ და მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადში ვერ მოხვდნენ. სიაში შეყვანილ ყველა ფეხბურთელს აქვს იმის პოტენციალი, რომ გერმანიის ნაკრებში ხშირად ითამაშოს,"* - განაცხადა ლიოვმა.

ძირითად ფეხბურთელებზე უარის თქმით, იოგიმ არა მარტო კლუბები შეინდო, არამედ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებიც, რომელსაც მომავალ ოთხშაბათს ისლანდიაში მნიშვნელოვანი (ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი) მატჩი ელის. იოგის წამყვან ფეხბურთელებზე უარის თქმას განსაკუთრებით „ბაიერნის" მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** და „შალკეს" თავკაცი **ფელიქს მაგათი** სთხოვდნენ. მარტო თავდასხმაში ლიოვმა ისეთ ფეხბურთელებზე თქვა უარი, როგორებიც არიან **მიროსლავ კლოზე, შტეფან კისლინგი, კაკაუ** და **ლუკას პოდოლსკი.**

გერმანიის ნაკრების განაცხადი კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - მანუელ ნოიერი (შალკე), ტიმ ვიზე (ვერდერი)

**მცველები** - ანდრეას ბეკი (ჰოფენჰაიმი), ჟერომ ბოატენგი (მანჩესტერ სიტი), საშა რიტერი (ვოლფსბურგი), სერდარ ტასკი (შტუტგარტი), მარსელ შეფერი (ვოლფსბურგი).

**ნახევარმცველები** - კრისტიან გენტნერი (შტუტგარტი), თომას ჰიტცლშპერგერი (ვესტ ჰემი), აარონ ჰანტი (ვერდერი), ტონი კროოსი (ბაიერნი), მარკო მარინი (ვერდერი), მარკო როისი (ბორუსია მ), კრისტიან ტრეში (შტუტგარტი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი).

**თავდამსხმელები:** მარიო გომესი (ბაიერნი), პატრიკ ჰელმესი (ლევერკუზენი)

### ოლსენმაც ჩამოთვალა

გერმანიასთან ამხანაგური მატჩისთვის შემადგენლობა დანიის ნაკრების დამრიგებელმა **მორტენ ოლსენმაც** დაასახელა - ოღონდ, ლიოვზე ადრე, ოთხშაბათს. აღსანიშნავია, რომ ოლსენმა ამ შეხვედრისთვის მხოლოდ ერთ ბუნდესლიგელ ფეხბურთელს უხმო - ახალგაზრდა მცველ **სიმონ კიაერს,** რომელიც ახლახან „პალერმოდან" „ვოლფსბურგში" გადავიდა. სამაგიეროდ, მან უარი თქვა კიაერის თანაკლუბელ **თომას კალენბერგსა** და „ვერდერის" ნახევარმცველ **დანიელ იენსენზე.**

**მეკარეები** - სტეფან ანდერსენი (ბრონდბიუ), თომას სორენსენი (სტოკ სიტი)

**მცველები** - დანიელ აგერი (ლივერპული), ლარს იაკობსენი (ბლექბერნი), უილიამ კვისტ იორგენსენი (კოპენჰაგენი), სიმონ კიაერი (ვოლფსბურგი), პერ კროლდრუპი (ფიორენტინა), სიმონ ბუსკ პოულსენი (ალკმაარი).

**ნახევარმცველები** - მიკელ ბეკმანი (რანდერსი), თომას ენევოლდსენი (გრონინგენი), კრისტიან დ. ერიკსონი (აიაქსი), კრისტიან პოულსენი (იუვენტუსი), მიხაელ ზილბერბაუერი (უტრეხტი), ჯონი ტომსენი (სიონდერისკი).

**თავდამსხმელები** - იოჰან აბსალონსენი (ოდენსე), მადს იუნკერი (როდა), მიქაელ კრონ-დელი (ბრონდბიუ), ნიკლას პედერსენი (გრონინგენი), დენის რომედალი (ოლიმპიაკოსი), ლასე შიონე (ნიიმეგენი).

**გოტფრიდ ლენცი**

ბუნდესკაპიტანი

# ბალაკმა თქვა: 2014

## მიხაელს არ სურს, რომ წასვლის მომენტი მათეუსივით გამოეპაროს

**კრისტიან ლელის** განცხადებების (გუშინდელ ნომერში ვწერდით) თაობაზე კომენტარის გაკეთება კვლავ არ სურს, სამაგიეროდ, **მიხაელ ბალაკმა** ჩვენს გერმანელ კოლეგებთან იმაზე ისაუბრა, თუ როდის აპირებს სანაკრებო კარიერის დასრულებას. პირველ რიგში ის უნდა აღინიშნოს, რომ 33 წლის ბალაკმა კატეგორიულად გამორიცხა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობა. არცაა გასაკვირი: მიხაელი იმ დროს ხომ 37 წლისა იქნება. სამაგიეროდ, ბალაკის მიზანი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე თამაშია. მას არ უნდა, რომ სანაკრებო კარიერა ისე დაასრულოს, როგორც ბუნდესგუნდის რეკორდსმენმა **ლოთარ მათეუსმა** დაამთავრა.

*„თუ რამე კატასტროფული არ მოხდა, ევრო 2012-ზე აუცილებლად ვითამაშებ. 2014 წლის მუნდიალზე კი ნამდვილად ვერ ვიასპარეზებ. ყველა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს წასვლის დრო და მე ვფიქრობ, რომ 37 წლის ასაკში ასეთ საპასუხისმგებლო ტურნირზე ფიქრი ჩემი მხრიდან, უგუნურება იქნებოდა,* - განაცხადა ბალაკმა და იქვე დასძინა, - *თავის დროზე, ლოთარ მათეუსს გამოეპარა სანაკრებო კარიერის დასრულების მომენტი. მე კი არ გამომეპარება."*

როგორც იცით, მიხაელმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრავმის გამო ვერ იასპარეზა. შედეგად, მუნდიალზე გერმანიის ნაკრების კაპიტანი **ფილიპ ლამი** გახლდათ, რომელსაც კაპიტნის სამკლავურის დათმობა არაფრისდიდებით აღარ სურს. ამის გამო, ბალაკმა ლამი კიდევ ერთხელ გააკრიტიკა.

*„ჩემი აზრით, კაპიტანი ისევ მე ვიქნები. სხვა არც არაფერი მსმენია. მართალია, არც ფილიპთან მისაუბრია და არც ნაკრების მწვრთნელ იოახიმ ლიოვთან, მაგრამ ისინი შვებულებაში იყვნენ და ვფიქრობ, სალაპარაკო არაფერი იყო. ლამმა უბრალოდ თავისი სურვილი გამოხატა, რაც ლეგიტიმურია, მაგრამ კვლავ გავიმეორებ, რომ ესპანეთთან ნახევარფინალური მატჩის წინ ამის დრო არ იყო. თანაც, იმ დროს ტრავმირებული ვიყავი, ნაკრებთან ერთად არ გახლდით და მისთვის პასუხის გაცემა არ შემეძლო. თუმცა არა უშავს, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი დალაგდება და მოგვარდება,"* - თქვა მიხაელმა, რომელიც ბუნდესლიგაში დაბრუნდა და „ლევერკუზენში" ითამაშებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერთასი

# ხვალ უემბლიზე დოლია


უემბლი წესრიგში მოჰყავთ

**მაიკლ ოუენს** „უემბლიზე“ თამაშის ეშინია, რადგან იქ უხარისხო მოედანია და ფეხი რომ დაუცდეს, შეიძლება კვლავ სამკურნალო გახდეს. რა-რა და ტრავმები ოუენს ნამდვილად არ აკლია. გასულ სეზონში, 28 თებერვალს „ქარლინგის“ ანუ ლიგის თასის ფინალში მან ორთავა კუნთი გაიწყვიტა, რის გამოც „მანჩესტერ იუნაიტედში“ თავისი პირველი სეზონი რამდენიმე თვით ხანმოკლე გამოუვიდა. მას შემდეგ „ფრანს ფუტბოლის“ 2001 წლის ლაურეატს მინდორზე ფეხი არ შეუდგამს და მხოლოდ ახლა, „იუნაიტედისა“ და ირლანდიის „არტისიტი ლიგის“ ნაკრების შეხვედრაში დაუბრუნდა საქმეს. ცნობისთვის: მანჩესტერელებმა ირლანდიელებს 7:1 მოუგეს. და აი, შაბათს ოუენს „უემბლიზე“ დაბრუნება უწევს - „კომუნითი შილდზე“ „იუნაიტედი“ „ჩელსის“ ხვდება. „ქომუნითი შილდი“, მოგეხსენებათ, ინგლისის სუპერთასია.

*„გასულ სეზონში ლიგის თასის ფინალში მე სულაც არ ვიყავი ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც დაშავდა და შემაშფოთებელი სწორედ ეს არის. „უემბლის“ საფარზე მარტო მე რომ დავშავებულიყავი, ყველაფერს უიღბლობას, შემთხვევას დავაბრალებდი, მაგრამ აშკარაა, რომ ამ მოედანს რაღაც უნდა მოვუხერხოთ. დიახ, იმ დღეს ბევრნი დავშავდით და რამდენიმე დღის მერე, არც სანაკრებო შეხვედრაში მოხდა ნაკლები... სხვათა შორის, დაახლოებით ერთი კვირის წინ შევიარე „უემბლიზე“ და ვნახე, რომ მოედანზე მუშები იყვნენ გასული. ხელოვნურ საფარს ამატებდნენ. ამბობენ, ამიერიდან 10 პროცენტი სინთეტიკური იქნებაო. იქნებ ამან მაინც გამოასწოროს მდგომარეობა“*, - თქვა 30 წლის თავდამსხმელმა, რომლისთვისაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ კარიერაში მეოთხე გუნდია.

„უემბლის“ საფარზე შარშან საინტერესოდ თქვა მანჩესტერელთა მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა**, ეს მოედანი მხოლოდ დოლისთვის თუ გამოდგებაო. რაც შეეხება „ქარლინგის თასის“ შეხვედრას, რომელიც უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ, იმ შეხვედრაში „იუნაიტედმა“ „ასტონ ვილას“ 2:1 მოუგო და ერთი გოლი სწორედ ოუენმა გაიტანა და აი, ხუთთვიანი შესვენების შემდეგ ვეტერანმა „არტისიტი ლიგის“ ნაკრებსაც შეუგდო.

*„მთავარია, რომ კვლავ ვთამაშობ. გოლის გატანა, რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ამ გოლზე მეტად ის მაინტერესებს, ზოგადად როგორ ფორმაში ვიქნები და რამდენად შევძლებ ძველებურად მწვავედ შევუტიო. მასაჟისტის მაგიდასა და დარბაზში ძალიან დიდი დრო გავატარე. ძალიან მინდოდა სეზონისწინა შეკრება გუნდთან ერთად ამერიკაში მეც გამეტარებინა, მაგრამ არ მოხერხდა. საბედნიეროდ, ისე დაემთხვა, რომ გუნდს უეინ რუნისთან ერთად შევუერთდი. იმედი მაქვს, რომ მე და უეინი ერთმანეთს კარგად შევეწყობით და მოწინააღმდეგეებს პრობლემებს შევუქმნით“.*

როგორც ჩანს, კვირას, „ქომუნითი შილდზე“ გამოსვლა რუნისაც მოუწევს - არადა, თავიდან ისე იყო ნათქვამი, რომ „იუნაიტედის“ მთავარ ფორვარდს ჯერჯერობით მხოლოდ ავარჯიშებდნენ. რა შეიცვალა? „ლელოს“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ გასულ კვირას რუნიმ მეუღლესთან და ძმაბიჭებთან ერთად ისე იქეიფა, „სანის“ ფურცლებზე ამოყო თავი. პაპარაცებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩაფლავებულ ფორვარდს ათასნაირი ფოტო გადაუღეს: როგორ ბლაოდა ქუჩაში, როგორ მიაშარდა მანჩესტერის პრესტიჟული ღამის კლუბის სიახლოვეს კედელს და როგორ ეწეოდა სიგარეტს.

რასაკვირველია, ფერგიუსონი ამან გააცოფა, მით უფრო, რომ ღამის თავგადასავალი მის ფავორიტს შვებულების ბოლო დღეს, მაინცდამაინც ვარჯიშებზე დაბრუნების წინ გადახდა და... როგორც ხედავთ, ფეხბურთელი თამაშით დასაჯა - ხვალ რუნის „ჩელსის“ წინააღმდეგ ცხრა პირი ოფლის მოდენა მოუწევს.

სეზონის წინ

# დიდი სემის დიდი ფიქრი


სემ ელერდაისი

„ბლექბერნის“ მწვრთნელი **სემ ელერდაისი** ამბობს, რომ ამ ზაფხულს კლუბის ახალ მეპატრონეთა ხელში გადასვლა ისე ველარ მოესწრება, რომ ამან მის სატრანსფერო აქტიურობას ხელი დაატყოს. არადა, ბოლო პერიოდში „ბლექბერნს“ რამდენიმე მყიდველი გამოუჩნდა. კლუბის შეძენის მსურველთა რიგში ბოლო ინდოელი ბიზნესმენი **აშასან ალი სიედი** გახლდათ. ახლა, „ივუდ პარკიდან“ ის ელოდება პასუხს. რაც შეეხება კლუბის ვალს, დღეისათვის ის 20 მილიონი ფუნტის ტოლია.

*„ახალი ინვესტიციები სატრანსფერო ფანჯრის დახურვას ვერ მოასწრებს, თუ რიგ ხალხსა და ორგანიზაციებს მართლა სურთ ჩვენი კლუბის შეძენა, ამას 31 აგვისტომდე ვერ მოახერხებენ. ასე რომ, ჩვენ ამოსავალ წერტილად ვილებს იმ სიტუაციას, რომელიც აქამდე გვქონდა და უკვე არსებული ბიუჯეტიდან გამომდინარე ვმოქმედებთ. დანარჩენი მომავლის საქმეა“*, - თქვა „დიდმა სემმა“.

სხვათა შორის, ელერდაისს ამ ზაფხულს ახალი ფეხბურთელი ჯერ არ უყიდია, მაგრამ მისთვის მნიშვნელოვან ბლექბერნელებს ახალი კონტრაქტები გაუფორმა და მათი გუნდში დარჩენა დაიბევა.

ის, რომ კლუბის ყიდვა მართლა სურს რამდენიმე ბიზნესმენსა და კორპორაციას, „ბლექბერნის“ თავმჯდომარე **ჯონ უილიამსმა** ოთხშაბათს საჯაროდ დაადასტურა. რაც შეეხება ზემოხსენებულ ინდოელს, იგი საინვესტიციო კომპანიის მეპატრონე ყოფილა. კომპანიას ჰქვია Western Gulf Advisory. სეიდმა ბანკ „როტშილდში“ „ბლექბერნის“ მრჩეველებს უკვე მისწერა წერილი და მათთან მოლაპარაკებები გააბა. ის უპირველეს ყოვლისა კლუბის ვალის გადახდას აპირებს, გარდა ამისა ბლექბერნელებს 300 მილიონ ფუნტს ჰპირდება და ამბობს, რომ მათთან დიდი ხნით სურს დარჩენა.

თუმცა „ბლექბერნისთვის“ მყიდველის გამოჩენა უცხო ხილი არ არის. ბოლო სამი წლის განმავლობაში კლუბის ყიდვა ბევრს სურდა. მათ შორის იყვნენ ინგლისსა თუ ევროპის სხვა ქვეყნებში, მაგალითად ისლანდიაში ცნობილი კორპორაციები. სხვათა შორის, ივნისში „ბლექბერნს“ კიდევ ერთი ინდოელი ბიზნესმენი **სურინ შაჰი** სთავაზობდა „გულსა და ფულს“. ელერდაისმა კი, ამასობაში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ **დევიდ კემერონს** საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა სთხოვა. მწვრთნელს მიაჩნია, რომ ის ახალ თავდამსხმელს სწორედ ცუდი საგადასახადო წეს-კანონის გამო ვერ ყიდულობს. ელერდაისმა თქვა:

*„ჩვენ ბოლო რვა კვირის განმავლობაში ძალიან ბევრი ვიწვალეთ, ცდა და ღონე არ დავაკელით, რათა ახალი ფეხბურთელი შეგვერჩია და გადაგვებირებინა, მაგრამ იმედგაცრუება იმედგაცრუებას ცვლიდა. ყველაზე დიდი პრობლემა ხელფასის დანიშვნისას გვხვდებოდა. ხალხს, რასაკვირველია, აინტერესებს, რამდენს აიღებს ხელზე, დაქვითვის შემდეგ და იმის მიხედვით გითანხმდება, ამ ქვეყანაში კი 50 პროცენტს გადასახადში ითხოვენ. თუ კემერონი ჩვენს თხოვნას შეისმენს და მდგომარეობას შეგვიმსუბუქებს, თავის ქვეყანაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს ნახავს და საუკეთესო ჩემპიონატს მიიღებს“.*

ელერდაისი, რომელმაც ამ ზაფხულს სამხრეთ აფრიკაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატს მოსაწყენი უწოდა, ამბობს, რომ ბოლო დროს ბევრი ფეხბურთელი პრემიერლიგიდან წავიდა, რაც ცუდი ნიშანია და ეს სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

*„პრემიერლიგა პრობლემის წინაშეა. ფეხბურთელები ევროპის სხვადასხვა ლიგაში გარბიან, რადგან მათი ხელფასის დიდი ნაწილი იბეგრება, სხვაგან კი უკეთეს პირობებს სთავაზობენ. ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს“.*

სატრანსფერო ჭორები

# თავისებური ზნის ფორვარდი


ემანუელ ადებაიორი

„მანჩესტერ სიტის“ შეფები ამტკიცებენ, რომ ამ სეზონში ტოგოელი თავდამსხმელი **ემანუელ ადებაიორი** მათი გუნდის ერთ-ერთი საკვანძო წევრი იქნება, არადა, სულ ცოტა ხნის წინ დადიოდა ჭორი, თითქოს ერთი წლის წინ „არსენალისგან“ 25 მილიონ ფუნტად ნაყიდი ვარსკვლავი სხვაგან გადადიოდა. ეს ეჭვი ძირითადად იტალიურ მედიაში გავრცელებულ ხმებს ეყრდნობოდა.

ამ ხმების თანახმად, ფეხბურთელი უკმაყოფილო გახლდათ იმით, რომ ისტლენდზე ბევრმა ძლიერმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი (თუმცა, ვინ მოიყარა და ვინ არა, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ), რის გამოც მას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი ძალიან შეუმცირდა. წერდნენ, რომ ადებაიორი „იუვენტუსში“ გადასვლას შეეცდებოდა და როგორც ჩანს, ეს თემა ამოწურულად ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩავთვალოთ, თუმცა ასეთი ტრანსფერი, რასაკვირველია, ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „სიტიდან“ წასვლა ტოგოელისთვის კვირაში 160-ათასიანი ხელფასის მნიშვნელოვნად შემცირების ტოლფასი იქნებოდა, თუმცა, იმასაც ამბობდნენ, რომ „ბებერი ქალბატონის“ წევრობა მას ამად ულირსო. სულ ახლახან ადებაიორმა ასე თქვა:

*„ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ უამრავი შემოთავაზებიდან ერთსაც არ განვიხილავდი სერიოზულად, რადგან ჩემი თავი მხოლოდ „მანჩესტერ სიტისთან“ მყავდა დაკავშირებული, მინდოდა ჯილდოებისთვის მხოლოდ ამ გუნდის სახელითა და მაისურით მებრძოლა, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. აშკარად ვხედავ, რომ მომავალ სეზონში ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსი ხშირად არ მომეცემა და ამიტომ ჩემს სახელზე გამოგზავნილ წინადადებებს ვსწავლობ. „იუვენტუსი“, მაგალითად, დიდებული კლუბია, რომელშიც სიამოვნებით ვითამაშებდი. პრემიერლიგა, რასაკვირველია, ძალიან კარგია, მაგრამ ევროპაში სხვა უმაღლესი დონის ჩემპიონატებიც არის.*

*ეკონომიკური მხარე? ეს, რასაკვირველია ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბი თავისთან გადასვლას გთავაზობს, ფულის გარდა სხვა რამეზეც უნდა დაფიქრდე“.*

პრემიერლიგური ფეხბურთის მოყვარულებს ეხსომებათ, რომ „მანჩესტერ სიტის“ შემადგენლობაში ადებაიორმა გასულ სეზონში მაინცდამაინც ვერ გაიბრწყინა. მან 31 შეხვედრიდან 14 გოლზე მეტი ვერ გაიტანა, რაც თავდამსხმელისთვის დიდი ვერაფერი შედეგია. ყველაზე მეტად ტოგოელმა ინგლისურ საფეხბურთო საზოგადოებას თავი „არსენალთან“ შეხვედრაში თავის მოგიჟიანებით დაამახსოვრა. თქვენც გეხსომებათ, თავის ყოფილ გუნდთან „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე“ გამართულ შეხვედრაში მან გოლი შეაგდო, რის შემდეგაც მთელი მოედანი გადაირბინა, „მეთოფეთა“ ფანების სექტორთან მიიჭრა და მათ გასაღიზიანებლად მუხლებზე გასრიალდა. ამის გამო ტოგოელს ბევრი ბოდიშის მოხდა მოუხდა. იმავე შეხვედრაში ადებაიორმა ყოფილ თანაგუნდელ **რობინ ვან პერსის** სახეში გაჰკრა, რის გამოც სამთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

მაინც რატომ ცდილობს თავისებური ზნის თავდამსხმელი ისტლენდიდან გაქცევას? როგორც ჩანს, ამ ზაფხულის საგაზეთო სათაურებმა შეაშინა. ინგლისურ პრესაში ხან იწერებოდა, რომ „მანჩესტერ სიტი“ „ლივერპულისგან“ **ფერნანდო ტორესის** ყიდვას აპირებდა, ხან „ვოლფსბურგიდან“ ბოსნიელი **ედინ ჯეკოს** გადაბირებაზე იყო ლაპარაკი და ხანაც „ინტერიდან“ **მარიო ბალოტელის** ელოდნენ.

საბოლოოდ, ამ ტრანსფერებიდან ერთადერთი რეალური ბალოტელისა ჩანს, ასე რომ, თურმე, ისე არ წვიმს, როგორც ქუხს და კიდევ, როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, პრემიერლიგის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გამორიცხულია, „მანჩესტერ სიტიმ“ ადებაიორი სადმე გაუშვას.

ტოგოელმა ისტლენდელთა შემადგენლობაში ხუთივე ამხანაგურ მატჩში ითამაშა და როგორც ჩანს, მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** ის მართლაც სჭირდება. იტალიელს მისი გაყიდვა რომ ნდომებოდა, ცხრანომრიან მაისურას არ მისცემდაო, ამბობენ, მანჩესტერელები. შეგახსენებთ, გასულ სეზონში ადებაიორი ოცდახუთნომრიანი მაისურით თამაშობდა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სატრანსფერო ამბები

# ორი ტანჯული ტრანსფერის ამბავი


საგა I: სესკ ფაბრეგასი



საგა II: მაიკონი

**გახსოვთ** ალბათ, ნათქვამია, *„ობლის კვერი ცხვა, ცხვა და“...*

შემდეგ ორნაირი დაბოლოება ვიცით, ოპტიმისტური და პესიმისტური. ობლის და დავრდომილის არაფერი ეტყობათ „ბარსელონასა“ და „რეალს“, მაგრამ მათი ორი სავარაუდო ტრანსფერი კი („კვერი“) ვერა და ვერ გამოცხვა და არც გვეშვება ფეხბურთის გულშემატკივრებს. ბუნებრივია, მშობლიურ კატალონიაში **სესკ ფაბრეგასის** შესაძლო დაბრუნებასა და ბრაზილიელი **მაიკონის** მადრიდში **ჟოზე მოურინიოსთან** შესაძლო რე-უნიონს ვგულისხმობთ. სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი მომაბეზრებელიც კი გახდა...

### საგა პირველი: სესკი და ბარსელონა

ეს „ტრანსფერი“ საგა კი არა, უკვე უილბლო დაპირებების, იმედგაცრუებების, ახალი იმედების, ისევ იმედგაცრუებების და ლამის საფეხბურთო ომის ეპოპეაა. ამ სიტყვების ავტორი უკვე შეეგუა, რომ სესკი წლეულს ვერაფრით ჩაცვამს (ოღონდ არა სალაღობოდ, როგორც 12 ივლისს მოხდა) „ბლაუგრანას“, მაგრამ არ ნებდება სრულიად კატალონია! ახალი ამბავიც აქვს ესპანურ მედიას - თურმე „ბარსელონამ“ სესკის საყიდელი მაზანდა ასწია - 35 მილიონი ევროს ნაცვლად ლონდონურ „არსენალს“ დღეიდან 42 მილიონს სთავაზობს! როგორ გინდა უარი თქვა ამხელა თანხაზე, თანაც იმ ფეხბურთელში, რომელსაც აშკარად აღარ უნდა შენთან თამაში და ძალისძალ კომენტარებს აკეთებს. მეორე მხრივ, როგორ უნდა შეელიო კაპიტანს და ლიდერს, გუნდის „ძრავას“? არის კიდევ ერთი „დეტალი“, პრინციპის საკითხი. „ბარსელონას“ აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა **ჟოან ლაპორტამ** იმდენი ქნა, რომ მგონი, სამუდამოდ გააფუჭა ამ ორ გუნდს შორის ურთიერთობა. თავიდან ეს „ბარსას“ ახალი ხელმძღვანელობის პიარკამპანია გვეგონა ლაპორტას წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ ლონდონური კლუბიდანაც ისეთი ხმები გამოვიდა... მოკლედ, 42-ს შეიძლება, 52 მოჰყვეს („ბარსას“ ისედაც დიდი ვალი აქვს და + 10 არაფერს დაუშავებს), მაგრამ არ მოჰყვეს ტრანსფერი, ყველაფერი მართლა არ იყიდება და ეს უნდა გაეთვალისწინებინათ თავის დროზე...

### საგა მეორე: მაიკონი და რეალი

ეს საგა შედარებით ახალია, ის ჩემპიონთა ლიგის ფინალის მეორე დღესვე დაიბადა, როცა გაირკვა, რომ „რეალს“ ლიგის ტრიუმფატორი და „განსაკუთრებული“ ჟოზე მოურინიო განვრთნიდა. მოუმ მაშინვე თქვა, **მაიკონი** მომყავსო და შესაძლოა, ამ ხმამაღალმა ნოტმაც შეუშალა ხელი ტრანსფერის რეალურად განხორციელებას.

ჯერჯერობით კი ასე მიქცევა-მოქცევასავითაა - მაიკონი ხან ხელის განვდენაზეა საოცნებო ტრანსფერთან, ხან კი შორდება. ჩვენი აზრი თუ გაინტერესებთ, ამ საგას უფრო ოპტიმისტურად დავასრულებდით, ეს შეიძლება მართლა „გამოცხვეს“, მაგრამ გვიან... საქმე ისეთ აბსურდამდეც მივიდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ორმა მოწინავე ესპანურმა გაზეთმა, „მარკამ“ და „ას“-მა ერთდროულად დაწერა ურთიერთგამომრიცხავი ცნობა: *„მაიკონი უკვე „რეალშია“ და „მაიკონი რეალში ჩაიშალა“.* ახლა აღარც კი მახსოვს, რომელმა როგორი პროგნოზი გააკეთა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას?

საგას კი ახალი ქვეთავი (სიახლე) აქვს. ახლა ამტკიცებენ, რომ „ინტერმა“ „რეალის“ წინადადება (26 მილიონი ევრო) ოფიციალურად უარყო, მაგრამ **ფლორენტინო** (პერესი) ის კაცია, ამ საქმეს მაინც „მოაკვარახჭინებსო“. მოდი, ახლა შენ და გაარკვიე რა ხდება...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ტრანსფერი


ბრუნო სორიანო ვილიარეალში რჩება

# ეს ბრუნოს კვირაა

ეს კვირა აშკარად „ვილიარეალის“ ნახევარმცველ **ბრუნო სორიანოსია** - 26 წლის ფეხბურთელი ერთდროულად ორჯერ გაახარეს, ჯერ კლუბის ვარჯიშზე მისულს **ვისენტე დელ ბოსკეს** მიერ ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ახარეს, შემდეგ კი გამზადებული კონტრაქტი დაუდეს წინ - სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ „ელ სუბმარინო“ სორიანოსთან ურთიერთობას 2016 წლამდე აგრძელებდა. ნახევარმცველიც ხვალინდელ ქათამს არ დახარბდა და ხელშეკრულებას ხელი სიამოვნებით მოაწერა. ჩამშლელი ტიპის ნახევარმცველი ამ კლუბის ახალგაზრდული სისტემის ნაყოფიერი მუშაობის პროდუქტია და მას სხვაგან გახედვა, პრინციპში, არც მოსურვებია... 11 აგვისტოს სორიანო „აცტეკაზე“ პირველად მოირგებს „ფურია როხას“ მაისურს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● მექსიკა

# ჯონათან, დარჩი ჩვენთან!

**გუშინ** ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა გამცნეთ, რომელიც პირველად იასპარეზებს მსოფლიოს საუკეთესო გუნდის სტატუსით - 11 აგვისტოს მექსიკის დედაქალაქში ესპანეთის ნაკრები ამხანაგურად ადგილობრივ გუნდს გაეჯიბრება. დღეს ჯერი მექსიკელთა შემადგენლობაზეა.

გუნდს ამ თამაშზე გამოიყვანს მწვრთნელი, რომელიც ამ ერთი შეხვედრისთვის დანიშნეს - **ენრიკე მესა.** გუნდში ათი ფეხბურთელია ევროპული კლუბებიდან, მესას არ დავიწყნია არც „ნიუ იორკ რედ ბულზში“ გადასული კაპიტანი **რაფა მარკესი**. ერთი მატჩის მწვრთნელმა გამოიძახა „ბარსელონელი“ **ჯონათან დოს სანტოსიც, ჯოვანის** უმცროსი ძმა, რომელიც ბოლო წამს ამოაგდეს სამუნდიალო განაცხადიდან. მაშინ, მისმა მამამ, წარსულში ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა **ზიზინიომ** განაცხადა, რომ მის შვილზე კარგი 23 ფეხბურთელი მექსიკას არ ჰყავს და რომ ჯონათანი ამიერიდან არასოდეს მოირგებს მწვანე მაისურას... (ჯერ არც მოურგია) და უცებ ეს გამოძახება. ვნახოთ, ვინ პატრიოტია და ვინ სიტყვის კაცი...

ესპანეთთან მატჩისთვის მექსიკის ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები** - გილერმე ოჩოა (ამერიკა), ხესუს კორონა (კრუს ასული).

**მცველები** - პოლ აგილარი, ლეონარდო ლოპესი (პაჩუკა), რაფაელ მარკესი (რედ ბულზი), ფრანსისკო როდრიგესი, კარლოს სალსიდო (ეინდჰოვენი), ექტორ მორენო (ალკმაარი), ფაუსტო პინტო (კრუს ასული).

**ნახევარმცველები** - ეფრაინ ხუარესი (სელტიკი), ხერარდო ტორადო (კრუს ასული), ჯონათან დოს სანტოსი (ბარსელონა), ანდრეს გუარდადო (დეპორტივო), პაბლო ბარერა (ვესტ ჰემი).

**თავდასხმელები** - ხავიერ ერნანდესი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯოვანი დოს სანტოსი (ტოტენჰემი), კარლოს ველა (არსენალი), ელიას ერნანდესი (მორელია), ენრიკე ესკედა (ამერიკა).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ამბები

## პლეტიკოშას ტოტენჰემში გასინჯავენ

**ეუტ** ხორვატიის ნაკრების მეკარე **სტიპე პლეტიკოშამ** „ტოტენჰემში“ სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა, მას ლონდონური კლუბი იჯარით აიყვანს. პლეტიკოშა მოსკოვის „სპარტაკის“ საკუთრებაა და რაკი ბოლო პერიოდში მოსკოველთა ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება, კლუბის შეცვლა გადაუწყვეტია.

## ადებაიორი სიტიში რჩება

„მანჩესტერ სიტიმ“ წერტილი დაუსვა ყველა მოარულ ხმას იმის შესახებ, თითქოს კლუბი **ემანუელ ადებაიორთან** განშორებას აპირებდეს. „სიტიმაც“ და ტოგოელმა თავდამსხმელმაც საჯაროდ განაცხადეს, რომ ურთიერთთანამშრომლობით კმაყოფილები არიან და ურთიერთობის გაგრძელებას აპირებენ.

## ზელანდიელი ვესტ ჰემში

„ვესტ ჰემმა“ დანიური „მიდტიულანდისგან“ 22 წლის ახალზელანდიელი მცველი **ვინსტონ რიდი** შეიძინა. ეს უკანასკნელი თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. რიდმა სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე ზელანდიელთა სამივე მატჩი შეუცვლელად ჩაატარა და სლოვაკეთის ნაკრების კარში გოლიც გაიტანა.

## პორტუდან ზენიტში

**სწორედ** ეს გზა გაიარა პორტუგალიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა **ბრუნო ალვეშმა.** 29 წლის ალვეშმა სანკტ-პეტერბურგულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ზენიტმა“ „პორტუს“ მის სანაცვლოდ 22 მილიონი ევრო გადაუხადა. განვლილ მუნდიალზე ალვეში თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის შეუცვლელი ფეხბურთელი იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ერთი ტრავმის გამო

# რომ დაეხანათ...

**ჟოზე მოურინიომ** „რეალში“ მოღვაწეობისას პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და ის 100%-ით მართებული აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ამას ცნობილი ბელგიელი ქირურგი დოქტორი **მარკ მარტენსი** ამტკიცებს. „რეალის“ ბრაზილიელ ნახევარმცველ **კაკას** ხუთშაბათს ანტვერპენის კლინიკაში გაუკეთეს მუხლის ოპერაცია, რის შემდეგაც ფეხბურთელი მწვანე მინდორს 3-4 თვეში დაუბრუნდება. ოპერაცია კი იყო წარმატებული, მაგრამ მარტენსმა აღნიშნა, რომ დაგვიანება, დახანება, ოპერაციის გადავადება კაკას საფეხბურთო კარიერას სერიოზულად დაემუქრებოდა. მარტენსის თქმით, შეიძლებოდა მას საერთოდ ვეღარ ეთამაშა ფეხბურთი! ახლა კი მის კარიერას საფრთხე არ ემუქრება, სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ კაკა ჯანსაღი დაუბრუნდება „რეალს“.

და რა შუაშია მოურინიო? - იკითხავთ... თავშია! როგორც კი კაკამ ლოს ანჯელესში კლუბს ჩააკითხა და მოუმ მისი პრობლემის შესახებ გაიგო, ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო - სასწრაფო ოპერაცია! არადა „რეალის“ ექიმები დაკვირვებასა და დახანებას ურჩევდნენ თურმე...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ექიმი მარტენსი კაკას ტრავმას გვიხსნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები



კლაას იან ჰუნტელაარი

# ლაციო ჰუნტელაარით დაინტერესდა

„ლაციოს“ მესვეურები ძალიან გააქტიურდნენ და დღე არ გავა, რომ რომაულ კლუბთან დაკავშირებით რაიმე სატრანსფერო ინფორმაცია არ გავრცელდეს. „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, „ბიანკოჩელესტეს“ პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო კლაას იან ჰუნტელაარის** გადაბირებით დაინტერესდა და უახლოეს მომავალში მილანელ კოლეგასთან შეხმიანებას აპირებს. მართალია, ჰოლანდიელი თავდამსხმელის პირადი აგენტი აცხადებს, ჩემი კლიენტი არსად წასვლას არ აპირებსო, მაგრამ ფაქტია, რომ „როსონერის“ მესვეურები მის სარფიანად გასხვისებაზე უარს არ იტყვიან. თუნდაც იმიტომ, რომ გასულ სეზონში ჰუნტემ ვერაფერი ფეხბურთი აჩვენა და არავის აქვს იმის გარანტია, რომ მდგომარეობა მომდევნო სეზონში შეიცვლება. **ადრიანო გალიანის** სიტყვები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მილანელები ჰოლანდიელის გასხვისებაზე ფიქრობენ:

*„ჰუნტელაარი ძალიან კარგი ფორვარდია და ნამდვილად არ გვინანია, რომ გადმოვიბირეთ, მაგრამ თუ საინტერესო წინადადებას მივიღებთ, აუცილებლად განვიხილავთ. კლას-იანის ფასი 15 მილიონი ევროა და ეს კონტრაქტით არის გათვალისწინებული. ჯერჯერობით არავის გამოუთქვამს მისი შეძენის სურვილი და შესაბამისად, „მილანის“ სრულფასოვანი ფეხბურთელია“.*

„გაძეტა დელო სპორტი“ კი დაჟინებით იუწყება, რომ „ლაციოსა“ და „მილანის“ მესვეურებს შორის უკვე შედგა პირველი კონტაქტი და გარკვეული კონტურებიც გამოიკვეთა. კლაუდიო ლოტიტოს 15 მილიონი ევრო ეძვირა და ფასის განახევრება მოუთხოვია, რაც მილანელებმა იუარეს. ამის შემდეგ საბარტერო თანამშრომლობაზე ჩამოვარდა სიტყვა და მეტად საინტერესო პერსპექტივა გაჩნდა: ჰუნტელაარი „ლაციოში“ და **კრისტიან ლედესმა** „მილანში“. ლოტიტოს თქმით, ამ პირობებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ლომბარდიელები გარკვეულ თანხასაც ნაამატებენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთ ცნობებს ავრცელებს ავტორიტეტული გამოცემა და არ გვაქვს საფუძველი, რომ არ დავუჯეროთ.

**ლაშა ნიკლაური**

# დი ნატალე ვიოლაში?

ორიდღეა იტალიურ პრესაში აქტიურად იწერება იმის შესახებ, რომ „ფიორენტინას“ მესვეურები **ანტონიო დი ნატალეს** გადაბირებით არიან დაინტერესებულნი. მას შემდეგ, რაც **სტევან იოვეტიჩმა** ექვსთვიანი ტრავმა მიიღო და ფეხბურთს 2011 წლამდე გამოემშვიდობა, ფლორენციელები სატრანსფერო ბაზარზე გავიდნენ და რამდენიმე მიმართულებით გაშალეს ფრონტის ხაზი. ეს ბუნებრივიც არის, რადგან სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე არცთუ ისე ბევრი დროა დარჩენილი, იოვეტიჩს კი ღირსეული შემცვლელი სჭირდება. გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტოსკანელები **ანდრეა კოსუთი** არიან დაინტერესებულნი, თუმცა ძალიან მალე ყურადღების ეპიცენტრში დი ნატალე მოექცა. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ტოტომ 29 გოლის გატანა მოახერხა და ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირი გახდა. მართალია, დი ნატალეს პირადი აგენტი აცხადებს, რომ ფლორენციიდან არავინ შეხმიანებია, მაგრამ ფაქტია, რომ „ვიოლას“ მესვეურებს ანტონიოს მიმართ გარკვეული ინტერესი ნამდვილად აქვთ. ეს კლუბის სპორტული დირექტორის, **პანტელეო კორვინოს** სიტყვებიდან იკვეთება:

*„იოვეტიჩის დაშავებამ ბევრი თავსატეხი გაგვიჩინა და ბუნებრივია, რომ სატრანსფერო ბაზარზე გავაქტიურდით. პირველ რიგში, მაღალი კლასის შემტევი გვჭირდება, რათა სტევანის დანაკლისი გუნდს არ დაეტყოს. ანტონიო დი ნატალემ გასულ სეზონში 29 გოლი გაიტანა, რაც თავისთავად ყველაფერზე მეტყველებს. ტოტო მაღალი კლასის ფეხბურთელია და სიმართლე გითხრათ, მის გადაბირებაზე უარს არ ვიტყოდით. თუმცა, ჯერჯერობით, მოლაპარაკების პროცესი არ დაწყებულა. დი ნატალეს გარდა, ჩვენ კიდევ რამდენიმე შემტევით ვართ დაინტერესებულნი და რომელიმე მათგანს აუცილებლად გადავიბირებთ“.*

**ლაშა ნიკლაური**


ანტონიო დი ნატალე

საფრანგეთი

ლიგა 1. პირველი ტურის წინ

# ფრანგული ლიგა პირველი იწყება

| დღეს | |
|---|---|
| ოსერი-ლორიანი | 23:00 |
| ლანსი-ნანსი | 23:00 |
| ლიონი-მონაკო | 23:00 |
| მარსელი-კაენი | 23:00 |
| ნიცა-ვალანსიენი | 23:00 |
| პსჟ-სენტ ეტიენი | 23:00 |
| რენი-ლილი | 23:00 |
| სოშო-არლი | 23:00 |
| ტულუზი-ბრესტი | 23:00 |
| **ხვალ** | |
| მონპელიე-ბორდო | 23:00 |

თითქოს ახლახან იყო, ჩემპიონმა „ბორდომ“ ქრისტეშობისთვის მოპოვებული 11-ქულიანი უპირატესობა რომ გაანიავა და საბოლოოდ ტიტული **დიდიე დეშამის** „მარსელს“ გადაულოცა. სამხრეთელები პირველად 1992 წლის შემდეგ გაჩემპიონდნენ. შეძლებს კი „მარსელი“ ტიტულის შენარჩუნებას მორიგ სეზონში, რომელიც დღეს, ჩვენი დროით საღამოს 11 საათზე იწყება ერთდროულად საფრანგეთის 9 ქალაქში? მწვრთნელი **დიდიე დეშამი** მიიჩნევს, რომ ტიტულის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მოპოვება, მართებულადაც. პირველ დღეს ჩემპიონი ლიგა 1-ში დაბრუნებულ „კაენს“ გამოცდის.

„მარსელისა“ და ლიგა 1-ის ბომბარდირი **მამადუ ნიანგი** მიიჩნევს, რომ ჩემპიონი წლეულს უფრო ძლიერი იქნება, რადგან გუნდში უკვე ალლო აულეს არგენტინელი პლეიმეიკერის, **ლუჩო გონსალესის** თამაშის სტილს (ლუჩო, როგორც წესი, ბურთთან ერთი შეხებით ახერხებს საჭირო პასის გაკეთებას): *„გუნდი უკეთესია წლეულს. მაგალითისთვის, მე და ლუჩო უკეთ ვუგებთ ერთმანეთს, ერთმანეთის თამაშის სტილს შევეგუეთ. სტაბილურობა ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს, ლუჩო კი გაცილებით უკეთ დაეხმარება გუნდს, ვიდრე შარშან“*, - აცხადებს „მარსელის“ კაპიტანი.

„მარსელის“ საბოლოო სახე, მიუხედავად იმისა, რომ სეზონი დღეს იწყება, არ ჩამოყალიბებულა, მაგალითად, დეშამი არ მალავს, რომ „ბორდოდან“ **ალუ დიარას** ყიდვა სურს და კიდევ ერთი მაღალი დონის თავდამსხმელის, თუმცა სამხრეთელთა თავკაცი იქვე აკონკრეტებს, რომ უშველებელ თანხას გუნდი არ გადაიხდის. „მარსელს“ „არლიდან“ (სადაც იჯარით თამაშობდა) 20 წლის განელი **ანდრე აეუ** დაუბრუნდა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებენ, **აბედი პელეს** ვაჟმა მუნდიალზეც კარგად წარმოაჩინა თავი. სეზონის დასაწყისში ჩემპიონს დაცვაში გაუჭირდება, რადგან ტრავმის გამო საწყის თამაშებს **სულეიმან დიავარა** გამოტოვებს.

პირველი ტურის წინ კონკრეტულ მატჩებზე საუბარი ძნელია. ბუნებრივია, დიდ ინტერესს იწვევს პარიზული შეხვედრა „პარი სენ ჟერმენსა“ და „სენტ ეტიენს“ შორის, „ლიონის“ დაპირისპირება „მონაკოსთან“ და გასული სეზონის ორი ყოჩაღი გუნდის, „რენისა“ და „ლილის“ თამაში.

ტურის წინათქმას ჩვენც პირველობის სავარაუდო ლიდერთა ძალზე ზოგადი მიმოხილვა ვარჩიეთ.

**„მარსელი“:** *ლიდერი - ლუჩო გონსალესი;* მოუმატებს - ანდრე აეუ; სისუსტე - მამადუ ნიანგს აკლია შეტევაში კარგი პარტნიორი, ბრანდაო აშკარად ვერ „ქაჩავს“. სავარაუდოდ - ჩემპიონი.

**„ლიონი:** ლიდერი - **ლისანდრო ლოპესი**; მოუმატებს - **მაქსიმ გონალონსი**; სისუსტე - ნახევარდაცვის ხაზი, მით უფრო რომ ტულალანი დაცვაში დაიხევს; სავარაუდოდ - მე-2 ადგილი.

**„რენი“:** ლიდერი - ასამოა გიანი; მოუმატებს - *სილვენ მარვო*; სისუსტე - გამოუცდელი დაცვის ხაზი; სავარაუდოდ - მე-3 ადგილი.

**„ბორდო“:** ლიდერი - იოან გურკუფი; მოუმატებს - გრეგორი სერტიჩი; სისუსტე - შამახის წასვლით შეტევა ძალიან დასუსტდა; სავარაუდოდ - მე-4 ადგილი.

**„ლილი“:** ლიდერი - **ედენ ჰაზარდი**; მოუმატებს - **იოან კაბაიე**; სისუსტე - „მოკლე სკამი“; სავარაუდოდ - მე-5 ადგილი.

**გასული სეზონის საბოლოო ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 38 | 23 | 9 | 6 | 69-36 | 78 |
| 2. ლიონი | 38 | 20 | 12 | 6 | 64-38 | 72 |
| 3. ოსერი | 38 | 20 | 11 | 7 | 42-29 | 71 |
| 4. ლილი | 38 | 21 | 7 | 10 | 72-40 | 70 |
| 5. მონპელიე | 38 | 20 | 9 | 9 | 50-40 | 69 |
| 6. ბორდო | 38 | 19 | 7 | 12 | 58-40 | 64 |
| 7. ლორიანი | 38 | 16 | 10 | 12 | 54-42 | 58 |
| 8. მონაკო | 38 | 15 | 10 | 13 | 39-45 | 55 |
| 9. რენი | 38 | 14 | 11 | 13 | 52-41 | 53 |
| 10. ვალანსიენი | 38 | 14 | 10 | 14 | 50-50 | 52 |
| 11. ლანსი | 38 | 12 | 12 | 14 | 40-44 | 48 |
| 12. ნანსი | 38 | 13 | 9 | 16 | 46-53 | 48 |
| 13. პსჟ | 38 | 12 | 11 | 15 | 50-46 | 47 |
| 14. ტულუზი | 38 | 12 | 11 | 15 | 36-36 | 47 |
| 15. ნიცა | 38 | 11 | 11 | 16 | 41-57 | 44 |
| 16. სოშო | 38 | 11 | 8 | 19 | 28-52 | 41 |
| 17. სენტ ეტიენი | 38 | 10 | 10 | 18 | 27-45 | 40 |
| 18. ლე მანი | 38 | 8 | 8 | 22 | 36-59 | 32 |
| 19. ბულონი | 38 | 7 | 10 | 21 | 31-62 | 31 |
| 20. გრენობლი | 38 | 5 | 8 | 25 | 31-61 | 23 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ველოდრომზე მუდამ ასეთი ამბავია

ევროთასები

პლეი ოფის წილისყრა

# თარხნიშვილი ჯგუფური ეტაპის მიჯნაზე

გუშინ ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის პლეი ოფების წილისყრა გაიმართა. სამწუხაროდ, ქართული კლუბებისთვის ევროსეზონი უკვე დასრულებულია და ამიტომაც, ისღა დაგვრჩენია, სხვების ასპარეზობას მივადევნოთ თვალი. საინტერესოა, რომ თბილისის „დინამოს“ მძლეველ „შტურმს“ მეტოქედ ტურინის „იუვენტუსი“ ერგო, „ზესტაფონის“ მჯობნი „კარპატი“ კი სტამბოლის „გალათასარაის“ შეხვდება.

შეგახსენებთ, ის კლუბები, რომლებიც ამ ეტაპს გადალახავენ, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ავტომატურად მოხვდებიან. ჩემპიონთა ლიგაში ამის კარგი შანსი აქვთ ტირასპოლის „შერიფსა“ და მის ქართველ კაპიტან ვაჟა თარხნიშვილს, ევროპის ლიგაზე კი მოსკოვის „ლოკომოტივის“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ „კარპატის“, „ყარაბახისა“ და „დიორის“ შემადგენლობაში მოასპარეზე ქართველებს.

| ჩემპიონთა ლიგა |
|---|
| **17 აგვისტო** |
| **ჩემპიონთა გზა** |
| რუსენბორგი (ნორვეგია)-კოპენჰაგენი (დანია) |
| სპარტა (ჩეხეთი)-ჟილინა (სლოვაკეთი) |
| **უძლიერესთა გზა** |
| იანგ ბოისი (შვეიცარია)-ტოტენჰემი (ინგლისი) |
| ზენიტი (რუსეთი)-ოსერი (საფრანგეთი) |
| დინამო (უკრაინა)-აიაქსი (ჰოლანდია) |
| *განმეორებითი მატჩები 25 აგვისტოს გაიმართება* |
| **18 აგვისტო** |
| **ჩემპიონთა გზა** |
| ზალცბურგი (ავსტრია)-ჰაპოელი თ. (ისრაელი) |
| ბაზელი (შვეიცარია)-შერიფი (მოლდოვა) |
| პარტიზანი (სერბეთი)-ანდერლეხტი (ბელგია) |
| **უძლიერესთა გზა** |
| ბრაგა (პორტუგალია)-სევილია (ესპანეთი) |
| ვერდერი (გერმანია)-სამპდორია (იტალია) |
| *განმეორებითი მატჩები 24 აგვისტოს გაიმართება* |

| ევროპის ლიგა |
|---|
| პსჟ (საფრანგეთი)-მაქაბი თ. (ისრაელი) |
| ბაიერი (გერმანია)-ტავრია (უკრაინა) |
| ცსკა (რუსეთი)-ანორთოსისი (კვიპროსი) |
| ჰაიდუკი (ხორვატია)-უნირეა (რუმინეთი) |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია)-გენტი (ბელგია) |
| გენკი (ბელგია)-პორტუ (პორტუგალია) |
| დებრეცენი (უნგრეთი)-ლიტექსი (ბულგარეთი) |
| არისი (საბერძნეთი)-აუსტრია (ავსტრია) |
| გალათასარაი (თურქეთი)-კარპატი (უკრაინა) |
| პალერმო (იტალია)-მარიბორი (სლოვენია) |
| ბრიუგე (ბელგია)-დინამო (ბელარუსი) |
| ომონია (კვიპროსი)-მეტალისტი (უკრაინა) |
| ვასლუი (რუმინეთი)-ლილი (საფრანგეთი) |
| ნაპოლი (იტალია)-ელფსბორგი (შვედეთი) |
| სპორტინგი (პორტუგალია)-ბრონდბიუ (დანია) |
| გრასჰოპერი (შვეცარია)-სტიაუა (რუმინეთი) |
| ლივერპული (ინგლისი)-ტრაბზონსპორი (თურქეთი) |
| სელტიკი (შოტლანდია)-უტრეხტი (ჰოლანდია) |
| ბორუსია დ. (გერმანია)-ყარაბახი (აზერბაიჯანი) |
| აიკ (შვედეთი)-ლევსკი (ბულგარეთი) |
| შტურმი (ავსტრია)-იუვენტუსი (იტალია) |
| ხეტაფე (ესპანეთი)-აპოელ (კვიპროსი) |
| დანდი იუნ. (შოტლანდია)-აეკ (საბერძნეთი) |
| ალკმაარი (ჰოლანდია)-აქტობე (ყაზახეთი) |
| დნეპრი (უკრაინა)-ლეხი (პოლონეთი) |
| რაპიდი (ავსტრია)-ასტონ ვილა (ინგლისი) |
| ცსკა (ბულგარეთი)-ტნს (უელსი) |
| ბეშიქთაში (თურქეთი)-ჰიკ (ფინეთი) |
| სლოვანი (სლოვაკეთი)-შტუტგარტი (გერმანია) |
| სიბირი (რუსეთი)-ეინდჰოვენი (ჰოლანდია) |
| ბატე (ბელარუსი)-მარიტიმუ (პორტუგალია) |
| ლოზანა (შვეიცარია)-ლოკომოტივი (რუსეთი) |
| დიორი (უნგრეთი)-დინამო (ხორვატია) |
| ოდენსე (დანია)-მოზერველი (შოტლანდია) |
| პაოკ (საბერძნეთი)-ფენერბახჩე (თურქეთი) |
| ვილიარეალი (ესპანეთი)-დნეპრი (ბელარუსი) |
| ტიმოშოარა (რუმინეთი)-მანჩესტერ სიტი (ინგლისი) |
| მატჩები 19 და 26 აგვისტოს გაიმართება |

**ლევან ჯანეზაშვილი**

გერმანიის სუპერთასი



ბაიერნი და შალკე დღეს გერმანიის სუპერთასისთვის იბრძოლებენ

# ყველაფერი სუპერთასით იწყება!

## ბაიერნი პრობლემებით, მაგრამ ომახიანად. შალკეში რაულის ოფიციალური დებიუტი შედგება

დღეს, გერმანიის ქალაქ აუგსბურგში, სტადიონ „იმპულს-არენაზე" ქვეყნის სუპერთასი გათამაშდება, რომლისთვისაც მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი „ბაიერნი" და ვიცე-ჩემპიონი „შალკე" იბრძოლებენ. რეკორდმაისტერს საკადრო პრობლემები აქვს: რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებულია, ის მოთამაშეები კი, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზეს, ჯერ არ არიან სრულ მზადყოფნაში. „შალკეში" კი, **რაულის** ოფიციალური დებიუტი შედგება.

მიუხედავად საკადრო პრობლემებისა, „ბაიერნს" ამ საკმაოდ პრესტიჟული ტიტულის მოგება ძალიან უნდა. „ეს ნამდვილად არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტული, მაგრამ ესეც ტიტულია და ჩვენ ყველაფრის მოგება გვინდა. გადახალისებული შემადგენლობით „შალკეს" დამარცხება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ეს თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ," - უთხრა რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** „კიკერს".

მატჩისთვის „შალკეც" უდიდესი მონდომებით ემზადება. აღსანიშნავია, რომ „ბაიერნსაც" და გელზენკირხენულ კლუბსაც 500 000 ევრო შეუვათ - მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი 170 ქვეყანაში გადაიცემა. „სუპერთასს დიდი სიამოვნებით მოვიგებთ. დროა, გელზენკირხენში ეს ტიტული ჩავიტანოთ. ჩვენ ნამდვილად გვაქვს უპირატესობა იმ თვალსაზრისით, რომ უფრო დიდი ხანია, ვემზადებით და ამ უპირატესობის გამოყენება გვინდა," - ეს კი „შალკეს" თავკაც **ფელიქს მაგათის** სიტყვებია.

იმ დროს, როცა „შალკეში" რაული ოფიციალურ დებიუტს იზეიმებს და დიდი შანსია, რომ ტრავმირებული **ლევან ყენიას** გუნდში ესპანელი **სერხიო ესკუდეროს** დებიუტიც შედგეს, „ბაიერნს" არაერთი ფეხბურთელი აკლია. მთავარი დანაკლისი, რა თქმა უნდა, **არიენ რობენის** არყოფნაა. მასთან ერთად, ტრავმების გამო ვერც **დანიელ ვან ბუიტენი** და **ბრენო** ითამაშებენ. ბოლომდე არც **ფრანკ რიბერი** გამოჯანმრთელებულა და ვან გაალმა უარი უნდა თქვას იმ 10 ფეხბურთელზეც, რომლებმაც მუნდიალზე იასპარეზეს. მათ შორის, 8 გერმანელია, ორი კი ჰოლანდიელი (**ბრააფჰაიდი** და **ვან ბომელი**). თუმცა ლუისი აუგსბურგში მაინც წაიყვანს **ბასტიან შვაინშტაიგერს, ფილიპ ლამს, თომას მიულერს, ჰოლგერ ბადშტუბერს, იორგ ბუტრს** და **მიროსლავ კლოზეს**. **მარიო გომესი** და **ტონი კროოსი** კი მიუნხენში რჩებიან. მაგათს კი მხოლოდ **ტიმ ჰოოგლანდი** და **კრისტიან პანდერი** აკლია.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის სუპერთასი ბოლოს 1987-დან 1996 წლამდე თამაშდებოდა. 1997-დან 2007 წლამდე კი ლიგის თასი ერქვა და ტურნირის სახით იმართებოდა. ზოგადად, სუპერთასისთვის ჩემპიონი და თასის მფლობელი იბრძვიან ხოლმე, მაგრამ იმის გამო, რომ ორივე ტიტული „ბაიერნმა" მოიგო, მიუნხენური გიგანტი ვიცე-ჩემპიონ „შალკეს" ეთამაშება.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, დემიკელისი, ბადშტუბერი, კონტენტო - შვაინშტაიგერი, ტიმოშჩუკი - მიულერი, სოსა, ჰამით ალთინთოფი - ოლიჩი.

**შალკე (4-3-2-1):** ნოიერი - ჰაო, ჰიოვედესი, მეტცელდერი, ესკუდერო - ჯონსი, პაპადოპულოსი (ან ბაუმიოჰანი), რაკიტიჩი - ფარფანი, ედუ - რაული.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# შტუტგარტი: დეგენი მოდის, აიევი არა!

„შტუტგარტის" ხელმძღვანელებს განის ნაკრების ფლანგის ნახევარმცველის, **ანდრე აიევის** შეძენა უნდოდათ, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა და განელი ფეხბურთელი მარსელის „ოლიმპიკში" რჩება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „შტუტგარტის" შეფები აიევს ყველაფერზე შეუთანხმდნენ, მაგრამ ფრანგულმა კლუბმა მის სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო მოითხოვა და ამ თანხას ფეხი არ მოუცვალა. შტუტგარტელების აზრით კი, აიევის სანაცვლოდ 5 მილიონის გადახდა სისულელეა. შვაბური კლუბის ახალი მენეჯერის, ფრედი ბობიჩის თქმით, გუნდი აქცენტს „აუგსბურგის" გარემარბ **იბრაჰიმა ტრაორეზე** გადაიტანს, რომლის სანაცვლოდაც, მეორე ბუნდესლიგის კლუბი 2.5 მილიონ ევროს ითხოვს.

სამაგიეროდ, „შტუტგარტმა" ყველაფერი მოაგვარა „ლივერპულთან", საიდანაც მარჯვენა მცველ **ფილიპ დეგენს** ინათხოვრებს. შვეიცარიელი ფეხბურთელი „შტუტგარტში" არენდით გადავა და გერმანულ კლუბში ერთი წელი ითამაშებს. შვაბები დეგენს 1.2 მილიონ ევროს გადაუხდიან. აღსანიშნავია, რომ ფილიპს „ლივერპულში" ორჯერ მეტი ხელფასი ჰქონდა.

**გოტფრიდ ლენცი**



ოთარ მიმინოშვილი

# ქართული წყალბურთის ოდისევსი

„ლაგუნავერეზე" უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. ისინი აქტიურად ქომაგობდნენ ახალგაზრდა წყალბურთელებს, რომლებიც ევროპის პირველობაზე გამგზავრების წინ სპარინგ-მატჩს მართავდნენ უფროსებთან. გულშემატკივრებში ერთი ჭაღარათმიანი მამაკაცი გამოირჩეოდა, რომელიც ზოგჯერ რჩევა-დარიგებებსაც შეაშველებდა მოზარდებს. ყმაწვილებიც ყურადღებით უსმენდნენ ქართული წყალბურთის ოქროს ხანის ბრწყინვალე წარმომადგენელ **ოთარ მიმინოშვილს**, რომელსაც ცნობილმა ჟურნალისტმა **არჩილ გოგელიამ** მოხდენილად „ქართული წყალბურთის ოდისევსი" უწოდა.

მისი სპორტული ბიოგრაფია ბალახვანში დაიწყო. სხვა ქუთათური მოზარდებივით ფეხბურთით იყო გატაცებული. ერთხანს თავისუფალ ჭიდაობაში **ვალიკო გიგიაძესთანაც** ვარჯიშობდა. იქნებ, ამ გზასაც გაჰყოლოდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ „პროფილი" შეაცვლევინა.

— იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, ბიჭები რიონზე წავედით საბანაოდ, — გაიხსენა 55 წლის წინანდელი ამბავი ოთარ მიმინოშვილმა. — ცურვით გული რომ ვიჯერეთ, ქვიშიან ნაპირზე წამოვკოტრიალდით დასასვენებლად. თავზე უცხო კაცი წამოგვადგა. დიმიტრი ხორავა ვარო, გამოგვეცნაურა. რამდენიმე ბიჭი გამოგვარჩია და მეორე დღისთვის ლითოფონის ქარხანაში დაგვიბარა. დილაადრიან მივადექით მესერშემოვლებულ ეზოს, სადაც ბატონი დიმიტრიც დაგვხვდა. წყალბურთის გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ გაისად მოსწავლეთა სპარტაკიადაში ვიასპარეზოთო, გვითხრა. ყველას გაგვიხარდა. სიამოვნებით დავთანხმდით და იმ დღესვე დავიწყეთ ვარჯიში ქარხნის დიდ აუზში, რომელიც მეხანძრეებისთვის იყო განკუთვნილი და მხოლოდ დილაობით ივსებოდა. ჩვენც უთენია მივდიოდით სავარჯიშოდ...

1956 წელს წყალბურთელთა პირველ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ხორავას შეგირდებმა მე-4 ადგილი დაიკავეს. ქუთაისელთა ლიდერი **გივი ჩიქვანაია** კი თბილისის „დინამოში" მიიწვიეს. მომდევნო წელს ოთარ მიმინოშვილი ჩარიცხეს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში, რომელმაც საკავშირო პირველობაზე რიგაში ოქროს მედალი მოიპოვა. 1958 წელს ახალგაზრდა ქართველმა წყალბურთელებმა თბილისში ტიტული შეინარჩუნეს.

— იმავე წელს თბილისის „დინამოში" აღმოვჩნდი. — მიამბობს ბატონი ოთარი. — ამ გუნდის უმაღლეს ლიგაში აღზევებასა და საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე მედლის მოპოვებაში უდიდესი წვლილი **ვლადიმერ გოიაშვილსა** და **გიორგი დარახველიძეს** მიუძღვით, ცხადია, ისეთ წყალბურთელებთან ერთად, როგორებიც იყვნენ **ზურაბ** და **როსტომ ჩაჩავები, ირაკლი ჩხიკვაძე, ბორის მეგედი** და სხვა ცნობილი სპორტსმენები. 1958 წელი ჩემთვის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ საშუალო სკოლა დავამთავრე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე.

ორ ფრონტზე „იბრძოდა" ოთარ მიმინოშვილი და ორივეგან წარმატებას აღწევდა. რვა წლის განმავლობაში თბილისის „დინამოს" უცვლელი კაპიტანი გახლდათ. საქართველოს წყალბურთელთა უპირველესი გუნდის წევრებთან ერთად საკავშირო ჩემპიონატებზე ორჯერ ვერცხლისა და სამჯერ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე კი ორჯერ ვერცხლი და ერთხელ ბრინჯაო ხვდა.

— ოთარ მიმინოშვილი ინტელექტუალური წყალბურთელი გახლდათ, — მითხრა ერთხელ თბილისის „დინამოს" სახელოვანი თაობის წარმომადგენელმა, მიმინოშვილის ყოფილმა თანაგუნდელმა **მურთაზ გულედანმა**. — უნიკალური თვისებების თავდამსხმელის შეჩერება მეტოქეთა მცველებს ძალიან უჭირდათ. მახსოვს, 1967 წლის ხალხთა სპარტაკიადაზე მესამე ადგილისთვის რუსეთის ფედერაციის ნაკრებს ვხვდებოდით. მედლის მოსაპოვებლად მეტოქეს ფრეც ყოფნიდა, ჩვენ კი აუცილებლად გამარჯვება გვჭირდებოდა. როგორც ყოველთვის, მსაჯები ამჯერადაც რუსებს უჭერდნენ მხარს. მატჩი მეტოქისთვის სასურველი ანგარიშით უნდა დასრულებულიყო, რადგან საფინალო სასტვენამდე 5 წამი რჩებოდა. ამ დროს, მართლაც ოდისევსივით, მთელი ტანით ამოიმართა წყლიდან ოთარი, ჰაერში მილებული ბურთი წყალზე დაუშვებლად გადაგზავნა მოწინააღმდეგის კარისკენ და გამარჯვების გოლი გაიტანა. მსგავს სიტუაციებში ოთარ მიმინოშვილს ბევრჯერ გადაუწყვეტია თამაშის ბედი ჩვენს სასარგებლოდ. და ეს არ ყოფილა შემთხვევით, რადგან იგი მაშინდელი წყალბურთის სტანდარტებსა და „კლიშნებში" არ ჯდებოდა. ამიტომაც იყო საშიში მეტოქეთა მეკარეებისთვის. საოცარი შეფასების უნარით გამოირჩეოდა: შეუცდომლად გუმანობდა მოწინააღმდეგის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ მომზადებას, რაც წარმატების მიღწევაში გვეხმარებოდა. მისი ინტუიცია ინტელექტთან იყო დაკავშირებული. ამიტომაცაა მისი ნაწერებიც სხვებისგან გამორჩეული. განსაკუთრებით ეს ფერეიდანსა და ფერეიდნელებზე დაწერილ სტატიებს ეხება...



მარცხნიდან: დავით იაშვილი, ოთარ მიმინოშვილი, ნოდარ გვახარია

მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე სხვადასხვა სინჯის მედლების მოპოვებასთან ერთად ოთარ მიმინოშვილი უნივერსიტეტში ფრიადზე სწავლასაც ახერხებდა.

— ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დეკანმა **შოთა მესხიამ** აკადემიკოს **გიორგი ჩიტაიასთან** წარმადგინა — ნიჭიერი ყმაწვილია და ასპირანტურაში შესასვლელად რეკომენდაცია გავუწიოთო. სპორტი ხელს არ შეგიშლისო? — მკითხა. არა-მეთქი, ვუპასუხე. ასპირანტურაში რომ ჩავირიცხე, ბატონმა გიორგიმ დავალება მომცა, დროულად ვერ შევასრულე, რადგან, საერთაშორისო ტურნირზე გავემგზავრე. სხვა რა გზა მქონდა — ვიცრუე, მაღალი ტემპერატურა მქონდა და დავალება ვერ შევასრულე-მეთქი. გაეღიმა. მერე, შენს მწვრთნელს ჭკუა არ ეყო, სიცხიანს რომ გათამაშებდაო, მითხრა და წინ გაზეთი „ლელო" დამიდო...

ოთარ მიმინოშვილმა ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ჯერ საკანდიდატო, მერე სადოქტორო დისერტაციები დაიცვა, იყო თსუ-ს ეთნიკური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შემსწავლელი ლაბორატორიის ხელმძღვანელი, კათედრის გამგე, სპეციალიზებულ მოსამზადებელ სასწავლო ცენტრს უძღვებოდა, სპორტულ კლუბ „მიმინოს" ედგა სათავეში, უნივერსიტეტთან დააარსა სპორტული კოლეჯი. სათუთად უფრთხილდებოდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა სტუდენტ სპორტსმენებს. ცნობილმა წყალბურთელმა, ამჟამად საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ბითაძემ** მითხრა, უნივერსიტეტში ბატონი ოთარი მასწავლიდა, ისე საინტერესოდ კითხულობდა ლექციებს, მეცადინეობებს ვერ ვაცდენდით. სტუდენტ სპორტსმენთა პატრონი და გამკითხავი იყო. რომ არა მისი გულისხმიერება, შესაძლოა, ბევრ ათლეტს სწავლისთვის თავიც დაენებებიაო.

ოთარ მიმინოშვილს საზოგადოება იცნობს, ასევე, როგორც რამდენიმე მონოგრაფიის ავტორს, განთქმულ თამადასა და აშუღს.

**— ვასილ კელენჯერიძესთან გაჯიბრების ამბავსაც ხომ არ მომიყვებით-მეთქი, ვკითხე ბატონ ოთარს.**

— რას ამბობ, კაცო, არავითარი შეჯიბრება არ ყოფილა. უბრალოდ, მე და ჯემალ ზეინკლიშვილი რუსთავში ჩავედით ავტომანქანის გადასაფორმებლად. ამ დაწესებულებას ერთი შესანიშნავი პიროვნება ვასილ კელენჯერიძე ხელმძღვანელობდა. საბუთები რომ გავაფორმეთ, სადილად დაგვპატიჟა.

8-8 ბოთლი შემოგვესვა თითოეულს. მე და ჯემალს მგზავრობის თავი რომ არ გვქონდა, იქვე მანქანაში დავიძინეთ. შუაღამისას მუსიკის ხმამ გამომაღვიძა. ბორჯომის დასალევად სასადილოში ძლივს შევბრუნდი. ვხედავ, სუფრაა გაშლილი, კელენჯერიძე ვეება თასით სადღეგრძელოს ამბობდა. თურმე დაბადების დღე ჰქონია და სუფრას თვითონ თამადობდა...

მოსაგონარსა და გასახსენებელს რა გამოულევს სახელოვან წყალბურთელს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, ღირსეულ პიროვნებას ოთარ მიმინოშვილს, რომელსაც ამ დღეებში 70 წელი შეუსრულდა. „ქართული წყალბურთის ოდისევსი" ამჟამად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში მოღვაწეობს, დღემუდამ სპორტულ სამყაროში ტრიალებს, ისევ ფუტკარივით ფუსფუსებს, უყვართ და პატივს სცემენ თავადაც სიყვარულის მთესველს.

**ვაჟა დანელია**

ოლიმპიზმი

# სან-მარინოსა და საქართველოს ეოკ-ებმა მემორანდუმი გააფორმეს




საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიარების დღიდან ევროპაში საკმაო ავტორიტეტი მოიხვეჭა, რაც არაერთხელ დადასტურებულა თბილისში ევროპის ოლიმპიური ოჯახის მაღალჩინოსნებისა თუ სხვადასხვა ქვეყნის ეოკ-თა ხელმძღვანელების სტუმრობით.

სეოკ-ი პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილის** თაოსნობით აგრძელებს ევროპის ქვეყნების ოლიმპიურ კომიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობას და მათთან საქმიანი ურთიერთობების განმტკიცებას. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ირლანდიის, ესპანეთისა და კვიპროსის ეოკ-ებთან, ახლახან - სან-მარინოსთან, რომელსაც სან-მარინოში **ანჯელო ვიცინიმ** და მისმა კოლეგამ გია ნაცვლიშვილმა მოაწერეს ხელი. მემორანდუმის გაფორმებას ესწრებოდნენ სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე** და სან-მარინოს ეოკ-ის გენერალური მდივანი **ეროს ბოლონა.** შეთანხმება ორი ქვეყნის ეოკ-ებს შორის ხანგრძლივ თანამშრომლობას უყრის საფუძველს. ქართულ მხარეს ასევე შეხვედრები ჰქონდა სან-მარინოს ეოკ-ის აღმასკომის წევრებთან, ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელებთან და ტურიზმის, სპორტისა და ეკონომიკური დაგეგმარების მინისტრთან **ფაბიო ბერარდთან.**

დოკუმენტი ხუთი პუნქტისგან შედგება და ბევრ აქტუალურ საკითხს მოიცავს. ოლიმპიური იდეალების ერთგულებისა და განმტკიცების საკითხების გარდა, მხარეები გააღრმავებენ ეფექტურ თანამშრომლობას მაღალი მიღწევების სპორტში და სპორტი ყველასათვის, სპორტსმენებისა და მწვრთნელების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, დაგეგმავენ ერთობლივ საწვრთნელ შეკრებებს ძიუდოში, ტყვიის სროლაში, ძალოსნობაში, ჭადრაკსა და სხვა სახეობებში, გააფართოებენ გამოცდილების გაზიარებას და ა.შ.

ვიზიტის ფარგლებში ჩვენმა დელეგაციამ ქალაქ პარმაში იტალიის, ევროპისა და მსოფლიო ბეისბოლის ფედერაციების პრეზიდენტის, საქართველოს დიდი მეგობრის, საერთაშორისო სპორტული სამყაროს ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის ალდო ნოტარის საფლავი მოინახულა და მის ხსოვნას პატივი მიაგო.

**სეოკ-ის პრესსამსახური**

მსოფლიოს / ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები

# სინგაპური მსოფლიოს ახალგაზრდებისთვის




10 აგვისტოს საქართველოს დელეგაცია სინგაპურში გაფრინდება, სადაც 14-26 აგვისტოს მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები გაიმართება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახლანდელი პრეზიდენტი, ბელგიელი დოქტორი **ჟაკ როგი** ადრე ევროპის ოლიმპიურ მოძრაობას თავკაცობდა და მისი ინიციატივით დამკვიდრდა ევროპის ახალგაზრდული სპორტული დღეები (შემდგომში ფესტივალი ეწოდა). მაშინ როცა მსოფლიო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეაც დაებადა, მაგრამ ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმა სოკ-ის პრეზიდენტად მისი არჩევის შემდეგ დაიწყო.

თუმცა სოკ-მა ახალ თამაშებში მონაწილეთა შერჩევის ცოტა მოუხერხებელ სისტემას მიმართა - სპორტის უმეტეს სახეობაში ქვეყნებზე კვოტები ძალზე ხელმომჭირნედ, ხშირად მინიმალური რაოდენობითაა განაწილებული. მაგალითად, ძიუდოში თითო ქვეყანას მხოლოდ ორი საგზური მიეცა და აქაც გენდერული ბალანსის მკაცრი დაცვით - ერთი აუცილებლად გოგო უნდა ყოფილიყო. ორ-ორი კვოტა გამოიყო ჭიდაობაშიც, რაც ასევე ცოტა გვგონია.

სამწუხაროდ, ჩვენმა ჭაბუკებმა ამ ისედაც შემჭიდროვებული ოდენობის საგზურებში იმის ნახევარი მოიპოვეს, რასაც ზემდგომნი მოელოდნენ - ათიდან ხუთი ლიცენზია. აქედან ორ-ორი ძიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობაშია, ერთიც - ცურვაში. ძიუდოისტთა ტურნირში **ბექა ტულუში** (66) და **სოფიო ბერიძე** (63) იჭიდავებენ, „თავისუფალთაგან" იქ გამოსვლის უფლება **ირაკლი მოსიძემ** (63) და **გენო პეტრიაშვილმა** (100) მოიპოვეს, ცურვაში კი **გიორგი მთვრალაშვილი** წარგვადგენს. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ბერძენ-რომაელთა ულიცენზიოდ დარჩენა იყო. არადა, მათგანაც სრულ კვოტას ველოდებოდით, შანსიც იყო, მაგრამ მაინც ხელი მოგვეცარა... ჩვენებურთაგან თამაშებში პირველი მთვრალაშვილი ჩაებმება - 15 აგვისტოს, მერე კი, 17 აგვისტოს „თავისუფლად" მოჭიდავეთა ჯერი დადგება (აქვე შეგახსენებთ, რომ მოსიძე ამ დღეებში სარაევოში ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე მესამე პრიზიორი გახდა), ხოლო ძიუდოისტები 21-23 აგვისტოს ჭიდაობენ. აქვე იმაზეც ვთქვათ, რომ თამაშების პროგრამაში სპორტის 26 სახეობაა, მათ შორის საკმაოდაა გუნდური - ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი...

ჩვენი დელეგაცია 14-კაციანია. ხუთ სპორტსმენს ორი მწვრთნელი მიჰყვება - „თავისუფლებს" კვლავაც ჭაბუკთა ნაკრების თავკაცი **თამაზ ბენდიანიშვილი** დამოძღვრავს, რაკი ეს თამაშები ისედაც ამ ასაკში ტარდება. ძიუდოისტებს ამჯერად ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გია თენაძე** გაჰყვება, მთვრალაშვილი კი უმწვრთნელოდ მიდის. ამ შვიდეულთან ერთად ოლიმპიურ სოფელში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანამშრომლები - **გიორგი ესაკია და რუსუდან აფციაურიც** იცხოვრებენ, სეოკ-ის ხელმძღვანელობა კი - ხუთი კაცი - ოფიციალურ სტუმართა სასტუმროში განთავსდება. ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელი ესაკია იქნება, დელეგაციას კი სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** უხელმძღვანელებს.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი

# თბილისი ისრაელით იწყებს

სასიამოვნოა, რომ სახელბურთო ევროტურნირები არც წლეულს ჩაივლის ქართული კლუბის გარეშე. ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე, უფრო კონკრეტულად კი, ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე ამჯერადაც საქართველოს ჩემპიონი "სსაუ-თბილისი" წარმოადგენს. პირველ რაუნდში მისი მეტოქე რიშონ ლე ზიონის "ჰაპოელი" იქნება. სავარაუდოდ, განმეორდება ბოლო წლებში დამკვიდრებული პრაქტიკა და ჩვენი გუნდი ორივე მატჩს სტუმრად ჩაატარებს. "ჰაპოელი" და "სსაუ-თბილისი" ისრაელში 4 ან 5 და 11 ან 12 სექტემბერს ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ შარშან ჩვენმა ჩემპიონმა ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე ერთი ეტაპის გადალახვა შეძლო. პირველ რაუნდში ქართველებმა კვიპროსულ "პაფოსს" აჯობეს, რის შემდეგაც პორტუგალიურ "ბენფიკასთან" დამარცხდნენ.

"სსაუ-თბილისმა", რომელსაც **რევაზ ჭანტურია** და **მამუკა მჟავანაძე** ხელმძღვანელობენ, ევროპის ფედერაციაში საევროტურნირო განაცხადიც წარადგინა: **ოთარ ამირანაშვილი, კორნელი ანდრიაძე, ირაკლი ღლანიძე, ლევან გელაშვილი, ალექსანდრე გონჩაროვი, გიორგი იობაშვილი, ტიტე კალანდაძე, ვანო ქარდავა, აკაკი ყაველაშვილი, გიგა კიკნაძე, ალექსანდრე ლობჟანიძე, უჩა მაისურაძე, ირაკლი თევზაძე, ლექსო წითელიშვილი, ომარ წივწივაძე, ჯუმბერ ხუნჯუა.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

მშვილდოსნობა — მსოფლიოს თასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ პირველ ბარიერთან

მშვილდოსან ქალთა ნაკრები ამერიკულ ოგდენში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშების გუნდურ პირველობას პირველივე ტურიდან გამოეთიშა - ინდოელებთან 201:220 წააგეს. მეტოქემ საკვალიფიკაციო ეტაპზე მეექვსე შედეგი აჩვენა, ჩვენებმა - მეთერთმეტე. ინდოეთის ნაკრები არ მიეკუთვნება გრანდებს და ვერც ტიტულოვანი მსროლელებით დაიკვეხნის. თუმცა აზიელებმა ამ ტურნირზე საკუთარ თავს აჯობეს - მეოთხედფინალში ესპანელებს 218:182 მოუგეს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ნახევარფინალში გააკეთეს - ჩინეთის გუნდი 215:206 დაამარცხეს. ჩინელებს ამერიკაში ლიდერი, პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი **ჟუან-ჟუან ჭანგი** არ ჩაუყვანიათ, მაგრამ ისინი გუნდურ პირველობაში ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონები არიან, ასეთ ნაკრებში კი ლიდერის მცნება იმდენად პირობითია, ვინც მის შემადგენლობაში მოხვდება, ყველა ანგარიშგასაწევია. ინდოელები შედეგებით მათთან ახლოსაც ვერ მოვლენ - ვერც გუნდურად გაეჯიბრებიან და ვერც პირად პირველობაში ნაჩვენები შედეგებით შევადარებთ ერთმანეთს. თუმცა გუნდურ პირველობას სხვა დატვირთვა აქვს. ინდოელებმაც უფრო მეტი ერთსულოვნება გამოავლინეს და ფინალში გავიდნენ, სადაც დღეს კორეელებს შეხვდებიან. კორეამ გაამართლა ფავორიტის იმიჯი და გადამწყვეტ შეხვედრამდე იოლად მივიდა კანადის, იტალიის და მონღოლეთის ძლევით. დღესვე გაიმართება ორთაბრძოლა მესამე ადგილისთვისაც მონღოლეთსა და ჩინეთს შორის. დღესვე იბრძოლებენ მედლებისთვის პირად პირველობაშიც, სადაც ქალთა ტურნირი მთლიანად კორეელთა შინაურ პაექრობად გადაიქცა - მათი ოთხივე მონაწილე ფინალში გავიდა, იქ კი ლიდერები უტიტულო თანამემამულეებთან დამარცხდნენ. პირად ჩათვლაში პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა **ოკ-ჰეე იუნმა ბო-ბაე კისთან** 2:6 დათმო, გუნდურ ჩათვლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ჰიუნ-ჟონგ ჟოომ** იმავე ანგარიშით **მოონ იუნგ კიმთან** წააგო. ამდენად ოქროსთვის კიმი და კი იასპარეზებენ, ბრინჯაოსთვის - იუნი და ჟოო.

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკებში

# ბერძნული დღეები ბოსნიაში

სარაევოს სპორტკომპლექს „ზეტრაში" გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის. „თავისუფალთა" შემდეგ გუშინ ტურნირი გოგოებმაც დაამთავრეს, დღეს და ხვალ კი ასპარეზობაში ბერძენ-რომაელები ჩაებმებიან.

კონტინენტის პირველობაში ჩვენი ნაკრები სრული შემადგენლობით გამოვა. მწვრთნელმა **ვაჟა კრავეიშვილმა** სარაევოში **ედნარ შავაძე** (42), **მურთაზ ჩაბრავა** (46), **შმაგი ბოლქვაძე** (50) **ამირან შავაძე** (54), **რამაზ სურმანიძე** (58), **ფირუზ წულუკიძე** (63), **მათე ბერიძე** (69), **ლაშა გობაძე** (76), **რობერტ ქობლიაშვილი** (85), **იაკობ ქაჯაია** (100) წაიყვანა. დღეს ედნარ შავაძე, ბოლქვაძე, სურმანიძე, ბერიძე და ქობლიაშვილი იჭიდავებენ. წუხელ წილისყრამაც გაარკვია მათი მეტოქეები. 42 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველ წრეში ყველა ისვენებს ერთი წყვილის გარდა და იმასაც შავაძე და ლატვიელი **ნიკიტა მაჟუკსი** შეადგენენ. ამათში გამარჯვებულს აზერბაიჯანელი **კარიმ ჯაფაროვი** ელოდება და, სავარაუდოდ, მძიმე ბრძოლასაც გაუმართავს. პირველ წრეში დასვენება არც ევროპის შარშანდელ ვიცე-ჩემპიონს, ოღონდ 42-ში, ბოლქვაძეს ერგო - ბელარუს **იაჰორ ბელიაკს** ხვდება, ამათში მოგებული კი მეორე შეხვედრას უნგრელ **ბენცე ჟუნაცსა** და ბულგარელ **ჰალილ ათანასოვის** წყვილში გამარჯვებულთან გამართავს. პირველივე წრეში იჭიდავებს სურმანიძეც - უნგრელ **ადრიან კრანიტცთან**. ჩვენებური ძალიან ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდა - აქვე გამოდიან ბულგარელი, რუსი, თურქი და აზერბაიჯანელი ფალავნები. ამ წონაში შარშან ევროპის ჩემპიონი წულუკიძე გახდა (ის ახლა ზედა წონაშია), მომდევნო ადგილებზე კი სწორედ ბულგარელი, თურქი და რუსი გავიდნენ, ოღონდ არა წლევანდელი ფალავნები. ბერიძე პირველი წრის შეხვედრას გერმანელ **გეორგ შცვარცთან** ჩაატარებს. მის ნახევარშიც ლამის ყველა ძლიერი საჭიდაო სკოლის წარმომადგენელია - რუსი, თურქი, ბულგარელი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი, უნგრელი, ჩეხი... პირველივე წრეში იჭიდავებს ქობლიაშვილიც ლიტველ **ტომას გალკუსთან**, მასთან წარმატების შემთხვევაში კი ბულგარელ **ილიან გაზეპოვსა** და ესტონელ **ესტ პიკსარს** შორის მოგებულს შეხვდება.

აქვე შეგახსენებთ, რომ სარაევოში, ევროპის ჩემპიონატზე „თავისუფლებმა" ერთი ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო მოიპოვეს. კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი **ლაშა ბითარაშვილი** (54) გახდა, ბრინჯაოს მედლები კი **ირაკლი მოსიძემ** (63), **დავით ბუზიაშვილმა** (58), **ლაშა გიგაშვილმა** (69) და **ლევან გოგრიჭიანმა** (85) მოიპოვეს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# მალე ათასეულშიც არავინ გვეყოლება

ვერა და ვერ აღიდგინა შარშანდელი ფორმა 18 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (631), რომელიც არცთუ დამაკმაყოფილებელი რეიტინგის მიუხედავად, მაინც პირველი ჩოგანია საქართველოში, რადგან, ფაქტობრივად, სხვა პროფესიონალი ჩოგბურთელი ვაჟი არც გვყავს - ნიკას თებერვლის შემდეგ არ გაუღწევია თუნდაც ყველაზე დაბალი კატეგორიის ტურნირის მეოთხედფინალში. ბასილაშვილი ამერიკის ქალაქ დეკატურში იმყოფებოდა, სადაც „ფიუჩერსის" სერიის ტურნირის მერვედფინალში ადგილობრივ ურეიტინგო ჩოგბურთელს ხვდებოდა. 21 წლის **ჯონი ჰამუის** არასოდეს მოუწყვეტია ციდან ვარსკვლავები და დასანანია, ასეთ ჩოგბურთელს, რომ ვერ აჯობა ქართველმა - 6:2, 1:6, 3:6. აგვისტოს ბოლოს ბასილაშვილს შარშან სოჭში მოგებული ტურნირისთვის მიღებული 17 ქულა მოაკლდება, რაც მისი საერთო მონაგარის (33 ქულა) ნახევარზე მეტია. ასე რომ, მალე, შეიძლება, ერთი ქართველიც აღარ დარჩეს მსოფლიოს ვაჟ ჩოგბურთელთა ათასეულში!

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (149) წლეულს ყველაზე ცუდად ვანკუვერში (75 ათასი დოლარი) ითამაშა. ერთეულთა თანრიგში ხომ გავარდა ყველასთვის უცნობ ჩოგბურთელთან, ვერც წყვილებში ივარგა - მეორე რაუნდში მე-2 ნომრად განთესილმა ტატიშვილმა და **ლილია ოსტერლომ** (142) „უაილდ ქარდით" მიწვეულ სრულიად უცნობ კანადელებთან (**აბანდა, ბოუჩარდი**) წააგეს - 3:6, 5:7.

ამ კვირაში არსად ჩანდა **მაკა ჩახნაშვილი** (212), რომელიც თურმე საფრანგეთში ლნა-ს საკლუბო პირველობაზე ასპარეზობდა, წარმატებითაც, მაგრამ საკლუბო გამარჯვებები ვტა-ს რეიტინგში არ ითვლება...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამატჩევს

## ბელგია-საქართველო 74:64

19:23, 19:18, 16:13, 20:10

ბელგია-საქართველო ქართველთა თვალით

# იგორ კოკოშკოვი: კალათბურთი მათემატიკა არ არის

ბელგიური მატჩის შემდეგ წაგების მიზეზებზე ბევრი რამ დაიწერა, თუმცა, მკითხველისთვის გაცილებით საინტერესო უნდა იყოს კომპეტენტური აზრი. გუშინ ანტვერპენში დავუკავშირდით საქართველოს ნაკრების მწვრთნელ დავით უსტიაშვილს, რომელმაც მატჩის შესახებ ამომწურავად ილაპარაკა. ვიდრე მის ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იგორ კოკოშკოვის კომენტარს შემოგთავაზებთ:



გიორგი ცინცაძე

- პოლონეთის ნაკრები 19 ქულის სხვაობით დავამარცხეთ... კალათბურთი მათემატიკა არ არის და ერთ მატჩში დიდი სხვაობით გამარჯვება მეორე შეხვედრისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. ბელგიის ნაკრებმა მატჩის გადამწყვეტ მომენტში უკეთესად ითამაშა და ამიტომაც გაიმარჯვა.

იგორ კოკოშკოვის ასისტენტ **დავით უსტიაშვილთან** ინტერვიუ წაგების მთავარ მიზეზებზე საუბრით დავიწყეთ.

- ბელგიის ნაკრები კარგი გუნდია. მან დაცვაში აგრესიულად ითამაშა. ამის უფლება მსაჯებმაც მისცეს. ჩვენი მხრივ, ბევრი შეცდომა დავუშვით, რამაც შეხვედრის მსვლელობაზე დიდი გავლენა იქონია. ამასთან, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს ნაკრებს ბოლო მეოთხედში დაღლა დაეტყო.

**- ბელგიელებმა პერიმეტრზე თამაში გვაჯობეს...**

- მასპინძლებს სამი წამყვანი მეფარე აკლდათ. ამიტომ აქცენტი პერიმეტრიდან თამაშზე გადაიტანეს. ბელგიის ნაკრები მოძრავი გუნდია და მთელი მატჩის განმავლობაში პრესინგი ითამაშა. მან შარშან საფრანგეთი დაამარცხა და დარწმუნებული ვარ, შინ არაერთ ლიდერს გაამწარებს.

**- არადა, გამარჯვების შანსი გვქონდა...**

- იყო შეცდომები, შეტევაშიც სათანადოდ ვერ გავისარჯეთ, ჩემი აზრით, გადამწყვეტი ეპიზოდი მეოთხე პერიოდის დასაწყისში იყო: მაშინ, როცა 57:54 დავწინაურდით და გუნდი ალმავლობას განიცდიდა, ბელგიელმა მდივნებმა ერთი ქულა ჩამოგვაკლეს. შეიძლება, საბოლოოდ ეს ერთი ქულა გადამწყვეტი არ აღმოჩნდა, თუმცა იმ ეპიზოდში, როცა გუნდი ემოციურად დამუხტული იყო, ქულის დაკლების გამო დროის გაჩერებამ ბელგიელთა წისქვილზე დაასხა წყალი.

**- ტელევიზიით დავინახეთ, რომ ამ ფაქტს აპროტესტებდით, თუმცა ვერ გავარკვიეთ, როდის მოხდა შეცდომა...**

- გადახედეთ მატჩის ოქმს - ვიქტორ სანიკიძეს უწერია, თითქოს ერთიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა. არადა, ყველას კარგად ახსოვს, რომ მან ორი საჯარიმო ჩააგდო. სწორედ ვიქტორის ერთი ქულა ჩამოგვაკლეს. თუმცა, გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ამ ამბავს დიდი პაუზა მოჰყვა. იყო კიდევ ერთი პრობლემა - ზაზა ფაჩულიამ ნაადრევად მიიღო 4 ჯარიმა. ასე რომ არ მომხდარიყო, იგი 4-5 წუთით მეტს ითამაშებდა.

**- ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გუნდი ბოლო წუთებს გადაღლილი შეხვდა.**

- ბოლოს დაღლა მართლაც დაგვეტყო. ეს მგზავრობის ბრალიც იყო და მეტოქისაც - ბელგიელები აგრესიულად, ჯარიმის ზღვარზე თამაშობდნენ. ასეთ დროს კი, გამარჯვებისთვის ორმაგი ენერგიაა საჭირო.

**- შემდეგი მატჩი პორტუგალიასთანაა. მეტოქის მატჩების ჩანაწერები თუ გაქვთ?**

- პორტუგალიის ამხანაგური მატჩებიც გვაქვს და პოლონეთთან შეხვედრის ჩანაწერსაც ვნახავთ. ამ მატჩისთვის სერიოზული მომზადებაა საჭირო, რადგან ზედა ლიგაში ლუქსემბურგისა და სლოვაკეთის დონის გუნდები აღარაა. ყოველ მატჩზე მაქსიმალური მობილიზება დაგვჭირდება.

**- ბელგიაში მატჩს უამრავი ქართველი დაესწრო...**

- მათ მადლობას მოვახსენებ. ქართველი ქომაგი გუნდს ძალიან დაეხმარა და შეხვედრა უფრო საინტერესო გახადა. ახლა პორტუგალიასთან მატჩისთვის ვემზადებით და ვიმედოვნებთ, რომ სპორტის სასახლე კვლავ გაივსება. ქართველ ქომაგზე ბევრია დამოკიდებული.




U 16. B დივიზიონი

## შურისძიება

6 აგვისტო, ტალინი (ესტონეთი)

**საქართველო-ბელგია 65:64**

16:16, 14:15, 10:19, 16:6, 9:8

საქართველო: გოლეთიანი (3 წთ), გოგბაიძე (32 წთ, 2ქ), რამიშვილი (22 წთ, 11ქ, 4ჩ, 4მ, 5ფ), ბურჯანაძე (18 წთ, 13ქ, 12მ, 2დ), გრძელიძე (21 წთ, 9ქ), ლოლიშვილი (19 წთ, 8ქ, 7მ), მიქელაძე (33 წთ, 15ქ, 4პ), კვანტალიანი (12 წთ, 4ქ), ცირეკიძე (33 წთ, 1ქ), ფხალაძე (6 წთ), ნადირაძე (21 წთ, 2ქ, 2დ, 4მ)

ბელგია: ლეკომტე (18ქ), ელ ხოუნჩარი (11ქ, 6მ, 4ჩ)...

ქართველმა კადეტებმა ეროვნული ნაკრების ბელგიასთან მარცხის გამო შური იძიეს. მათ შეუპოვარი ხასიათი ბოლომდე გამოამჟღავნეს და მეოთხე პერიოდის დასაწყისში 10 ქულიანი ჩამორჩენა იოლად აღმოფხვრეს. ძირითადი დრო ფრედ, 56:56 დასრულდა, ხოლო დამატებით დროში 58:64 ჩამორჩენის მიუხედავად **მიქელაძის** სამქულიანისა და **გრძელიძის** ორი საჯარიმოს შემდეგ სხვაობა ქულამდე შემცირდა. ოვერტაიმის დასრულებამდე 10 წამით ადრე მიქელაძემ ორქულიანით თანაგუნდელებს გამარჯვება მოუტანა - 65:64.

პრობლემა

# ჩარტერი!



კარგად მახსოვს, 1995 წელს ერთ დღეს ბულგარელები და ბოსნიელები როგორ დავამარცხეთ. ბულგარეთის ნაკრებს ფეხბურთელებმა აჯობეს, ხოლო ბოსნიისას - კალათბურთელებმა. საკალათბურთო მატჩის კომენტატორმა რეპორტაჟის მსვლელობისას მთავრობას მადლობა გადაუხადა - კიდევ კარგი, სამი დღის წინ ჩვენი ნაკრები სლოვაკეთში (სადაც შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი ჩავატარეთ) ჩარტერული რეისით გაფრინდა, თორემ თბილისში ბოსნიელები ჩამოგვასწრებდნენო...

1995 წელს საქართველოს ნაკრებს ჯგუფში ერთით მეტი თამაში რომ მოეგო, ევროპის ჩემპიონატზე მოხვდებოდა. მას მერე 15 წელი გავიდა და საკალათბურთო ნაკრები პირველად მიუახლოვდა ევროპას.

2 აგვისტოს პოლონეთის ნაკრებთან დიდი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ ჯგუფში საუკეთესო ორ გუნდს შორის მოვხვდებით და ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოვიპოვებთ. მართალია, ბელგიაში წავიფორხილეთ, მაგრამ... პირველმა ორმა მატჩმა დაგვანახვა, რომ ჩვენს ნაკრებს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს...

თუმცა მხოლოდ პოტენციალი, კარგი მწვრთნელი და გადაჭედილი სპორტის სასახლის ყიჟინა საკმარისი არ არის - შესარჩევი ტურნირი შედგება როგორც საშინაო, ისე საგარეო შეხვედრებისგან. ამიტომ, თუ სატურნირო ცხრილში სხვებზე წინ გვინდა ვიყოთ, აუცილებელია ერთიორი საგარეო პაექრობის მოგებაც. ოღონდ, როცა გუნდი 9 მთას იქით ტრანზიტული რეისით მიემგზავრება, თან ღამის გატეხვა უწევს, მეორე დღეს ენერგიით სავსე მასპინძლის (ბელგია, პოლონეთი და პორტუგალია მგზავრობაში ჩვენზე გაცილებით ნაკლებ დროს ხარჯავენ) დამარცხება ყოველთვის ისევე გაუჭირდება, როგორც ბელგიის ნაკრებისა...

შესარჩევი კარგად დავიწყეთ და არავინ იცის, კიდევ როდის მოგვეცემა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ასეთი შანსი. ჰოდა, სწორედ ახლა სჭირდება ნაკრებს ხელშეწყობა. დარდი ნუ გაქვთ, გულშემატკივარი სპორტის სასახლეს ყოველთვის შეავსებს, გასვლით შეხვედრებზე გასამგზავრებლად კი აუცილებელია თვითმფრინავის დაქირავება, ჩარტერი. დიახ, ჩარტერი! ასეთ შემთხვევაში ბიჭებს არც ღამის გატეხვა მოუწევთ და გზაშიც, მაქსიმუმ, 3-4 საათი დაიხარჯოს.

ზემოთ ფეხბურთელები ვახსენეთ და, პორტუგალიის „ბოავიშტასთან“ 14 წლის წინანდელი მატჩის შემდეგ გოჩა ჯამარაულის ნათქვამს გაგახსენებთ - ხანგრძლივმა მგზავრობამ ძალიან დაგვღალა, სათამაშოდ ძალა აღარ შემოგვრჩაო...

თბილისის „დინამომ“ ის თამაში 0:5 დათმო. პორტუგალიას საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებიც ესტუმრება (26 აგვისტოს). ცხადია, ეს იქნება აუცილებლად მოსაგები მატჩი და დაუშვებელია ასეთ შორ მანძილზე ნაკრების ტრანზიტული რეისით გაშვება. რა თქმა უნდა, გვჯერა, რომ კალათბურთის ფედერაცია გაითვალისწინებს ბელგიურ „გამოცდილებას“ და ამ პრობლემას დროულად მოაგვარებს.

ნამატჩევს

# ედი კასტელსი: ჩვენს შანსს დაველოდეთ

საინტერესო კაცი ყოფილა ბელგიის ნაკრების მწვრთნელი **ედი კასტელსი** - საქართველოსთან მატჩის წინ დიდი ამბავი ატეხა, ჯგუფის ფავორიტებს ვეთამაშებით, მთას უნდა დავეჭიდოთ, ჩვენი მოგება სენსაცია იქნებაო...

ნამატჩევს კი მშვიდად ალაპარაკდა - ვიცოდით რომ ქართველები უშეცდომოდ არ ითამაშებდნენ, ჩვენს შანსს დაველოდეთ და გავიმარჯვეთო:



*- მატჩის დასაწყისში თითქოს ხიდან კატამ გადმოგვხედა - ზაზა ფაჩულიას შეჩერება ვერ მოვახერხეთ. თუმცა, ვიცოდით, რომ ფაჩულია მთელი მატჩის განმავლობაში უშეცდომოდ ვერ ითამაშებდა. ამიტომ თავიდან ბოლომდე გეგმაზომიერად ვიმუშავეთ. დიდი შესვენების შემდეგ შეცდომები გამოვასწორეთ, გუნდური გარჯითა და ხასიათის სიმტკიცით პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ. ახლა შეგვიძლია ხუთკვირიანი შრომის შედეგით დავტკბეთ, თუმცა საქართველოს ნაკრების დამარცხება ბევრს არაფერს ნიშნავს, წინ 7 მატჩია. დღეიდან პორტუგალიაზე უნდა ვიფიქროთ.*

ბელგიის ნაკრები პორტუგალიელებს 8 აგვისტოს ეწვევა. შეგახსენებთ, რომ საწყისი ორი ტურის შემდეგ პირენეელებს ორი წაგება აქვთ. მათ ბელგიის ნაკრების ძლევაც გაუჭირდებათ: ბენილუქსელების კლასს თავი რომ დავანებოთ, პორტუგალიას 9 დღეში მესამე მატჩის ჩატარება მოუწევს. ბელგია კი ერთი მოგებითა და კარგი განწყობით ჩავა კოიმბრაში.

*- შესარჩევი ტურნირი ტრიუმფით დავიწყეთ. გავიმარჯვეთ ენთუზიაზმის, მონდომების, დაცვაში მტკიცე თამაშის წყალობით. ასევე უნდა გავაგრძელოთ. პორტუგალიასთან ბრძოლის წინ მშვენიერ ხასიათზე ვართ,* - ეს ბელგიის ნაკრების უკანახაზელის, **სემ ვან როსომის** სიტყვებია.

ბელგიურ პრესაში საქართველოსთან მატჩს ისეთი გამოხმაურება არ მოჰყოლია, როგორიც პოლონურში მათი გუნდის თბილისში წაგებას. ბელგიელები ძირითადად მატჩის ქრონოლოგიას მიმოიხილავდნენ და სათაურებში გამარჯვების გვერდით ზოგჯერ სიტყვა „დიდსაც“ გამოურევდნენ ხოლმე...

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

| | | | |
|---|---|---|---|
| **2 აგვისტო:** | | საქართველო-პოლონეთი | 84:65 |
| | | პორტუგალია-ბულგარეთი | 59:67 |
| **5 აგვისტო:** | 22:15 | ბელგია-საქართველო | 74:64 |
| | 20:00 | პოლონეთი-პორტუგალია | 86:64 |
| **8 აგვისტო:** | 20:00 | ბულგარეთი-პოლონეთი (სოფია) | |
| | 23:30 | პორტუგალია-ბელგია (კოიმბრა) | |
| **11 აგვისტო:** | 19:00 | საქართველო-პორტუგალია (თბილისი) | |
| | 22:00 | ბელგია-ბულგარეთი (ანტვერპენი) | |
| **14 აგვისტო:** | 20:00 | ბულგარეთი-საქართველო (სოფია) | |
| | 20:00 | პოლონეთი-ბელგია (ლოძი) | |
| **17 აგვისტო:** | 20:00 | პოლონეთი-საქართველო (ლოძი) | |
| | 20:00 | ბულგარეთი-პორტუგალია (სოფია) | |
| **20 აგვისტო:** | 19:00 | საქართველო-ბელგია (თბილისი) | |
| | 23:30 | პორტუგალია-პოლონეთი (კოიმბრა) | |
| **23 აგვისტო:** | 20:00 | პოლონეთი-ბულგარეთი (კატოვიცე) | |
| | 22:00 | ბელგია-პორტუგალია (ანტვერპენი) | |
| **26 აგვისტო:** | 23:30 | პორტუგ.-საქართველო (ალბუფეირა) | |
| | 20:00 | ბულგარეთი-ბელგია (სოფია) | |
| **29 აგვისტო:** | 19:00 | საქართველო-ბულგარეთი (თბილისი) | |
| | 22:00 | ბელგია-პოლონეთი (ანტვერპენი) | |

ჭადრაკი

# ბრჭყალები აუტსაიდერებმაც გამოაჩინეს




ულანბატორში ფიდეს მოჭადრაკე ქალთა გრან-პრის მეხუთე ეტაპზე თურქი **ბეთულ ილდიზი** და მონგოლი **ბათხუიანგ მონგონთუული** თავიდანვე აუტსაიდერებად მიიჩნეოდნენ და ეს შეჯიბრების ექვსმა ტურმაც დაადასტურა. გუშინ კი ორივე მოჭადრაკემ გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაიწერა. განსაკუთრებით მონგონთუულის წარმატება უნდა აღინიშნოს. მასპინძელთა იმედმა მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფ **ჰამფი კონერუს** (ინდოეთი) სძლია, თურქმა საერთაშორისო ოსტატმა ილდიზმა კი 2001-2004 წლების მსოფლიოს ჩემპიონ **ჟუ ჩენს** (ყატარი) დააყრევინა ფარ-ხმალი.

წინა დღეს კონერუსთან განცდილი მარცხის შემდეგ ძალების მობილიზება შეძლო ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **მაია ჩიბურდანიძემ**, რომელმაც 42-ე სვლაზე თეთრებით ფრანგ **მარი სებაგს** მოუგო. პარტიის მე-15 სვლაზე სებაგი იძულებული გახდა, ხარისხი შეეწირა, რომელიც მაიამ თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა, მიტელშპილში კი ქართველმა დიდოსტატმა ორი პაიკი მოინადირა და მოსაგები პოზიციაც მიიღო. 33-ე სვლიდან პარტია ასე წარიმართა *(იხ. დიაგრამა.)*

ორი ფავორიტის — რუსი **ტატიანა კოსინცევას** და ჩინელი **ჟაო სიუს** ორთაბრძოლაში ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა იმარჯვა. **ანტოანეტა სტეფანოვამ** (ბულგარეთი) **სიუ იუჰუას** (ჩინეთი) აჯობა. ახალგაზრდა ჩინელი დიდოსტატი **ჰოუ იფანი** თანამემამულე **შენ იანს** დაუზავდა.

სატურნირო მდგომარეობა 7 ტურის შემდეგ: სტეფანოვა, ჰოუ იფანი, ჟაო სიუ — 5-5, კონერუ, კოსინცევა — 4,5-4,5, ჩიბურდანიძე — 4, სიუ იუჰუა — 3, მონგონთუული, ჟუ ჩენი, შენ იანი — 2,5-2,5, ილდიზი — 2, სებაგი — 1,5 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: შენ იანი-ჟაო სიუ, სიუ იუჰუა-კოსინცევა, კონერუ-სტეფანოვა, სებაგი-მონგონთუული, ილდიზი-ჩიბურდანიძე, ჰოუ იფანი-ჟუ ჩენი.

ვაჟა **დანელია**

მ. სებაგი



მ. ჩიბურდანიძე

| | | | |
|---|---|---|---|
| 33. მxe4 | ეb8 | 34. ეxa6 | ეxb3 |
| 35. ეa7+ | მფf8 | 36. მf6 | კc4+ |
| 37. მფg1 | ეd3 | 38. ეg4 | e5 |
| 39. ეg6 | ეd1+ | 40. მფh2 | კe3 |
| 41. h6 | ეd2 | 42. მe4 | |

და შავები დანებდნენ

# წარმატება დღემონაცვლეობით

კავალას საერთაშორისო ტურნირზე ქართველი მოჭადრაკეები დღემონაცვლეობით აღწევენ წარმატებას. მეშვიდე ტურში ოთხიდან 3,5 ქულა თუ აიღეს, გუშინ მხოლოდ ერთ ყაიმს დასჯერდნენ: **სალომე მელია** უკრაინელ **ვლადისლავ ბოროვიკოვს** დაუზავდა. **ლუკა პაიჭაძეს** სომეხმა **ზავენ ანდრიასმა სძლია, დავით ჯოჯუას ჰრანტ მელქუმიანმა** გააჩერებინა საათი, ლელა **ჯავახიშვილმა** კი ესპანელ **დანიელ ალსინასთან** წააგო.

ლიდერთა ჯგუფში კი პარტიები ასე დამთავრდა: **ადამ ტუხაევი** (უკრაინა)-**ნიჯათ მამედოვი** (აზერბაიჯანი) 0,5:0,5, **აბჯეთ გუფთა** (ინდოეთი)-**ანდრეი რიჩაგოვი** (რუსეთი) 1:0, **გაბრიელ სარგისიანი** (სომხეთი)-**თეჯას ბაკრე** (ინდოეთი) 1:0, **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი)-**ალექსანდრ გრაფი** (გერმანია) 0,5:0,5, **ელინა დანიელიანი** (სომხეთი)-**ალექსანდრ ზუბარევი** (უკრაინა) 1:0, **რობერტ ჰესი** (აშშ)-**ვეჰ ბალდასარიანი** (სომხეთი) 1:0.

8 ტურის შემდეგ 7,5-7,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს ტუხაევი და გუფთა ინაწილებენ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით სარგისიანი, მელქუმიანი, ანდრიასიანი და დანიელიანი ჩამორჩებიან.

ვაჟა **დანელია**

თიანეთობა 2010

# დღესასწაული ტრადიციული ხდება

„თიანეთობის" სახალხო დღესასწაული მეორედ გაიმართა. პირველთან შედარებით ზეიმის სპორტული პროგრამა წლეულს გაცილებით უკეთესი იყო. განსაკუთრებით ბევრი ადგილობრივი და სხვადასხვა კუთხის გულშემატკივარი ადევნებდა თვალს „კუშბალში" გამართულ ქართულ ჭიდაობას თბილისის, თიანეთის, მცხეთის, დუშეთის და ახმეტის მოჭიდავეების მონაწილეობით.

გამარჯვებულები გახდნენ: **უშანგი ქიტესაშვილი** (35 კგ, მატანი), **გიორგი არაბული** (38, თიანეთი), **გურამ ჩეგიანი** (42, მცხეთა), **ვასო ჯაბანაშვილი** (46), **ლევან ბერბერაშვილი** (50, ორივე — თიანეთი), **ვანო როსტიაშვილი** (60, მცხეთა), **გიორგი მახარაშვილი** (70, ქსოვრისი), **გიორგი ბიჩელაშვილი** (80, თიანეთი), ზვიად გოგოჭური (აბსოლუტურ წონა, ახმეტა).

დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე დოღმა ხუთ კილომეტრზე, სადაც ფინიშის ხაზი პირველებმა გადაკვეთეს **ლევან ჯიმშიტაშვილმა** (ტუშურები) და მისმა მერანმა. მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, გავიდნენ **ნიკა სისაური** (თიანეთი) და **შალვა სულხანიშვილი** (ჯიჯეთი). გამარჯვებულს გადაეცა ცოცხალი პრიზი — ყოჩი.

მკლავჭიდში იმარჯვეს თიანეთელებმა **გურამ ცალუღელაშვილმა** (70 ) და **გურამ ფაშურიშვილმა** (აბსოლუტური).

**გაბრიელ ბარჯაძე**
თიანეთი
ავტორის ფოტოები





სპორტული კურიოზები

„ლელოს" ახალ რუბრიკაში — „სპორტული კურიოზები" გიამბობთ ვეტერანთა და ახალგაზრდა სპორტსმენთა მხიარულ თავგადასავლებზე. ვფიქრობთ, რუბრიკას თანაბარი ინტერესით წაიკითხავს ყველა თაობის წარმომადგენელი.

რუბრიკას ვხსნით გიორგი ასანიძის ნაამბობით.

# ჩემპიონის იმერული ესკიზები

## ვინმეზე ნაკლები სპორტსმენი და მთავრობის კაცი ვარ?!

ლონე რომ მერჩოდა, მოჩიტულობის ასაკში ვიგრძენი. იმ ასაკში ყველა პელეობასა და ზორროობაზე ოცნებობდა. მე, ჩემო ბატონო, შტანგის აწევის დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა. ოჯახში ეს ამბავი რომ გაიგეს (ვის რას გამოაპარებ?), შეწუხდნენ.

შეწუხდებოდნენ, აბა, რა მოუვიდოდათ? — ძმები სპორტსმენები მყავდა და შეცბუნებული მშობლები ჩემზე ამყარებდნენ იმედებს, არიქა, იქნებ ეს მაინც გამოვიდეს მთავრობის კაციო, არადა, მაინც აუხდათ „დვაინოი" ოცნება. ვინმეზე ნაკლები სპორტსმენი და „მთავრობის კაცი" ვარ?!

იმას ვამბობდი... ისევ ჩემმა ძმამ, მოკრივე თომა ასანიძემ გამონახა გამოსავალი — მოკრივე მაინც გამოდი, შტანგა რკინაა, რას დააკლებ, ბოქსში ცოცხალ კაცს მაინც გალახავ და გულს იჯერებ, თუ აქეთ არ გაგლახა (მაინც კი ხარ საცემი!)-ო...

— არა, მე შტანგა მინდა - მივაწექი და მივაწექი „პირველ ჩვენებას".

— ბიჭო, შენი „სარგო" შტანგა ჯერ არ გამოუგონიათო — თომამ.

— რავა, გგონია, დიდს ვერ ავწევ? — გავგულისდი.

— ხომ ჩაგიტანს მიწაში!

მოკლედ, დამიყოლია და მაინც კრივის სექციაში მადურთვინა თავი.

მწვრთნელმა ჭაბუკა ჭიღლაძემ „ბედკრული ხვიჩასავით" ამათვალ-ჩამათვალიერა:

— იმ ბიჭს ეჩხუბები? — მიმითითა ერთ თავგასიებულ მაღალ ოყლაყზე.

ელვის სისწრაფით გავზომე თვალით მოწინააღმდეგე... ვაიმე!

ეს ის ბიჭი არაა, შეყვარებულის „ახევას" რომ მიპირებს?!

ამივარდა სისხლი თავში. „სპორტული შურისძიების" მომენტი დამიდგა და რა ბიჭს გავუშვებდი ხელიდან!

— ჰა, ეჩხუბები? — გამომარკვია მწვრთნელის ხმამ.

— მაგას სულ მეგრელების ჭირისუფალივით ვაკივლებ, თვითონ თუ არ შემომაკვდა ხელში-მეთქი.

ვეძგერეთ ერთმანეთს მე და ოყლაყი („ამირან დევი შაიბნენ"), თავი რომ არ შეგაწყინოთ, გვარიანად მივბეთქე და ცოტა რომ დავშოშმინდი, ვიგრძენი — კაცი დავჩაგრე. დაჩაგვრაა აბა რა, კაცს რომ გალახავ!?

მივხვდი, ეს ჩემი საქმე არ იყო, ტარზანივით შევხტი ფანჯრის რაფაზე, ვისკუპე სპორტსკოლის ეზოში და კრივი შევიძულე. მორჩა! ჩემი საქმე შტანგაა! — „მე სიკეთე უნდა ვთესო" ავილე დევიზად. შტანგამ ბევრი სიკეთე მომიტანა. ახლა ერთ-ერთ სიკეთეთაგანზე მოგახსენებთ...

## პირველი სიკეთე

საჩხერეში, სადაც გავიზარდე, იმ უბანს „დამწვრების უბანს" ეძახდნენ და სრულიად სამართლიანადაც. იმიტომ, რომ ერთხელ ჩიკაგოსავით გრანდიოზული ხანძარი გაჩნდა და კარგა ოცდაათამდე სახლი გადაიბუგა. გარდა ამისა, იმ უბანში მეტწილად ცხოვრებაზე მცდარი შეხედულებების სუბიექტები ცხოვრობდნენ. ნა-ნარკომანები, ნა-პლანაქეშები და ნა-ყაჩაღოები („ნა" წინსართი შერბილებულ ფორმად მიგვაჩნია ქართველებს).

მეზობელი ბიჭი — ამირანი შესანიშნავი ოჯახიშვილი გახლდათ, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, „წაიძველბიჭებდა"; ცოტა-ცოტა ყველა აკრძალულზე აწერდა ხელს. ერთ დღესაც დამთვრალა და (ჩვევა ჰქონდა სიმთვრალეში) ვილაცას ეძებს გასალახად. მოკლედ, შარს ეძებს, რა... ზის თავის „ჟიგული-09"-ში და „საკბილოს" ეძებს.

ზუსტად ჩვენს ჭიშკართან ჩაუქრა მანქანა. წვალობს, ვერ ქოქავს... სახლში უნდა მიბრუნდეს, მაგრამ მანქანა ეურჩება.

— რას მიყურებ! — შემომიტია გასავათებულმა — რომ იძახი — ესა ვარ, ისა ვარო, მომიხერხე ახლა რამე!

— მანქანა რომ მოგიბრუნო, რასაც გეტყვი, დამიჯერებ? — წავედი გარიგებაზე...

— თანახმა ვარ! — დამიკრა ხელი ხელზე — აჰა გასალები...

— გასალები რად მინდა...

— აპა? — გააღო პირი.

დავწვდი „შიტოკს," ავწიე წინა მხრიდან მანქანა და შევაბრუნე იქით, საიდანაც მოდიოდა.

სიტყვას ხომ არ გატეხდა? — ჩაჯდა და ფორთხილ-ფორთხილით დაიძრა სახლისკენ. არადა, ვინმეს სცემდა ან ვინმე სცემდა... აქედან გამომდინარე, ან საავადმყოფოში ამოყოფდა თავს, ან — ციხეში. არაა სიკეთე?

ჯერ სად ხართ... სიკეთეები აწი ნახეთ! ეგ კი არა, სიკეთესთან ერთად გმირობაც მინდა.

მომენტიც მალე დადგა.

## „ხარება და გოგიას" ნაკვალევზე

კაცი რომ ფილმ „ხარება და გოგიას" ნახავს, თან 25-ჯერ თვეში, გული აუცილებლად სიკეთე-გმირობისკენ გაუწევს და მე ვისზე ნაკლები ვიყავი? მომენტს ვეძებ, კაცო!

... ჩემი დისშვილი ჩემი ტოლა იყო ასაკით. არ ვიყავით, რომ იტყვიან, „ჭკუადამჯდარ ასაკში", მაგრამ შეყვარებული ორივეს გვყავდა.



ვაჟა სიმონიშვილის მეგობრული შარჟი

განსაკუთრებულად გვინდოდა ამ საქმის მოგვარება. მიხვდით, ალბათ — მოტაცება!!! მიუხედავად იმისა, რომ გოგონები „მოსატაცებელი ტრანსპორტისკენ" თვითონ მიგვიძღოდნენ, თავი მაინც გმირებად წარმოვიდგინეთ და - როგორც ახლაა მოდაში - „მოდელირებული მოტაცებაც" კი გავითამაშეთ. ჩავჯექით „პაზ" ავტობუსში ოთხივე და გავუტიეთ კახეთისკენ, სადაც ოჯახის ახლობლები გვეგულებოდნენ.

იქაც დამხოშიანად დაგვიხვდნენ მასპინძლები, დაგვლოცეს და აღსანიშნავად, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ მაღრაანის ტყეში წაგვასხეს წინასწარ გაშლილ შვლისმწვადებიან სუფრაზე.

ახლა მკითხავთ: „გმირობა სადაა, გმირობაო?" ახლავე მოგახსენებთ:

## ქორწილი ტყეში

შუა საქორწინო ქეიფში ვართ და ქისტები დაგვესხნენ თავს. ცოცხალი ქისტები, თან შეიარაღებულები პირველად დავინახეთ მე და „კოლეგა სიძემ". დაგვცხა და გაგვაცია ერთდროულად. ცოტა ,კი შეგვეშინდა „ცოდვა გამხელილი სჯობს"... ვფიქრობთ — დავრჩენილიყავით მშობლიურ მხარეში.. რავა, იქ არ იყო ტყე? ტყეც იყო, სასმელიც იშოვებოდა და პრასი ხო გვაქვს და გვაქვს... რომელი ხარება-გოგია ჩვენ ვიყავით?

მაგრამ (მგლისა არ იყოს) კეთილი ქისტები აღმოჩნდნენ ჩვენს გასახარად და მშივრები სუფრაზე მივიპატიჟეთ. გემრიელად იქეიფეს და რომ გაიგეს, წყვილ-წყვილი ნეფე-დედოფალი ვიყავით, ისეთი სროლა ატეხეს ჰაერში, ცალი ყური ახლაც მღალატობს ხანდახან. არ იყო გმირობა?

სწორედ იქ, სადაც კახელი „აბრაგები" ქეიფობდნენ, შევძმობილდით ქისტებთან. თუ ბიჭია, ვინმემ გაიმეოროს, ქისტებს მე ვუშოვნი...

## გმირობა იმერულად...

მსოფლიოს ჩემპიონობა ჯერ არ იყო ახლოს, მაგრამ გმირობა მარტო მსოფლიოს ჩემპიონობაა, თუ ძმა ხარ?

ამჯერად „ძველბიჭურ" გმირობაზე გიამბოთ, რაც ჩავიდინეთ და რაც ჯერ არავინ იცის „თქვენი მხრიდან".

1996 წელია და სამხედრო კათედრიდან 75 კაცი გაგვიშვეს ოფიცრების კურსებზე — ქუთაისში.

იქ ადგილობრივი კურსანტები დაგვხვდნენ — ჩემო ბატონო — 150 კაცამდე იქნებოდნენ დაახლოებით. ლიდერი ჰყავდათ „კლიჩკით" „შოკია".

შოკიას „პალაჟენია" ეჭირა და იქაურები საერთოდ ამრეზით გვიყურებდნენ (მე რომ გმირობა მინდა და გმირობის წყურვილი მაღრჩობს, ჯერ რა იციან?!).

სულ „სალაგებს "გვიწოდებენ. არ მოვდიოდით თვალში, მაგრამ ჩვენ დარიგებულები ვიყავით, პროვოკაციას არ ავყოლოდით, მაგრამ სულ მოითმენ?!

მოკლედ, მოსახდენი მაინც მოხდა:

ერთი ლამაზი დილაა და შემოლაგდნენ ჩვენს საერთო საცხოვრებელში „ჩვენებური" კურსანტები.

ვაი იმ შემოსვლას... ისე არიან ნაცემდალილავებულები, რომ ხმებით ვიცანით.

იმ დღეს იმათ მოვლა-მოსულიერებას გადავყევით. ალბათ მიხვდით, „შოკიას" ბიჭების ხელ-პოჩერკი ეტყობოდა საქმეს. გმირობა ახლაა საჭირო! გამიელვა თავში.

შურისძიების დროდ მეორე დილა დავთქვით, მაგრამ ვინ გვაცალა?! შუაღამისას ჩვენი ფანჯრების მინებზე მოიტანეს იერიში „შოკისტებმა"!

მოთმენა აღარ შეიძლებოდა. წამოვცვივდით ლოგინებიდან და იქ „თაქი" აიწიააა!!! დედა შვილს ვერ იცნობდა გვარის და სახელის გარეშე. ხუმრობა იქით იყოს და, მთელი ქუთაისის პოლიცია იქ მოვარდა, მაგრამ სროლის უფლება არ ჰქონდათ და ისე რას დაგვაშოშმინებდნენ?

მოკლედ, გავყარეთ აგრესორები. გადავავლეთ თვალი ერთმანეთს, უსაზიზღრესი სურათია — „ვატერლოო".

ჩვენ, როგორც წესიერი კონტინგენტი, კრავებივით ჩავბარდით სამართალდამცავებს.

ჩვენი ქუთაისში დარჩენა სახიფათოდ ჩათვალეს, მოგვხსნეს იქიდან და სიმონეთის „შტრაფნოიში" გადაგვიყვანეს.

არანაირი იურიდიული მუხლით სასჯელი ჩვენ არ გვიდგებოდა და „ადამიანური კოდექსით" დაგვსაჯეს. შეგვიწყვიტეს საკვები და პურსა და წყალზე გადაგვიყვანეს ზამთარში.

მაგრამ გმირობის ჩამდენ ხალხს ღმერთი არ გაწირავს. გაზაფხულდა, როგორც იქნა და გაგვიყვანეს ახლადამოწვერილი ბალახით გადაბიბინებულ მინდორში - ასე „გმირულად" შევექცეოდით ბალახს.

კაცმა რომ თქვას, ბალახი ცუდია? არ ჯობია თურქულ პროდუქციას? სჯობია და ჩვენც მადლიანი იმერული ბალახით ვიკვებებოდით გარკვეული დროის განმავლობაში.

არაა გმირობა? — აბა თქვენ სცადეთ, თუ არ გჯერათ...

## დაბოლოს...

1998 წელია.

მსოფლიოს ჩემპიონი დავუბრუნდი ქართულ წიაღს — ფინეთიდან.

რა თქმა უნდა — ბოლო არ უჩანს ქეიფ-მოლოცვებს, „მიდი მოვდივარ!"

მეორე დღეა და პახმელიაზე ვარ ახლობელმა, კოტე დოლიძემ შემომთავაზა: „მოდი, ჯერ „გამოვპახმელიავდეთ" და მერე საბილიარდოში წავიდეთ — წავიბილიარდოთო — ვერის ბაღში.

ბილიარდის ტრფიალი ვარ და დავეთანხმე, არადა, თავი მისკდება, მოთენთილი ვარ, მორწმუნე რომ არ ვიყო — თავს მოვიკლავდი ისე ცუდად ვგრძნობ გადატანილ ქეიფს.

ჯერ ერთი კიი „არ მომეწონა" და შევცვალე. მერე - მეორე.

— რა მოგივიდა, ბიჭო, რას უწუნებ მაგ ჯოხს? — გადაირია კოტე.

— მძიმეა ხელში ე შობელძაღლი.

კოტე კინაღამ დასაბმელი გახდა:

— ბიჭო, ფინეთში ათი ვირის წონა შტანგა აწიე და მშობლიურ მხარეში ეგ ვირის წკეპლა გემძიმებაო?!

ძლივს დააწყნარეს.

ასეა, თუ „უდარზე" არ ხარ, „დოს მარილი აკლია".

— რაო, მურმან, რა მკითხე? — მომავალში რის აწევას აპირებო? რის და, საქართველოს სადღეგრძელოდ ქართული ღვინით სავსე ჭიქის აწევას ვაპირებ, ბატონო ჩემო.

ღმერთმა გვისმინოს!

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ერი

# ოლ ბლექსს ჩემპიონობამდე ნაბიჯი დარჩა



ვინ წარმოიდგენდა მსაჯობასთან დაკავშირებული დიდი, ხმაურიანი სკანდალი, დაახლოებით ისეთი 1966 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალს რომ მოჰყვა, სამი ერის გათამაშებასაც შეაზანზარებდა. არადა, ასეა, მსაჯების მიმართ პრეტენზია არა მარტო „ბოკეს" თავკაც პიტერ დე ფილიერსს აქვს, თუმცა ეს სხვა ისტორიაა, რომელსაც გაგრძელება აუცილებლად ექნება.

დღეს კი ქრაისთჩერჩში, იქ, სადაც 2011 წლის 18 სექტემბერს საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასის ჯგუფურ ტურნირში ინგლისის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება, სამი ერის გათამაშების მორიგ მატჩში „ოლ ბლექსი" „ვოლაბებს" ეთამაშება.

ერთი კვირის წინ მელბურნში ახალზელანდიელებმა მასპინძლებს დამაჯერებლად სძლიეს და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს პირველობისკენ. ქრაისთჩერჩში გამარჯვების შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, „ოლ ბლექსს" სამი ერის ჩემპიონობაში ხელი რამ უნდა შეუშალოს.

მართალია, „ოლ ბელქსს" ამის შემდეგ ორი გასვლითი მატჩი დარჩება გასამართი სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიაში, მაგრამ ორივეს წაგების შემთხვევაშიც კი, ვფიქრობთ, მეტოქისთვის მიუწვდომლები იქნება.

„ბოკეს" სამი წაგება აქვს და „კივებს" ველარ დაეწევა. ავსტრალიას კი ორი გასვლითი მატჩი აქვს გასამართი სამხრეთ აფრიკაში. ძნელი წარმოსადგენია, რომ ავსტრალიამ ისედაც გავეშებულ, სამყაროზე გაბრაზებულ სამხრეთაფრიკელებს ორივე თამაში მოუგოს. თუმცა გამორიცხული არაფერია და სჯობს მოვლენების განვითარებას დაველოდოთ.

ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რობი დინსმა** ძირითად შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა. მან **ქართლი ბეილი**, ძმები **ენტონი** და **საია ფაინგააები** სათადარიგოთა სკამიდან სასტარტო შემადგენლობაში გადაიყვანა.

ქართლი ბეილი ფულბეკის პოზიციას დაიკავებს, რომელზეც წინა შეხვედრაში **ადამ ეშლი-კუპერმა** ითამაშა, ის ამჯერად ტრავმირებული შუამარბის **რობ ჰორნის** პოზიციაზე გადაბარგდება. ენტონი ფაინგაა კიდევ ერთ შუამარბს **ბერიკ ბარნსს** ჩაანაცვლებს, მისი ძმა საია კი შერკინების კვაჭ **სტივენ მურს** შეცვლის.

ავსტრალიელები, ცხადია, ქრაისთჩერჩში რევანშის ასაღებად იბრძოლებენ, მაგრამ, თუ მათი თავკაცის სიტყვებს ვენდობით, მარცხი დიდად არ დაადარდიანებთ.

„ჩვენ სხვებთან შედარებით ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელიც საუკეთესო კონდიციებში 14 თვის შემდეგ იქნება. მნიშვნელობა არ აქვს, როგორ დამთავრდება მატჩი მომავალ უქმეებზე ქრაისთჩერჩში. დრო ჩვენს მორაგბეებზე იმუშავებს. გარწმუნებთ, 14 თვის შემდეგ ჩვენ შევძლებთ, პოტენციალი სრულად წარმოვაჩინოთ," - თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში რობი დინსმა, რომელიც რატომლაც ვერ ხვდება, რომ დრო ახალზელანდიელებზეც იმუშავებს. 14 თვე „ოლ ბლექსის" მწვრთნელის **გრემ ჰენრის** განკარგულებაშიცაა. მისი გუნდი უკვე ახლაა საუკეთესო ფორმაში. ახალზელანდიელი მორაგბეები შეუჩერებელნი არიან, გუნდი ტაქტიკურად გამართულია და მოთამაშეები მაღალტექნიკურობით გამოირჩევიან. დრო გვიჩვენებს, შეძლებენ თუ არა ისინი ფორმის შენარჩუნებას ან უფრო გაუმჯობესებას 2011 წლის მსოფლიო თასისთვის. ან იქნებ მართალია პიტერ დე ფილიერსი, იქნებ მართლა სამი ერის ორგანიზატორების შეთქმულებასთან გვაქვს საქმე?

ტრავმის გამო „კივებს" ცხრა ნომერი **ჯიმი ქოუანი** დააკლდებათ. მან „ვოლაბებთან" მელბურნულ მატჩში ნეკნი გაიტეხა და, სავარაუდოდ, წლეულს სამი ერის გათამაშებაში ველარ გამოვა. მას ქრაისთჩერჩში, ცხადია, **პირი ვიპუ** შეცვლის. სათადარიგოებში კი გრემ ჰენრი **ალბი მეთიუსონს** დასვამს.

ვიპუს კიდევ ერთხელ ეძლევა შანსი, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდროს. ის აგერ უკვე ოთხი წელიწადია, სათადარიგო ცხრა ნომერია და ამ ამპლუაში პირველ ნომრობას ვერაფრით ელირსა. ვიპუსთვის ეს გარემოება დამატებითი სტიმული იქნება, თუმცა ის ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე თავდადებით მებრძოლი მორაგბეა.

საინტერესო იქნება შუამარბების, ავსტრალიელთა დებიუტანტის ენტონი ფაინგაას და ახალზელანდიელი **მაა ნონუს** დუელიც. ეს ახალგაზრდა ავსტრალიელისთვის შანსია, კარიერა რიხით დაიწყოს.

მატჩს სამხრეთაფრიკელი არბიტრი **ჯონათან კაპლანი** განსჯის. ის ცივსისხლიანი, საკმაოდ კარგად განსწავლული, ერთ-ერთი საუკეთესოა მსაჯია მსოფლიოში და ნაკლებად სავარაუდოა, ვინმემ მის კომპეტენციაში ან თუნდაც რეპუტაციაში ეჭვი შეიტანოს.

### ახალი ზელანდია-ავსტრალია

ახალი ზელანდია: **15. მალილი მულიაინა, 14. კორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. ჯო როკოთოკო, 10. დენ კარტერი, 9. პირი ვიპუ. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ბრედ თორნი, 5. ტომ დონელი, 6. ჯერომ კაინო, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი**

*16. კორი ფლინი, 17. ბენ ფრენქსი, 18. სემ ვაითლოქი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. ალბი მეთიუსონი, 21. აარონ კრადენი, 22. ბენსონ სტენლი.*

ავსტრალია: **15. ქართლი ბეილი, 14. ჯეიმზ ოკონორი, 13. ადამ ეშლი-კუპერი, 12. ენტონი ფაინგაა, 11. დრიუ მიტჩელი, 10. მეთ გიტო, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. საია ფაინგაა, 3. სალესი მააფუ, 4. დენ მამი, 5. ნათან შარფი, 6. როკი ელოსმი, 7. დავიდ პოკოქი, 8. რიჩარდ ბრაუნი.**

*16. სტივენ მური, 17. ჯეიმს სლიპერი, 18. რობ საიმონსი, 19. მეთ ჰოჯსონი, 20. ლუკ ბარჯესი, 21. ბერიკ ბარნსი, 22. კემერონ შეპარდი.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ახ.ზელანდია | 3 | 3 | 0 | 0 | +55 | 15 |
| 2. ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 1 | -4 | 4 |
| 3. ს.აფრიკა | 3 | 0 | 0 | 3 | -51 | 0 |

**21 აგვისტო**
სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია

**28 აგვისტო**
სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია

**4 სექტემბერი**
სამხრეთ აფრიკა-ავსტრალია

**11 სექტემბერი**
ავსტრალია-ახალი ზელანდია



პლაჟბურთი | მსოფლიო ტური

## საქა-რთველო ამჯერად მეცხრამეტეა

პოლონეთის ქალაქ სტარე იაბლონკიში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქალთა შეჯიბრებში ქართული წყვილი **საქა-რთველო** მერვედფინალის შესარჩევ მატჩში ავსტრიულ წყვილ **ჰენსელ-მონტანიოლისთან** დამარცხდა სამ სეტში - 23:21, 14:21, 9:15.

საქა-რთველომ საბოლოოდ მე-19 ადგილი დაიკავა და 160 სარეიტინგო ქულა მიიღო.

ვაჟთა ტურნირის O ჯგუფში მოასპარეზე **გეორ-გიამ** ბოლო მატჩში რუსულ დუეტ **ბოგატოვ-პროკოფიევს** მოუგო 2:1 (21:17, 19:21, 15:8) და დღეს მერვედფინალის შესარჩევ მატჩში ითამაშებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ქარის თასი



# დასავლელების პირველი სერიოზული გამოცდა

ქარის თასის გათამაშების მეხუთე ტურში ჯერჯერობით დაუმარცხებელ ლიდერ „ვესტერნ პროვანსს" პირველი სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს სტუმრად მესამეადგილოსან „გრიკასთან", რომელსაც მხოლოდ სამი ქულით უსწრებს.

„დასავლელებმა" ოთხიდან ოთხივე შეხვედრა მოიგეს, თუმცა ცინიკოსები ხითხითებენ, რომ ოთხიდან სამი აუტსაიდერებს აჯობეს და მათი ნამდვილის სახე ლიდერებთან ბრძოლაში გამოჩნდება. მით უფრო, რომ „ვესტერნ პროვანსს" სტუმრად „გრიკასთან" 2007 წლის შემდეგ არ მოუგია.

წლეულს „დასავლელები" შარშანდელზე ბევრად უკეთ გამოიყურებიან, თუმცა არც მასპინძელთა გუნდზე ითქმის აუგი. „გრიკასი" კარგად შეკრული, მებრძოლი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. საინტერესო იქნება გარემარბების **ხიო ეპლონის** (ვესტერნ პროვანსი) და **ბიორნ ბესონის** (გრიკასი) დაპირისპირება. ორივე მათგანი „ბოკეს" წევრია.

მატჩის ბედს კი, ვფიქრობთ, მგეზავების **ნაას ულიფიესა** (გრიკასი) და **ვილემ დე ფაალის** (ვესტერნ პროვანსი) უნარიანად გუნდის მართვა და ფეხჩუბინობა გადაწყვეტს.

საგულისხმოა, რომ „დასავლელები" მატჩს ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებიან, ყველა წამყვანი მოთამაშე მწყობრშია, თუმცა...

„ჩვენ „გრიკასთან" მატჩს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით. წამითაც არ იფიქროთ, რომ მეტოქეს სათანადოდ არ ვაფასებთ. კარგად ვიცით, რომ უმძიმესი ბრძოლა გველის და საამისოდ მზად ვართ," - თქვა „ვესტერნ პროვანსის" მწვრთნელმა **ალისტერ კუციამ**, რომელიც ივლისის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

მე-5 ტურის კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართება დურბანში, სადაც „ნატალ შარქსი" იოჰანესბურგის „ლაიონზს" უმასპინძლებს.

„ზვიგენები" სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე არიან და ნაკლებად სავარაუდოა, სტუმრებს რაიმე დაუთმონ. მასპინძლებს ტრავმირებული **რუან პინარი** და **სტივენ მეიერი** არ ეყოლებათ. მგეზავის პოზიციას ახალგაზრდა **პატრიკ ლამბიე** დაიკავებს, რომელიც ივლისის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ლამბიე სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ახლახან არგენტინაში დამთავრებულ ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მექულეთა შორის მეორე იყო.

პრეტორიის „ბლუ ბულზს" იოლი გასეირნება ელის შინ აუტსაიდერ „ლეოპარდსთან". მასპინძლები, სავარაუდოდ, მეტოქეს ოთხ და მეტ ლელოს გაუტანენ, რისთვისაც ერთ პრემიალურ ქულას მიიღებენ.

პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლი „ჩიტაზი" სტუმრად ეთამაშება „ერთ-ერთ აუტსაიდერ „პუმასს" და აუცილებლად უნდა მოუგოს. წინაღმდეგ შემთხვევაში, ჩიტაზელების საპლეიოფო ამბიციები საგრძნობლად შემცირდება.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ვესტერნ პროვანსი - 18 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 16, 3. გრიკასი - 15, 4. ბლუ ბულზი - 11, 5. ჩიტაზი - 9, 6. ლაიონზი - 6, 7. პუმასი - 5, 8. ლეოპარდსი - 2

**VI ტური: 13 აგვისტო: გრიკასი-პუმასი, ლეოპარდსი-ნატალ შარქსი, 14 აგვისტო, ვესტერნ პროვანსი-ბლუ ბულზი, ლაიონზი-ჩიტაზი**

სკანდალი

# სასჯელი გადაიდო

სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პიტერ დე ფილიერსი** გუშინ კეიპთაუნში SANZAR-ის სადისციპლინო კომიტეტის წევრის **ჯენი ლაბის** წინაშე წარდგა. „ბოკეს" თავკაცმა ჩინოსნის შეკითხვებს უპასუხა.

შეგახსენებთ, რომ დე ფილიერსმა სამი ერის გათამაშების სტარტზე ახალ ზელანდიასთან ზედიზედ ორი წაგებული მატჩის შემდეგ გაკეთებულ კომენტარებში მარცხი სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებას დააბრალა, რომლის მიზანიც „ოლ ბლექსის" ავტორიტეტის გაზრდა იყო, რასაც 2011 წლის მსოფლიო თასზე აჟიოტაჟის გაზრდა უნდა მოჰყოლოდა.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის ხელმძღვანელები დე ფილიერსის ვერსიას იზიარებენ და სრულ მხარდაჭერას დაჰპირდნენ.

დე ფილიერსთან გასაუბრების შემდეგ **ჯენი ლაბის** რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია.

„მან გვითხრა, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე SANZAR-ის სადისციპლინო კომიტეტის წევრებთან უნდა მოითათბიროს და შედეგს მომავალი კვირის დასაწყისში გვაცნობებს," - თქვა სამხრეთ აფრიკის ნაკრების მენეჯერმა **ენდი მარინოსმა.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები

### კალათბურთი

## ფინიქსის ახალი მენეჯერი

„ფინიქს სანზს" ახალი გენერალური მენეჯერი ჰყავს. გუნდის ხელმძღვანელობამ შეთანხმებას მიაღწია NBA-ის ყოფილ მოთამაშე **ლენს ბლენქსთან**, რომელსაც „კლივლენდისა" და „სან ანტონიოს" ადმინისტრაციებში 10-წლიანი მუშაობის სტაჟი აქვს. კერძოდ, ბლენქსი „კავალიერზის" ვიცე-პრეზიდენტი იყო საკალათბურთო ოპერაციებში.

*„ხანგრძლივი ძიების შემდეგ გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე იდეალური კანდიდატი შევარჩიეთ. ლენს ბლენქსს ტალანტების აღმოჩენის შესანიშნავი ნიჭი აქვს, გამოცდილი ხელმძღვანელი და ბრწყინვალე ადამიანია. ბედნიერები ვართ, რომ მან ჩვენს გუნდში არჩია მუშაობა"*, - განაცხადა „ფინიქსის" ვიცე-პრეზიდენტმა **ლონ ბებიმ**.

## სლოუნი ისევ ჯაზშია

„იუტა ჯაზის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯერი სლოუნმა** დაადასტურა, რომ 2010-11 წლებშიც უხელმძღვანელებს მშობლიურ კლუბს. ვეტერანი მწვრთნელი „ჯაზმენებს" 1988 წლიდან (!) უდგას სათავეში და მომავალი სეზონი რიგით 23-ე იქნება მის კარიერაში.

გარდა ამისა, „ჯაზის" ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გააგრძელა გენერალურ მენეჯერ **კევინ ო'კონორთან** და საკალათბურთო ოპერაციების აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტთან. ო'კონორი 12 წელია „იუტაში" მოღვაწეობს.

## ფერნანდესი ჩიკაგოში მიდის

ორშაბათს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კიდევ ერთ საინტერესო გარიგებას ელოდებიან. კერძოდ, ესპანელი მცველი **რუდი ფერნანდესი** „პორტლენდიდან" „ჩიკაგოში" ამოყოფს თავს. როგორც ჟურნალისტები ვარაუდობენ, ამ გუნდებს შორის ტრეიდი განხორციელდება და „ხარები" რუდის სანაცვლოდ „თრეილ ბლეიზერსს" **ჯეიმს ჯონსონს** მისცემენ.

„ჩიკაგოში" გადასვლა თავად 25 წლის კალათბურთელის სურვილი ყოფილა. შარშან ესპანელი საშუალოდ 6.8 ქულით ეხმარებოდა „პორტლენდს".

## ნიქსი მეისონს გაიფორმებს

„ნიუ იორკ ნიქსმა" თითქმის მოაგვარა **როჯერ მეისონის** ტრანსფერის საკითხი. კლუბის ხელმძღვანელობა ერთწლიან კონტრაქტს გაუფორმებს 29 წლის თავისუფალ აგენტს და ამისთვის 1.4 მილიონ დოლარს გადაიხდის.

წინა სეზონში მეისონი „სან ანტონიო სპურსში" თამაშობდა და საშუალოდ 5.9 ქულასა და 2.0 მოხსნას აგროვებდა.

## უესტს რიგი დაუდგა

„მინესოტა ტიმბერვულვზიდან" დათხოვნილ **დელონტე უესტს** რამდენიმე მსურველი გამოუჩნდა. როგორც NBA.com წერს, მცველის გაფორმება „ბოსტონს", „ჩიკაგოსა" და „დალასს" სურთ.

გასულ სეზონში უესტი „კლივლენდის" შემადგენლობაში ირიცხებოდა და 8.8 ქულით, 2.8 მოხსნითა და 3.3 პასით გამოირჩა. „კავალიერზის" ხელმძღვანელობამ ის ამ ზაფხულს გაუცვალა „მინესოტას" **რამონ სეშენსსა და რაიან ჰოლინზში**, რის შემდეგაც, „ტიმბერვულვზმა" კალათბურთელი ტრანსფერზე დააყენა.

## ლეიკერსმა ბრაუნი დაიტოვა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" შეინარჩუნა გამთამაშებელი **შენონ ბრაუნი**. ახალი კონტრაქტი ორწლიანია, რომლის მიხედვითაც მცველი ჯამში 2.4 მილიონ დოლარს მიიღებს. ამასთან, ერთი წლის შემდეგ ბრაუნს არჩევანის საშუალება ექნება - კარიერა კალიფორნიულ კლუბში გააგრძელოს ან სხვა გუნდში გადავიდეს.

გასულ სეზონში 24 წლის ბრაუნის მონაგარი 8.1 ქულას შეადგენდა.

## ნეტსი ნარჩენებს აგროვებს

„ნიუ ჯერსი ნეტსმა" ახალი სეზონისთვის კიდევ ერთი შენაძენი გააკეთა. ამ გუნდმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **შონ მეისთან**, რომელმაც შარშან „საკრამენტო კინგზის" შემადგენლობაში 37 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 3.3 ქულა მიითვალა.

თავის დროზე, 26 წლის კალათბურთელი „შარლოტ ბონკეტსმა" დრაფტის მე-13 ნომრად აირჩია, მაგრამ შონს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციაში ტრავმებმა და ზედმეტმა წონამ შეუშალა ხელი.

## ევროპელი შაკი მაკაბიში წავიდა

როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძენმა ცენტრმა **სოფოკლის შორცანიდისმა** თელ-ავივის „მაკაბიში" ამჯობინა კარიერის გაგრძელება. 25 წლის მოთამაშემ უკვე გააფორმა კონტრაქტი ისრაელის საუკეთესო კლუბთან. გარიგების დეტალები უცნობი დარჩა.

შორცანიდისმა რამდენიმე წელი გაატარა „ოლიმპიაკოსის" შემადგენლობაში და წელს მის კონტრაქტს ვადა ამოეწურა. „მაკაბის" გარდა, ამ კალათბურთელის შეძენის სურვილი „პანათინაიკოსსა" და „ლოს ანჯელეს კლიპერსს" ჰქონდათ, რომელმაც შარშან დრაფტზე აირჩია ბერძენი ცენტრი.

### ფორმულა 1

## აშშ-ის გრან-პრი 180 მილიონი დაჯდება

გაზეთმა Statesman-მა რამდენიმე კონფიდენციალური ინფორმაცია მოიპოვა ქალაქ ოსტინში ფორმულა 1-ის ტრასის მშენებლობის შესახებ.

როგორც ირკვევა, ამერიკულ მხარეს პროექტის განხორციელება 180 მილიონი დოლარი დაუჯდება. ასევე ცნობილი გახდა, რომ ავტოდრომის მშენებლობას 1500 მუშა დასჭირდება, ხოლო 1200 კაცი იმუშავებს უშუალოდ ეტაპის მსვლელობის დროს, აქედან 40 მუდმივი თანამშრომელი იქნება.

წინასწარი გათვლებით, ამერიკის გრან-პრის ჩატარება ოსტინს 300 მილიონი დოლარის მოგებას მოუტანს.

## რა არის ფორმულა 100?

გამოცემა Formula Money-ის ინფორმაციით, დღეისთვის ფორმულა 1-ის გუნდებს ჯამში 175 სპონსორი ჰყავთ. ექსპერტთა გამოთვლებით, ისინი რბოლების მხარდაჭერისთვის წელიწადში 723 მილიონ დოლარს ხარჯავენ. გასაკვირი არ არის, რომ ამ კომპანიებმა საკუთარი ასოციაციის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს, რითაც უფრო ეფექტურად მოახდენენ თანხების ინვესტირებას და ერთობლივად გადაწყვეტენ წარმოქმნილ პრობლემებს.

ასოციაციის სახელწოდება იქნება - „ფორმულა 100". მასში შევა 100 სპონსორი, რომელიც ყველაზე მეტ თანხას აბანდებს „დიდ ცირკში". კლუბის პირველი სხდომა პირველ სექტემბერს ლონდონში გაიმართება და მას ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნიც** დაესწრება.

## კალათბურთი



რონ არტესტი

# რონ არტესტი: მატჩების წინ უგონოდ ვთვრებოდი

**ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა რონ არტესტზე თქვა - მან ყოველ კვირას რომ დაარიგოს ინტერვიუ, ყოველ ჯერზე საინტერესო საუბარი გამოვა, რადგან სკანდალურად ცნობილი კალათბურთელი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რესპონდენტია. „ლეიკერსის" ფორვარდს გიჟს და ეგოისტ ადამიანს უწოდებენ, მაგრამ ამასთან, რონი ნამდვილი პროფესიონალი და თავისი საქმის დიდი ოსტატია. საბედნიეროდ, ხანდახან ის პრესასთან საუბარს თანხმდება და ESPN-თან ინტერვიუ მეტად საინტერესო გამოვიდა.**

**- წელს NBA-ის ჩემპიონი გახდით. კიდევ რა მიზნები დაგრჩათ კალათბურთში?**

- ძალიან მინდა კიდევ ერთხელ მოვხვდე საუკეთესო დამცველთა პირველ სიმბოლურ ნაკრებში. მსოფლიოში დაცვის საუკეთესო სპეციალისტი ვარ. თუ ვინმეს ჩაკეტვაა საჭირო - მე უნდა დამირეკოთ. უკეთესს ვერ იპოვით.

**- 11 წლის განმავლობაში ხუთი გუნდი გამოიცვალეთ. რომელს მიიჩნევთ საკუთარ სახლად?**

- „ინდიანას" მთელი ოჯახი აქ გადმოვიყვანე, როცა „პეისერსში" დავიწყე თამაში. აქვე ვიქორწინე. ინდიანაში ჩემთვის ახალი ცხოვრება დაიწყო, რადგან აქ მოვაწერე ხელი პირველ სოლიდურ კონტრაქტს. ჩემს გულში ამ მხარეს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

**- იმ გრანდიოზული ჩხუბის მიუხედავად, რომელშიც ამ გუნდის მაისურით მიიღეთ მონაწილეობა?**

- გასულ ზაფხულს, როცა თავისუფალი აგენტი გავხდი, ყველაზე მეტად „ინდიანაში" მინდოდა გადასვლა. ნებისმიერ თანხად დავბრუნდებოდი ამ გუნდში, თუნდაც 4 მილიონად და დღეს „პეისერსის" წევრი ვიქნებოდი. ვგრძნობ, რომ იმ ჩხუბის შემდეგ გულშემატკივრებთან და მთლიანად კლუბთან ვალში ვარ. ისინი ჩემი შესრულებით რამდენიმე კარგ სეზონს იმსახურებდნენ. ახლა მესმის, რომ „ინდიანაში" თამაშისას ნამდვილი ეგოისტი ვიყავი. გუნდის პრეზიდენტ ლარი ბერდისთვის ტრეიდი არ უნდა მეთხოვა. მას ეს ძალიან ეწყინა, მე კი ბევრი დრო დავკარგე.

**- ძველებურად გსურთ ამერიკის ნაკრებში თამაში?**

- იმდენად დიდია მსოფლიოს ჩემპიონატის ან ოლიმპიადის მოგების სურვილი, რომ მზად ვარ პირსახოცების ან წყლის მიმწოდებლის ფუნქციები შევასრულო. მაგრამ ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობისგან მიწვევას ვერ ველირსე. მთელი ცხოვრება ვცდილობ შემადგენლობაში მოხვედრას, მაგრამ არაფერი გამოდის. სამი წლის წინ, ნაკრების გენერალურ მენეჯერ ჯერი კოლანჯელოს დავურეკე. მან ყურმილი აიღო. საკუთარ თავი წარვუდგინე - „რონ არტესტი გელაპარაკებათ". მან კი რა გააკეთა? ყურმილი დაკიდა. ჩემი აზრით, ყურადღება უნდა მომაქციოს. ძალიან მინდა ამერიკისთვის თამაში, მაგრამ დრო სულ უფრო მცირე რჩება.

**- როგორ დაახასიათებდით კობი ბრაიანტს?**

- თუ ჩვენ თვითმფრინავით მატჩზე მივდივართ და სალონში ბანქოს ვთამაშობთ, ის თამაშს შეგვაწყვეტინებს და მეტყვის: „რონ, შენთან სალაპარაკო მაქვს". ერთად ვსხდებით, ის კომპიუტერით მიჩვენებს მატჩის ვიდეოჩანაწერს და უმცირეს დეტალებში განიხილავს სათამაშო ეპიზოდებს. მარიგებს რა უნდა გავაკეთო, საით გავიქცე და როგორ მივცე პასი. შემდეგ ჩემს ადგილზე ვბრუნდები, ბრაიანტი კი შენონ ბრაუნთან მიდის, ისევ წყვეტს ბანქოს თამაშს და მასთანაც იმავეს აკეთებს, რასაც ჩემთან. მისთვის სულერთია: სძინავს თუ არა პარტნიორს. კობი ნებისმიერს გაალვიძებს და ისეთ რამეებზე დაელაპარაკება, მე რომ არც დამსიზმრებია. ვერ წარმოიდგენთ, რამდენ ენერგიას, დროსა და ემოციებს ხარჯავს კალათბურთისთვის. ყოველთვის მზად ისეთი ადამიანის აზრის მოსასმენად, რომელიც ჩემნაირად თავდადებულია საქმეზე. ამიტომაც, ბრაიანტს ყველგან გავყვები.

**- რომელი მოთამაშის წინააღმდეგ ისურვებდით თამაშს?**

- რა თქმა უნდა, მაიკლ ჯორდანს ავირჩევ. მაინტერესებს, როგორ იმოქმედებდა ჩემს წინააღმდეგ. ვფიქრობ, არანაირი შანსი არ მექნებოდა - როგორც ბავშვს, ისე მომატყუებდა.

**- გულწრფელად გვითხარით - გიჟი ხართ?**

- რას გულისხმობთ სიგიჟეში? სხვადასხვა სიტუაციაში ამ სიტყვას შეიძლება ათასგვარი საქციელი მიესადაგოს. Twitter-ის სოციალურ ქსელში შეიძლება გიჟად მომნათლონ, რადგან იუმორის უცნაური გრძნობა მაქვს. იქნებ მოედანზე გიჟის სტატუსი იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე ვიხარჯები. საერთო ჯამში, მართალი იქნებით თუ გიჟს მიწოდებთ. იყო დრო, როცა საშინელ ამბებს ვატრიალებდი. თუმცა პირადად მე საკუთარ თავს გიჟად არ მივიჩნევ. უბრალოდ, გიჟურ სამყაროში გავიზარდე.

**- რას ამბობენ ამის შესახებ ექიმები?**

- ჩემს ოჯახში გონებრივ მონაცემებთან დაკავშირებით ყოველთვის პრობლემები იყო. ჩემი დეიდა ახლა საავადმყოფოშია. მისი მდგომარეობა ხან უკეთესობისკენ მიდის, ხან უარესობისკენ. იგივეა ჩემს შემთხვევაშიც. პირველად ექიმთან 13 წლის ასაკში მივედი, რადგან მუდმივად უსიამოვნებებში ვეხვეოდი: თუ ვინმე ჩემი ახლობლების მიმართ უპატივცემლობას გამოხატავდა, მაშინვე ჩხუბს ვიწყებდი.

**- რთული ხასიათის გამო მავნე ჩვევები გქონიათ?**

- დიახ, ალკოჰოლი დიდხანს ძალიან სერიოზული პრობლემა იყო. სმა 15 წლის ასაკში დავიწყე, 16 წლისას კი უკვე თავი ვერ წარმომედგინა ალკოჰოლის გარეშე. NBA-ში მისვლისას ჩემი დღის განრიგი ასეთი იყო: დილიდან საღამომდე დალევა, შემდეგ კალათბურთის სათამაშოდ წასვლა. ეს მავნე ჩვევა „საკრამენტოში" გადასვლის შემდეგ მოვიშორე. ვფიქრობ, ნაკლებ შეცდომას დავუშვებდი, სმა დროულად რომ შემეწყვიტა.

**- ფილ ჯექსონთან კარგი ურთიერთობა გაქვთ?**

- ფილს დიდ პატივს ვცემ, მიუხედავად ამისა, ყოველთვის ცდილობს წყობიდან გამომიყვანოს. ვარჯიშებზეც მუდმივად ხუმრობს ჩემს სპორტულ ფეხსაცმელებზე, სროლის მანერაზე... თუმცა მაშინაც კი, როცა ამბობს, შენ სროლა არ იცაო, ის ამით ჩემს მოტივირებას ცდილობს. ეს გენიალური ფსიქოლოგიური სვლაა. „ბოსტონთან" ფინალურ სერიაში ანგარიში 2:2 იყო, როცა ჩემთან მოვიდა და ასეთი რამ მითხრა: „რონ, მინდა გააკეთო ის, რაც იცი - ქულების დაგროვება დაიწყე". გახარებულმა დერეკ ფიშერსა და კიდევ რამდენიმე კალათბურთელს დავუძახე და მწვრთნელის ნდობის შესახებ ვუთხარი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, როცა მენდობიან. თუ მწვრთნელსა და გუნდს ჩემი შესაძლებლობების სჯერათ, ველარავინ შემაჩერებს.

**- ერთხელ თქვით, რომ აღარ გაინტერესებთ ინდივიდუალური თამაში...**

- სრული სიმართლეა. ახლა გამარჯვებების დრო დადგა. ძალიან ბევრი დრო დავხარჯე მწვრთნელებთან უაზრო კონფლიქტებზე. როცა ისინი მთხოვდნენ, არ მესროლა, მე მაინც ჯიუტად ვისროდი, არავის ვუსმენდი და ჩემს სტატისტიკაზე ვზრუნავდი. „ჰიუსტონში" გამოვსწორდი. მაშინ NBA-ის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი ვიყავი, მაგრამ სასტარტო ხუთეულში არ მიშვებდნენ. მიუხედავად ამისა, სკანდალი არ ამიტეხია და ჩხუბი არ დამიწყია გენერალურ მენეჯერთან ან მწვრთნელთან.

**- მაგრამ ყურადღების ცენტრში ყოფნა მაინც მოგწონთ?**

- ეს აღარ მაინტერესებს და ამის გამო ღმერთმა საჩემპიონო ბეჭდით დამაჯილდოვა.

**- რას გააკეთებთ კარიერის დასრულების შემდეგ?**

- მწვრთნელი გავხდები. ძალიან მინდა „ნიუ იორკი" ან „სენტ-ჯონის" უნივერსიტეტის გუნდი ვავარჯიშო. იმედი მაქვს, კარიერის დასრულებისთანავე ჩავიბარებ რომელიმე კლუბს. ვიცი კალათბურთელებთან ურთიერთობა, კარგად მესმის კალათბურთი. რაც მთავარია, მოვარჯულებ ჩემნაირ მოთამაშეებს. ადრე ზედმეტი ემოციებითა და ეგოიზმით ჩემს გუნდებს ცუდ სამსახურს ვუწევდი. ამასთან, დაცვაში კარგად ვერკვევი, მესმის, როგორ უნდა განვითარდეს კომბინაციები. ერთადერთი, რასაც ვერ ვიტან, მატჩების ვიდეოჩანაწერების ნახვაა, მაგრამ მომიწევს ამის გაკეთება.

**- შემდეგ სეზონში ფინალში „ლეიკერსი" და „მაიამი" ითამაშებენ?**

- არ დაგავიწყდეთ „ბოსტონი", თუმცა „მაიამი" აღმოსავლეთში მთავარი ფავორიტი იქნება. ჩვენთვის დიდი პატივი იქნება ამ გუნდთან ფინალში შეხვედრა. მე ლებრონ ჯეიმსს მივხედავ, კობი დუეინ უეიდს აიყვანს, გასოლი - კრის ბოშს. საბოლოოდ, ფინალის ბედი ენდრიუ ბინუმზე იქნება დამოკიდებული. თუ ის ჯანმრთელი იქნა, ჩვენ ვერავინ შეგვაჩერებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ძველი სისტემა ჯობდა?



ჩემპიონატის ლიდერი მარკ უებერი

ფორმულა 1-ში აგვისტოს არდადეგები ის დროა, რომელიც განვლილი ეტაპების შეფასების საშუალებას იძლევა. მაგალითად, შეიძლება იმაზე დაფიქრება, რა მოუტანა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სერიას ქულათა დარიცხვის ახალმა სისტემამ.

თავდაპირველად გავიხსენოთ, რა მდგომარეობაა ამჟამად ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში:

1. უებერი - 161
2. ჰემილტონი - 157
3. ფეტელი - 151
4. ბატონი - 147
5. ალონსო - 141
6. მასა - 97
7. როსბერგი - 94
8. კუბიცა - 89
9. შუმახერი - 38
10. სუტილი - 35
11. ბარიკელო - 30
12. პეტროვი - 17
13. კობაიაში - 17
14. ლიუცი - 12
15. ჰიულკენბერგი - 10
16. ბუემი - 7
17. დე ლა როსა - 6
18. ალგერსუარი - 3

შეგახსენებთ, რომ წელს ეტაპის პირველ ათ მრბოლელს ქულები შემდეგი სქემით ენიჭება: 25-18-15-12-10-8-6-4-2-1.

ახლა კი მცირე ექსპერიმენტი ჩავატაროთ - პირადი ჩათვლა ადრე არსებული ორი სქემის მიხედვით გადავითვალოთ.

მაშ ასე, ქულათა დარიცხვის სისტემა, რომელიც 2003-09 წლებში მოქმედებდა: 10-8-6-5-4-3-2-1. მისი მიხედვით, დღეს ჩემპიონატში ასეთი სიტუაცია იქნებოდა:

1. ჰემილტონი - 65
2. უებერი - 63
3. ფეტელი - 61
4. ბატონი - 59
5. ალონსო - 57
6. მასა - 39
7. როსბერგი - 36
8. კუბიცა - 35
9. შუმახერი - 13
10. სუტილი - 11
11. ბარიკელო - 10
12. პეტროვი - 6
13. კობაიაში - 5
14. ჰიულკენბერგი - 3
15. ლიუცი - 2
16. დე ლა როსა - 2
17. ბუემი - 1

როგორც ვხედავთ, ცვლილებები არის. მაგალითად, საერთო ჩათვლიდან ამოვარდებოდა **ალგერსუარი**, **ლიუცი ჰიულკენბერგის** უკან აღმოჩნდებოდა, **ბუემი** - ბოლო ადგილზე, მაგრამ რაც მთავარია, ჩემპიონატს სხვა ლიდერი ეყოლებოდა.

გადავიდეთ სისტემაზე, რომელიც 1991-2002 წლებში მოქმედებდა: 10-6-4-3-2-1.

1. უებერი - 53
2. ჰემილტონი - 49
3. ფეტელი - 45
4. ბატონი - 43
5. ალონსო - 43
6. მასა - 23
7. როსბერგი - 19
8. კუბიცა - 18
9. შუმახერი - 7
10. ბარიკელო - 5
11. სუტილი - 3
12. პეტროვი - 2
13. კობაიაში - 1
14. ჰიულკენბერგი - 1

აქ კიდევ სამ მრბოლელს ვკარგავთ - ლიუცის, **დე ლა როსასა** და ბუემის. **ბარიკელო სუტილს** უსწრებს. დღეს მოქმედ ცხრილთან სხვა ცვლილება შედარებით არ არის.

და მესამე ვარიანტი, რომელსაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ მსოფლიოს ავტოსპორტის ხელმძღვანელობა გვთავაზობდა - ჩემპიონის გამოვლენა ეტაპებზე გამარჯვებების მიხედვით:

1. უებერი - 4
2. ჰემილტონი - 2
2. ფეტელი - 2
2. ბატონი - 2
2. ალონსო - 2

აი ასეთი ცხრილები მივიღეთ, ახლა კი შევხედოთ, რა გამოდის აქედან.

დავიწყოთ რვასაფეხურიანი სისტემით, რომელიც ფორმულა 1-ში **მიხაელ შუმახერის** ბატონობის დროს შემოიღეს. ყველას ახსოვს, რა მიზნით გაზარდეს ქულების რაოდენობა მეორე და მესამე ადგილებისთვის - „სკუდერიას" პილოტს თავისი პერმანენტული გამარჯვებებით ნაადრევად რომ არ მოესპო ჩემპიონატისთვის ინტრიგა.

და რას ვხედავთ ახლა? იმას, რომ ეს სქემა დღესაც კარგად იმუშავებდა. **მარკ უებერი**, რომელმაც ყველაზე მეტი რბოლა მოიგო, საერთო ჩათვლაში **ლუის ჰემილტონზე** უკან იქნებოდა, ვისაც ავსტრალიელზე ორჯერ ნაკლები გამარჯვება აქვს.

დანარჩენ შემთხვევაში ლიდერებს შორის იმავე სურათს მივიღებდით - პირველსა და მეხუთე ადგილებს შორის სხვაობა ერთ გამარჯვებაზე ნაკლები იქნებოდა. გამოდის, წინა სისტემა იმათთვის იქნებოდა ხელსაყრელი, ვინც ამა თუ იმ მიზეზის გამო გამარჯვებას ვერ ახერხებს, მაგრამ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლია.

რაც შეეხება 90-იანი წლების ექვსსაფეხურიან სქემას, მისი მიხედვით უებერი არათუ პირველ ადგილზე დარჩებოდა, მას კონკურენტებზე ოდნავ მეტი უპირატესობა ექნებოდა - მასსა და მეხუთე ადგილს შორის მთელი ერთი გამარჯვებით მეტს მივიღებდით.

ექლსტოუნის იდეა - „ჩემპიონი ეტაპებზე გამარჯვებების მიხედვით" - უებერს ორმაგ უპირატესობას მოუტანდა. თუმცა საინტერესოა, როგორ მოიქცეოდნენ „რედ ბულის" ბოსები - ერთ-ერთ განვლილ ისევ აიძულებდნენ მარკ უებერს სებასტიან ფეტელის გატარებას? ვინ იცის...

მაშ ასე, დღევანდელი სქემა იმისთვის მოიფიქრეს, რომ გამარჯვებას მეტი ფასი დასდებოდა. თითქოს მოსაწონი იდეაა, მაგრამ ამასთან დაარღვიეს ისტორიული სტატისტიკური მონაცემები დაგროვილი ქულების მიხედვით - ახლა აზრი აღარ აქვს საერთო ქულების დათვლას. ნებისმიერი საშუალო დონის პილოტი დაახლოებით 10 წელიწადში იმდენივე ქულას მოუყრის თავს, რამდენიც ლეგენდარულმა **ალენ პროსტმა** მთელი კარიერის განმავლობაში მიიღო. ეს კი დიდი უსამართლობა იქნება და ხელს შეუშლის პილოტთა შესაძლებლობების შედარებას.

არადა, კარგად ვხედავთ, რომ ძველი სისტემის (10-6-4 ქულა პოდიუმზე ასვლისთვის) დაბრუნებით ზუსტად დღევანდელ შედეგს მივიღებდით. უებერი, ანუ ის პილოტი, რომელიც ყველაზე ხშირად იმარჯვებს, საერთო ჩათვლაში ისევ პირველ ადგილზე იქნებოდა, საერთო ცხრილიც უფრო ნაცნობ სახეს მიიღებდა და არ დაგვჭირდებოდა ასეულების თვლა.

რა თქმა უნდა, განსხვავებაც არსებობს. აი მათი სახელებიც - ვიტანტონიო, სებასტიანი, პედრო, ხაიმე... სწორედ ეს ოთხი პილოტი ვერ მოხვდა ქულათა ზონაში ძველი, 90-იანი წლების სისტემით. გამოდის, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია 25-ქულიანი სისტემის შემოღებით არა ლიდერებზე, არამედ მეორე ეშელონის აუტსაიდერებზე ზრუნავდა, მათთვის ნული ქულით ტრასაზე გასვლა მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო.

90-იან წლებში დე ლა როსა, ბუემი, ალგერსუარი და ლიუცი ქულათა ზონაში ვერ მოხვდებოდნენ. ახლა კი ფედერაციის მონდომებით, მათ შეუძლიათ საერთო ჩათვლაში ქულათა გარკვეული მარაგით მოიწონონ თავი. მერე რა, რომ მაგალითად 1997 წელს **რალფ შუმახერს** ლიუცის მსგავსად 12 ქულის დასაგროვებლად პოდიუმზე ასვლა სჭირდებოდა. ვიტანტონიოს ამავე შედეგის მისაღწევად მაქსიმუმ მეშვიდე ადგილიც ჰყოფნის, არადა ამ პოზიციისთვის ადრე ქულასაც არ იძლეოდნენ.

თანაც სეზონის დასრულებამდე კიდევ შვიდი რბოლაა დარჩენილი - იქნებ ამ დროის განმავლობაში ლიუცი 1997 წელს **მიკა ჰაკინენის** შედეგამდე ავიდეს. მაშინ ლეგენდარულ ფინელს ჯამში 27 ქულის მოსაპოვებლად სამჯერ პოდიუმზე ასვლა, მათ შორის ერთხელ გამარჯვება დასჭირდა. ლიუცი კი წელს ერთხელაც არ მიახლოებია მესამე ადგილს.

სიტუაციას ისიც ვერ შველის, რომ პელოტონში თანდათან იზრდება გუნდების რაოდენობა. 1991 წლის სეზონში, როცა 10-6-4-3-2-1 სქემა შემოიღეს, ქულები 24-მა პილოტმა მოიპოვა. ანუ მაშინ პირველ ექვსეულში თუნდაც ერთხელ უფრო მეტი ავტომრბოლი ხვდებოდა, ვიდრე დღეს სტარტზე გადის.

კარგი იქნება თუ 2011 წელს სქემას კიდევ არ შეცვლიან და მე-14-16 ადგილებისთვის არ დააწესებენ ქულებს. ასეთ შემთხვევაში „ვირჯინსა" და „ლოტუსს" მიეცემათ ქულების დაგროვების საშუალება, თორემ ეს გუნდები ათეულს ვერც უახლოვდებიან და ყოველ რბოლაში ლიდერებთან მინიმუმ 4 წრეს აგებენ...

# ფერარი გასაჭირშია

„ფერარის" ხელმძღვანელობას ძალიან გაუჭირდება იმის დამტკიცება, რომ ჰოკენჰაიმზე გერმანიის გრან-პრის დროს გუნდური ტაქტიკა არ გამოუყენებია. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ამ ეტაპზე რბოლის ლიდერმა **ფელიპე მასამ** თანაგუნდელი **ფერნანდო ალონსო** გაატარა და თითქმის განაღდებული გამარჯვება დაკარგა. ამ საქმის მოსმენა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიოს საბჭოზე სექტემბერშია დაგეგმილი.

ახალი ვიდეოს თანახმად, რომელიც ფორმულა 1-ის ვებგვერდზეა განთავსებული, მოქმედება მას შემდეგ იწყება, რაც მასას მენეჯერი **რობ სმედლი** ბრაზილიელს რადიოთი ატყობინებს - „ალონსო შენზე სწრაფია!".

„ფერნანდოს ტემპში უნდა იარო, ის შენზე სწრაფია, - გაუმეორა სმედლიმ თავის შეგირდს. - ალონსო მოგიახლოვდა, მალე გაგასწრებს - პოზიცია უნდა დაიცვა".

ვიდეოში ყველაზე მნიშვნელოვანია ალონსოს სიტყვები, რომელიც ხელმძღვანელობას მიუთითებს, რომ მათ მასას გვერდზე გადგომა უბრძანონ: „ფელიპეზე სწრაფი ვარ".

ამაზე ესპანელის ინჟინერმა **ანდრეა სტელამ** უპასუხა: „გავიგეთ შენი სიტყვები".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| დალასი-ინტერი | 2:2 |
| ფორტუნა-ლევერკუზენი | 0:2 |
| ეინდჰოვენი II-ერგოტელისი | 1:1 |
| დორდრეხტი-ვაალვიკი | 1:1 |
| ასტონ ვილა-ვალენსია | 0:0 |
| რექსჰემი-სტოკი | 0:0 |
| ბოლტონი-ოსასუნა | 2:0 |
| კადისი-ატლეტიკო | 1:1 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ნორვიჩი-უოტფორდი | 2:3 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰერტა A-ჰალეშერი | 2:2 |
| ლაიპციგი-თურძიემსფორი | 1:1 |
| ვოლფსბურგი A-ჰაველსი | 2:1 |
| ვილჰელმშავენი-ჰანოვერი A | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ვაიდენი-ზონენჰოფი | 0:1 |
| დარმშტადტი-პფიულენდორფი | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ფერზი-არმინია A | 0:0 |
| ელვერსბერგი-ლოტე | 1:1 |
| ვუპერტალი-მუნსტერი | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ნიმი | 1:0 |
| ბულონი-კლერმონი | 1:1 |
| შატორუ-ისტრი | 0:0 |
| დიჟონი-ანჟერსი | 0:0 |
| გრენობლი-ჰავრი | 1:0 |
| მეცი-ევიანი | 0:2 |
| რეიმსი-ლავალი | 1:1 |
| ტური-სედანი | 4:3 |
| ვანი-ტრუა | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| როდა-ტვენტე | 0:0 |
| **ბელგია** | |
| ლიერსი-სტანდარდი | 1:4 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კიოგე-ფინი | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-ლაჰტი | 0:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-ჰარტბერგი | 1:0 |
| გრატკორნი-ლუშტენაუ | 0:2 |
| სტ. ანდრა-ალტახი | 3:1 |
| ვენა-ადმირა | 1:3 |
| გრიოდიგი-სტ. პოლტენი | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ლოკარნო-კიასო | 0:1 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-სლიგო | 1:3 |
| დანდალკი-უნივერსიტი | 1:1 |
| გალვეი-სპორტინგი | 0:1 |
| სტ. პატსი-დროგედა | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კორკი-უექსფორდი | 1:0 |
| დერი-მონეგანი | 2:3 |
| ლიმერიკი-ეთლონი | 3:2 |
| უოტერფორდი-შელბურნი | 0:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-სლავია | 2:3 |
| **II დივიზიონი** | |
| დუკლა-იჰლავა | 3:1 |
| **რუსეთი** | |
| როსტოვი-ტერეკი | 1:0 |
| **უკრაინა** | |
| ილიჩივეცი-მეტალურგი (ზ) | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| ბელხატოვი-პოლონია (ბ) | 2:0 |
| გურნიკი-პოლონია (ვ) | 0:2 |
| **ხორვატია** | |
| ზაგრები-ოსიეკი | 0:0 |
| **უნგრეთი** | |
| კაპოშვარი-უიპეშტი | 0:1 |
| **რუმინეთი** | |
| უნივერსიტატეა (კლ)-ვალუსი | 1:1 |
| რაპიდი-ოცელული | 0:0 |
| ვიქტორია-უნივერსიტატეა (კრ) | 1:0 |
| **ლატვია** | |
| იაუნიბა-სკონტო | 0:3 |
| **ლიტვა** | |
| ბანგა-კრუოია | 0:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ვაშინგტონი** | |
| ბერდიხი-მალისე | 4:6, 6:3, 2:6 |
| ვერდასკო-ბაღდატისი | 6:7, 4:6 |
| **WTA. კოპენჰაგენი** | |
| კირსტეა-ზაკოპალოვა | 1:6, 5:7 |
| ჩაკვეტაძე-ჰერცოგი | 6:4, 6:3 |
| ნა ლი-კერბერი | 6:1, 6:2 |
| ვოზნიაცკი-გორჯესი | 3:6, 6:0, 7:6 |
| **WTA. სან დიეგო** | |
| სტოსური-პენეტა | 4:6, 3:6 |

TV პროგრამა

**7 აგვისტო. შაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:20** ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. ზენიტი-უნირეა.
**08:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ლივერპული-ბენფიკა.
**10:10** ჰოლანდიის ჩემპიონატი. როდა-ტვენტე.
**12:25** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-ინტერი.
**14:15** სასტვენი.
**15:10** ახალი ამბები.
**15:30** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-ბაიერნი.
**17:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. როდა-ტვენტე.
**19:20** ახალი ამბები.
**19:40** გერმანიის სუპერთასი. ბაიერნი-შალკე (LIVE).
**22:05** საფეხბურთო პროგრამა.
**22:40** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ეინდჰოვენი (LIVE).
**00:40** ახალი ამბები.
**01:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონაკო.
**02:45** გერმანიის სუპერთასი. ბაიერნი-შალკე.
**04:45** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სენტ ეტიენი.

**EUROSPORT**

**11:00** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია.
**12:00** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. VI ეტაპი.
**13:00** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. კვალიფიკაცია. ჰინტერცარტენი. გერმანია.
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. სან დიეგო. აშშ.
**16:00** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. კვალიფიკაცია. ჰინტერცარტენი. გერმანია.
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია (LIVE).
**18:15** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია (LIVE).
**19:15** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. კვალიფიკაცია. ჰინტერცარტენი. გერმანია.
**20:00** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. გუნდური. ჰინტერცარტენი. გერმანია (LIVE).
**21:45** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. VII ეტაპი.
**22:45** რალი. IRC-ის სერია. II დღე. მადეირა. პორტუგალია.
**23:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. სან დიეგო. აშშ.
**00:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. სან დიეგო. აშშ (LIVE).
**01:45** ბრძოლა წესების გარეშე.

**8 აგვისტო. კვირა**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ეინდჰოვენი.
**08:15** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონაკო.
**10:00** გერმანიის სუპერთასი. ბაიერნი-შალკე.
**12:00** ახალი ამბები.
**12:25** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სენტ ეტიენი.
**14:15** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ეინდჰოვენი.
**16:05** ახალი ამბები.
**16:25** ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-აიაქსი (LIVE).
**18:25** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონაკო.
**20:10** რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-ტომი (LIVE).
**22:55** საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-ბორდო (LIVE).
**00:55** ახალი ამბები.
**01:10** ჰოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-აიაქსი.
**03:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-ბორდო.
**04:45** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სენტ ეტიენი.

**EUROSPORT**

**10:30** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. გუნდური. ჰინტერცარტენი. გერმანია.
**12:00** ველოსპორტი. პოლონეთის ტური. VII ეტაპი.
**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. სან დიეგო. აშშ.
**14:30** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. გუნდური. ჰინტერცარტენი. გერმანია.
**16:00** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. ჰინტერცარტენი. გერმანია (LIVE).
**17:45** მულტისპორტი.
**18:00** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია (LIVE).
**19:00** მძლეოსნობა. EAA-ის ტურნირი. ლუცერნი. შვეიცარია (LIVE).
**21:00** პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია.
**22:00** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. გუნდური. ჰინტერცარტენი. გერმანია.
**23:00** პროფესიული კრივი.
**00:30** რალი. IRC-ის სერია. მიმოხილვა. მადეირა. პორტუგალია.
**01:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. სან დიეგო. აშშ (LIVE).
**02:45** ტრამპლინიდან ხტომა. საზაფხულო გრან-პრი. HS 108. გუნდური. ჰინტერცარტენი. გერმანია.

მძლეოსნობა



უსაინ ბოლტი უსაქმურობას აპირებს

# ბოლტმა წასვლის თარიღი დათქვა

100 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენმა **უსაინ ბოლტმა** დიდი სპორტიდან წასვლის თარიღი დაასახელა. ლეგენდარულმა იამაიკელმა განაცხადა, რომ ექვსი წელი გააგრძელებს აქტიურ კარიერას და 2016 წელს, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის შემდეგ დაემშვიდობება სარბენ ბილიკს. პლანეტის უსწრაფესი ადამიანი ამჟამად 23 წლისაა.

*„ბრაზილიაში 2016 წლის ზაფხულის თამაშები ბოლო დიდი ტურნირი იქნება ჩემს კარიერაში. ამ ოლიმპიადის შემდეგ კარიერას დავასრულებ,* - წერს ბოლტი IAAF-ის ოფიციალურ ვებგვერდზე. - *სამომავლო გეგმები უკვე დასახული მაქვს. დიდ სახლში ვიცხოვრებ, სადაც მყუდრო კაბინეტს მოვიწყობ დიდი მაგიდით. ტელევიზორის წინ რბილ სავარძელში ჩავჯდები, ფეხებს მაგიდაზე შემოვაწყობ და არაფერს არ გავაკეთებ. არც არაფერი შემაწუხებს“.*

ცურვა

# ფელპსი 50



მაიკლ ფელპსი

ზედიზედ მეორე ოქროს მედალი მოიპოვა **მაიკლ ფელპსმა** ლოს ანჯელესში მიმდინარე ამერიკის ჩემპიონატზე. ამჯერად ლეგენდარული მოცურავე პირველი მივიდა ფინიშთან 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში, თანაც მაიკლმა სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა - 50,65 წამი. ფელპსმა წამზე მეტით გააუმჯობესა სეზონის წინა რეკორდსმენის, რუსი **ევგენი კოროტიშკინის** შედეგი (51,70).

ფელპსმა ორმოცდამეათედ გაიმარჯვა ეროვნულ ჩემპიონატში. წინა დღეს, მან 49-ე მოგებით ამერიკის რეკორდი დაამხო. გარდა ამისა, მაიკლი 14-გზის ოლიმპიური და 23-გზის მსოფლიოს ჩემპიონია.

ამბები

ჰოკეი

## მოდანო დამტკიცდა

„დეტროიტ რედ უინგზმა“ ოფიციალურად გამოაცხადა ამერიკელი ვეტერანის **მაიკ მოდანოს** გაფორმების შესახებ. როგორც ვარაუდობდნენ, დეტროიტელებმა „დალასის“ ყოფილ ლიდერთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. ასე რომ, ჰოკეისტი, რომელიც ამ ზაფხულს კარიერის დასრულებას აპირებდა, კიდევ ერთ სეზონს გაატარებს მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში.

პრესისთვის უცნობი დარჩა გარიგების ფინანსური დეტალები, თუმცა არაოფიციალური ცნობით, მოდანოს ხელფასი 1.25 მილიონი დოლარი იქნება.

ველოსპორტი

## კონტადორის გეგმები

ტურ დე ფრანსის ჩემპიონი **ალბერტო კონტადორი**, რომელიც მომავალი სეზონიდან ახალი გუნდის - Saxo Bank-ის მაისურით იასპარეზებს, 2011 წელს ორ გრანდ-ტურზე აპირებს გამოსვლას. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ტურ დე ფრანსი იქნება, სადაც ესპანელს ტიტულის დაცვა მოუწევს, მეორეს კი ალბერტო მოგვიანებით აირჩევს. ცნობისთვის, კონტადორს ჯირო დ'იტალიაც მოგებული აქვს და ვუელტაც. სამ გრანდ-ტურში გამარჯვება ისტორიაში მხოლოდ ხუთ მრბოლელს აქვს მოპოვებული და ერთ-ერთი სწორედ კონტადორი გახლავთ.

ესპანელი აცხადებს, რომ ერთ სეზონში ორი სუპერმარათონის მოგებაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავს.

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

# კოკოს სენსაცია

გუშინ სან დიეგოს უმაღლესი კატეგორიის ტურნირში ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. ამ სათამაშო დღეს უხვად იყვნენ წარმოდგენილი რუსი ჩოგბურთელები - ოთხიდან სამ მერვედფინალში ამ ქვეყნის მოთამაშე იბრძოდა, თუმცა მათგან მეოთხედფინალში მხოლოდ **სვეტლანა კუზნეცოვამ** გააღწია.

სხვათა შორის, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მატჩის გადატანა სწორედ მას მოუხდა, არადა, მეტოქედ არაფრით გამორჩეული იტალიელი **სარა ერანი** ჰყავდა. პირველ სეტში რუსმა იოლად დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი და მეტოქეს მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო - 6:1. მეორეშიც რუსისთვის ყველაფერი კარგად ვითარდებოდა - ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ მატჩზე ვერ მოაწოდა, ბოლოს კი ტაი-ბრეიკი წააგო - 6:7(5:7).

მესამე სეტი თითქმის პირველის ანალოგიურად წარიმართა. 5:1 - ასეთი ანგარიშით ლიდერობდა კუზნეცოვა და ამჯერადაც ორჯერ ვერ შეძლო მატჩზე ჩაწოდება. ამასთან, რუსმა მეტოქის გეიმზე ორი მატჩბოლიც გაანიავა. სვეტლანას კრიტიკული მომენტი მაშინ დაუდგა, როცა 5:5-ზე ერანიმ ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ რუსმა გადაარჩინა საკუთარი გეიმი, რის შემდეგაც ბრეიკიც გააკეთა და ზუსტად ორსაათნახევრიან ბრძოლაში გაინაღდა მეოთხედფინალის საგზური.

დანარჩენ რუს ჩოგბურთელებს ნაკლებად წარმატებული დღე ჰქონდათ. სენსაცია მოხდა უიმბლდონის ფინალისტ **ვერა ზვონარევასა** და ამ ტურნირზე ამერიკელთა ბოლოს იმედის - **კოკო ვანდევეგეს** შეხვედრაში. ამ უკანასკნელმა, რომელიც კლასიფიკაციაში 205-ე ადგილს იკავებს, ძირითად ბადეში ადგილი კვალიფიკაციის გავლით მოიპოვა, პირველ წრეში კი **ხისელა დულკოს** ტრავმით ისარგებლა და მერვედფინალში ზვონარევას გადაეყარა.

რუსი მხოლოდ პირველ სეტში დომინირებდა - ორბრეიკიანი უპირატესობა ასეთ ანგარიშში გამოისახა - 6:2. მეორე პარტიაში 18 წლის ამერიკელი გონს მოვიდა. ის მშვიდად ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებას და მიღებაზეც უფრო აქტიურად თამაშობდა. საქმე ტაი-ბრეიკამდე მიდიოდა, როცა მასპინძელმა კიდევ გაზარდა ტემპი, მეტოქეს ბრეიკი აუღო და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

ზვონარევას თამაში კი საბოლოოდ მოიშალა. მართალია, ბრეიკით გავიდა წინ, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხი გეიმი დათმო. კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებასთან მიახლოებული ვანდევეგე ანერვიულდა და მატჩზე ჩაწოდება ვერ შეძლო, სამაგიეროდ მომდევნო გეიმში მორიგი ბრეიკი აიღო და 6:4 გაიმარჯვა. ამერიკელი პირველად გავიდა WTA-ის ტურნირის მეოთხედფინალში, სადაც მას სვეტლანა კუზნეცოვა ელოდება.

მეორე გავარდნილი რუსი აღმოჩნდა **მარია კირილენკო**, რომელიც წყვილებში თავის ყოფილ პარტნიორ **ფლავია პენეტას** ეთამაშებოდა. ეს ამ დღეს მეორე რუსულ-იტალიური დუელი იყო, რომელიც ამჯერად აპენინელის გამარჯვებით დასრულდა. ორივე სეტში ბრძოლა იყო. მეორე პარტიაში (პირველი პენეტამ 6:4 მოიგო), კირილენკომ სეტზე ვერ ჩააწოდა, რის შემდეგაც 6:5-ზე მატჩზე ჩაწოდება ვერ მოახერხა იტალიელმა. ტაი-ბრეიკზე უკეთესად პენეტა თამაშობდა, რომელიც თავიდანვე დაწინაურდა და რუსი ველარ დაეწია - 7:6(7:5). ფლავია ნახევარფინალში გასასვლელად ავსტრალიელ **სამანტა სტოსურს** შეხვდება.

ბოლო მეოთხედფინალისტი იოლად გამოვლინდა. სლოვაკმა **დანიელა ჰანტუხოვამ**, რომელმაც წინა წრეში სამი მატჩბოლი მოიგერია ფრანგ **მარიონ ბარტოლისთან** მატჩში, ამჯერად ჩინელ **ჟიე ჟენგთან** წაივარჯიშა - 6:2, 6:1.

**WTA**

**Mercury Insurance Open**

სან დიეგო (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 700 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ფლავია პენეტა (იტა, 5)**-მარია კირილენკო (რუს) 6:4, 7:6(5); **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:2, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)**-სარა ერანი (იტა) 6:1, 6:7(5), 7:5; **კოკო ვანდევეგე (აშშ)**-ვერა ზვონარევა (რუს, 5) 2:6, 7:5, 6:4.

**1/4 ფინალი**

ალისა კლეიბანოვა-დანიელა ჰანტუხოვა; აგნიეშკა რადვანსკა (4)-შაარ პეერი (7); სვეტლანა კუზნეცოვა-კოკო ვანდევეგე; სამანტა სტოსური (2)-ფლავია პენეტა (5).



კოკო ვანდევეგე

# რაფა და ნოვაკი გაერთიანდნენ



ვარსკვლავური წყვილი: ნოვაკი და რაფა

მეორედ ჩოგბურთის ისტორიაში, ATP-ის ტურნირის წყვილთა თანრიგში ერთად ითამაშებენ მსოფლიო რეიტინგის პირველი და მეორე ნომრები. ეს სულ მალე მოხდება - ორშაბათს ტორონტოს მასტერსში ჩაებმებიან კლასიფიკაციის პირველი და მეორე ჩოგნები - ესპანელი **რაფაელ ნადალი** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. ერთეულთა თანრიგში მონაწილეობის გარდა, ისინი დუეტს შექმნიან და წყვილებში პირველობისთვის იბრძოლებენ. ასეთი რამ პირველად შორეულ 1976 წელს მოხდა, რომ ლეგენდარულმა ამერიკელებმა - **ჯიმი კონორსმა** და **არტურ ეშმა** სცადეს ბედი წყვილთა ტურნირში.

ინიციატივა ჯოკოვიჩისგან მოდიოდა - მან ჯერ კიდევ ლონდონში შესთავაზა რაფას გაერთიანება და ესპანელმაც მიიღო წინადადება. სხვათა შორის, ნადალს ერთეულებში კანადური მასტერსი ორჯერ - 2005 და 2008 წლებში აქვს მოგებული, ჯოკოვიჩმა კი აქ ერთხელ - 2007 წელს გაიმარჯვა.

ნადალს კანადაში თან ახლავს ცნობილი მწვრთნელი და მისი ძველი მეგობარი **ფრანსეს როიგი**, რომელთან ერთადაც რაფამ შარშან ტორონტოში წყვილებში ითამაშა. მსოფლიოს პირველი ჩოგნის მუდმივი მწვრთნელი - **ტონი ნადალი** ძმისშვილს ამერიკის ღია პირველობაზე შეუერთდება.

სხვათა შორის, ცნობილი გახდა აშშ-ის ღიას შემდეგ სეზონის დარჩენილ ნაწილში ნადალის გამოსვლის გრაფიკი. რაფა სამ აზიურ მასტერსში (ბანგკოკი, ტოკიო, შანხაი) მიიღებს მონაწილეობას, რასაც მოჰყვება ამავე კატეგორიის ტურნირები პარიზსა და ლონდონში (წლის შემაჯამებელი ჩემპიონატი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა